გათავისუფლებულ პოლიციელებს მინისტრის იმედი აქვთ A3

„ხალხის პირისპირ" - ანკეტა A8

ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 16 ივლისი, 2004 წელი. №167 (716)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ფქვილი დაიძრა, მაგრამ არ მიიღეს



ოსებმა ფქვილის მიღებაზე უარი თქვეს - ამას ნაზზდოროვი ნამდვილად აღარ ელოდა და წონასწორობიდან გამოვიდა.

A2

## ეკონომიკა

### ნამუსის გარდა ყველაფერი იყიდება



საქართველოს ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებების ეპოქა დგება – ეკონომიკის მინისტრი უპატრონო სახელმწიფო ქონებისათვის ღირსეულ პატრონებს ეძებს.

A4

## უცხოეთი

### იტალიის პრემიერ-მინისტრი პოლიტიკოსობას ბიზნესმენობას შეუთავსებს



სილვიო ბერლუსკონის კანონი საშუალებას აძლევს, ერთდროულად პოლიტიკოსიც იყოს და ბიზნესმენიც.

A5

## საზოგადოება

### ვლაქერნობის დღესასწაული



ზუგდიდში დადიანების სასახლიდან გუშინ, დილის ათ საათზე მარიამ ღვთისმშობლის კვართი გამოაბრძანეს.

A6

## ამინდი

| | 16/7 | 17/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 36 |
| ქუთაისი | 38 | 33 |
| ბათუმი | 36 | 27 |
| სოხუმი | 29 | 27 |
| ფოთი | 34 | 29 |
| თელავი | 36 | 33 |
| ზუგდიდი | 35 | 32 |
| გორი | 34 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9100 |
| ევრო | 2.3566 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5341 |
| რუბლი | 0.0657 |

# პოლიციის რეფორმა

## მტკივნეული და აუცილებელი



*ქართული პოლიცია აქამდე ფორმითაც და შინაარსითაც საბჭოთა მილიციის მემკვიდრე იყო. ვნახოთ, რას მოგვიტანს რეფორმა.*

ბესო გულაშვილის ფოტო

*საქართველოში წლების წინ დაწყებული საუბარი პოლიციის რეფორმის შესახებ, ნელ-ნელა კონკრეტულ კონტურებს იძენს. მეტიც, ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ რეფორმები უკვე დაიწყო და წარმატებითაც ხორციელდება.*

შინაგან საქმეთა ორგანოების რეფორმის ძირითადი პრინციპები თითქმის იდენტურია იმისა, რაც თავის დროზე შევარდნაძის მიერ შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა და შემდგომში გია ბარამიძის დროს სამინისტროსთან შექმნილმა რეფორმების საბჭომ დახვეწა, თუმცა ხორცის შესხმას ახლა იწყებს.

რეფორმის მიზანია: ადამიანის უფლებების დაცვა, რომელიც პოლიციის მოღვაწეობის მაქსიმალურად რეგლამენტირებითა და დაკონკრეტებით იქნება მიღწეული; საკადრო პოლიტიკის დახვეწა, რომლის ფარგლებშიც განათლების სპეციალური სისტემის შემოღება და დანერგვა მოხდება; ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბება, რომელთა ხარისხი ყოველთვის იქნება გათვალისწინებული საკადრო გადაწყვეტილებების მიღებისას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს დემილიტარიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოხდება უწყების პოლიციურიდან სამოქალაქო სტრუქტურად გარდაქმნა და პოლიცია მხოლოდ ერთ სტრუქტურულ დანაყოფად დარჩება. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებულ შეიარაღებულ დანაყოფს – შინაგან ჯარს, იგი ცალკე სტრუქტურულ დანაყოფად მოიაზრება და მის მოღვაწეობას "შინაგანი ჯარის შესახებ" კანონი არეგულირებს.

რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგია შინაგან საქმეთა ორგანოების დეცენტრალიზაცია გახლავთ, რომელსაც პირველ ეტაპზე არ დაექვემდებარება კრიმინალური პოლიცია. დაბოლოს, გაძლიერდება შინაგან საქმეთა ორგანოებზე შიდა და გარე კონტროლის მექანიზმები, რაც გულისხმობს თავად სამინისტროს შიგნით არსებული გენერალური ინსპექციის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და სამოქალაქო საბჭოების ჩამოყალიბებას, რომლებიც არა მარტო სამინისტროს ცენტრალურ ოფისთან, არამედ ადგილობრივი პოლიციის დანაყოფებთანაც იმუშავებენ. ამ პროექტის განხორციელება ჯერჯერობით სრულფასოვნად ვერ ხერხდება, თუმცა მეტად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რადგანაც ეს იქნება ინსტრუმენტი ადგილობრივი პოლიციის მონიტორინგისთვის.

ასეთი გახლავთ მოკლე მონახაზი იმ კონცეფციისა, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა ორგანოების რეფორმა უნდა განხორციელდეს. თუმცა, თავად შინაგან საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოთთქმულის განხორციელება დროში შეიძლება უზომოდ გაიწელოს, მას კი რეფორმის შედეგები რაც შეიძლება მალე სჭირდება და ამიტომ გადამჭრელ ზომებს მიმართავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოთხმხრივი ოქმი შედგა, მაგრამ რა წერია დოკუმენტში?

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა გუშინ მოსკოვში გამართულ, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე ხელი მოაწერეს პროტოკოლს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ.

**"ვფიქრობ, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ორივე ეროვნების ადამიანებისთვის. ქართველი და ოსი ხალხი კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტას არასოდეს გვაპატიებდა. დღეს ჩვენ ყველანი უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც კიდევ უფრო გააღრმავებენ სამშვიდობო პროცესს,"** – აღნიშნა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ. ხაინდრავას თქმით, პროტოკოლში გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის წინადადებები. კონკრეტულად, რა წინადადებებზეა საუბარი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ ამ მოლაპარაკებების პროცესში ქართული მხარის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა - რუსეთის მხარესთან ერთად როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლება იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## რუსეთის ოსური დილემა

### კომენტარი

**საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი ექსპერტი არჩილ გეგეშიძე:**

- მოლაპარაკებების პროცესი დღეს ყველაზე რთულ ეტაპს უახლოვდება, თუმცა ამ პროცესს კულმინაციამდე ჯერ არ მიუღწევია. რუსეთი ძალიან მძიმე დილემის წინაშე დგას. მან უნდა გადალახოს ფსიქოლოგიური რუბიკონი და კონსტრუქციულ პოზიციაზე რეალურად დადგეს. რუსეთში ორი ურთიერთგამომრიცხავი მიმართულება ერთმანეთს ებრძვის. რეაქციულ-ნაციონალისტური ძალები ცდილობენ, არ დათმონ პოზიციები. ყველას ესმის, რომ იმ ფონზე, როცა ერგნეთის კონტრაბანდული წყარო მოშლილია, როკის გვირაბთან კონტროლის დამყარება და სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას ნიშნავს. კონფლიქტის მოგვარების თაობაზე კი რუსეთი ჯერ ვერ ჩამოყალიბებულა. რუსეთში ამჟამად, რა თქმა უნდა, მძლავრობს პოზიცია, რომელიც სამხრეთ ოსეთში სტატუს-კვოს შენარჩუნებას გულისხმობს. რუსეთს ხელს აძლევს, რომ სიტუაცია გაყინოს, თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან რთულ ვითარებაშია: რუსეთს არ

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

„24 საათის" დანართები - „სამართალი", „ბიზნესი", „დედაქალაქი", „მონადირე", „ავტომობილი", „ტერიტორია", „სპეცსამსახურები", „მეცნიერება და ტექნიკა", „გულახდილად".

ერთობლივი პროექტები „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და „სოროსის ფონდთან" განემარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

„24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მიწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: „თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ანკეტა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# არასამთავრობო ორგანიზაციები "სამშვიდობო ფრონტის" წინა ხაზზე გადიან

*საქართველოს ხელისუფლების მიერ 14 წლის განმავლობაში იგნორირებული იყო კონფლიქტის ზონაში მცხოვრები რიგითი მოქალაქეების აზრი. მეორე მხრივ, დიდი აქტიურობა არც საზოგადოების ფართო ფენებში შეინიშნებოდა. დღეს უკვე განსხვავებული განწყობა და მდგომარეობაა: უბრალო ადამიანები სამშვიდობო მოლაპარაკებებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვას დაჟინებით ითხოვენ.*

ცხინვალის რეგიონში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში თავისი წვლილი შეიტანონ. რეგიონის საზოგადოების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა სახალხო დამცველის ოფისში. საბჭოს ინიციატივით, უახლოეს დღეებში დაფუძნდება პოლიტიკური მოძრაობა "თანხმობა", რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სამშვიდობო კურსის აქტიური მხარდამჭერი იქნება.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებას ბრმად დაემორჩილება - საკოორდინაციო საბჭოს ზოგიერთი წარმომადგენელი მთავრობის წევრთა მისამართით პრეტენზიებს დღესვე გამოთქვამს.

**"უარყოფითი დამოკიდებულება გვაქვს სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას მიმართ. 1991 წელს მან გადაიღო ფილმი იმის შესახებ, თითქოს, ქართველები ოსებს ვჩაგრავდით და ეს არასწორი შეხედულება შემდეგ მთელ მსოფლიოს მოედო",** - აცხადებს ლევან ხაჭაპურიძე, რომელიც 1992-1993 წლებში შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტ გამსახურდიას რწმუნებულს წარმოადგენდა. იგი, აგრეთვე, შენიშნავს, რომ **"თავის დროზე, გია ყარყარაშვილის პროვოკაციულმა ქმედებებმა ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად დაძაბა".**

საკოორდინაციო საბჭოს წევრები მასმედიას და საზოგადოებას მოუწოდებენ, ოსი ეროვნების მოქალაქეების მიმართ შეურაცხმყოფელი გამოთქმებისგან თავი შეიკავონ. **"მშვიდობიანი ოსი მოსახლეობის ყაჩაღებად და ბანდიტებად მონათვლა დაუშვებელია. ეს კონფლიქტის ზონაში ხელოვნურად ძაბავს ვითარებას, რითაც, პირველ რიგში, რეგიონის ქართული მოსახლეობა ზარალდება",** - ხაზგასმით ითქვა გუშინდელ პრეზინტაციაზე.

საკოორდინაციო საბჭოს წევრი, რეგიონის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე სოსო ვახტანგაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვს და აცხადებს, არასამთავრობოებს შემუშავებული აქვთ კონკრეტული წინადადებები, რომელთა მიწოდება ხელისუფლებისთვის ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

**"ადგილობრივმა მოსახლეობამ ბევრი ნიუანსი უკეთესად იცის, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებმა. ამიტომ, სამშვიდობო პროცესში ხალხიც აქტიურად უნდა ჩაერთოს. მით უმეტეს, რეგიონში გვყავს ხანდაზმული, ავტორიტეტული ადამიანები, ვის სიტყვასაც ოსური მოსახლეობა პატივს სცემს",** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციების კონფედერაცია "ცხინვალის სახლის" თავმჯდომარის მოადგილე ბადრი მეტრეველი (კონფედერაციაში 17 არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული, მათ შორის - ხუთი ოსური).

საკოორდინაციო საბჭოს წევრები "ხანდაზმული, ავტორიტეტული ადამიანების" ვინაობას, ჯერჯერობით, არ ასახელებენ და აცხადებენ, რომ მათ შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტ სააკაშვილს მიაწვდიან.

*გიორგი ასანიშვილი*

# ოთხმხრივი ოქმი შედგა, მაგრამ რა წერია დოკუმენტში?



*ოთხმხრივი მოლაპარაკებების მონაწილეები ჟურნალისტებთან მწირი და ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლნენ.*

პირველი გვერდიდან

როგორც ორდღიანი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, ცხინვალში არსებული ვითარების განმუხტვამდე შერეული საკონტროლო კომისია მუდმივად იმუშავებს და ცხინვალში განლაგდება.

გუშინ ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებლად მიწოდების შესახებ. **"კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარულ დახმარებას არავითარი დაბრკოლება არ შეექმნება, ამისთვის მიღებული იქნება ყველა საჭირო ზომა,"** – აღნიშნა სამხრეთ ოსეთის საგანგებო დავალებათა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა.

რუსეთის მხარეს მოლაპარაკებათა პროცესში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშინინი წარმოადგენდა. **"მოლაპარაკებების პროცესი რთული იყო, მაგრამ შეხვედრა წარმატებულად დასრულდა, ხელი მოეწერა შემაჯამებელ დოკუმენტს,"** – აღნიშნა ლოშინინმა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის საწინააღმდეგოს ამტკიცებს რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ვალერი ევნევიჩი. მისი თქმით, საქართველოს წინადადება, როკის გვირაბთან ერთობლივი კონტროლის დაწესების თაობაზე, დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის.

*24 საათი*

# რუსეთის ოსური დილემა

პირველი გვერდიდან

გააჩნია არგუმენტები იმის ასახსნელად, თუ რატომ არ უნდა როკის გვირაბთან კონტროლის დაწესება, მაშინ, როცა პანკისში ჩეჩნეთთან დაკავშირებით ჩვენ იგივეს გვთხოვდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთი მიმართავს ძველ, აპრობირებულ მეთოდებს - რუსეთი ოსების პირით იტყვის იმას, რისი თქმაც თავად არ შეუძლია.

როგორც აღვნიშნე, რუსეთში ორი ტენდენციაა. ჯერჯერობით, მძლავრობენ რეაქციულ-ნაციონალისტური ძალები, რომლებიც სტატუს კვოს შენარჩუნებას ებღაუჭებიან. არიან მეორე პოზიციის მატარებელი ძალები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამგვარი კონფლიქტების ხანა პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათი შენარჩუნებისთვის ბრძოლა უნდა დამთავრდეს. ამ პოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აქცენტი ეკონომიკური ხასიათის ბერკეტების ხელში ჩაგდებაზე უნდა გაკეთდეს. დღევანდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ ამ პრაგმატული პოზიციის მატარებელი ადამიანების გავლენა და ძალა დიდი არ არის. თუმცა, პუტინის ცნობილი განცხადება მინდა გავიხსენო, რომელიც მან დიპლომატიური კორპუსის წინაშე წარმოთქვა - მან აღნიშნა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთს არ უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური უფლება და პრეტენზიები, ეს სივრცე მხოლოდ რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცეს. ეს განცხადება მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთში მზადდება და მწიფდება რუსეთის პოლიტიკის შეცვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

სამხედრო გავლენის სანაცვლოდ, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოები პატარა სახელმწიფოების ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებას ცდილობენ.

პრაგმატიკოსი პოლიტიკოსები, და მე ვთვლი, რომ პუტინი მათ რიცხვს განეკუთვნება, ვითარებას უფრო თანამედროვედ აფასებენ. ადრე თუ გვიან (ვიმედოვნებ, რომ ძალიან არ დაგვიანდება), რუსეთი იმ დასკვნამდე მივა, რომ დღეს ამ კონფლიქტებზე ჩაბღაუჭება წამგებიანია.

სამხრეთ ოსეთი ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი იქნება ამის საჩვენებლად.

რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების ტემპი და ფორმა მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. დღეს სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოს და ქართველ მოსახლეობას შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობს. არ არსებობს არანაირი ეთნიკური დაპირისპირება და სიძულვილი, როგორც ეს აფხაზეთშია. რუსეთის რეაქციულ-ნაციონალისტური ძალები ყველანაირად ეცდებიან, სამხრეთ ოსეთში ეს დაპირისპირება მოხდეს, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ ომით შეიძლება... ომი კი რუსეთს არ აწყობს. რუსეთი ასეთი დილემის წინაშე დგას: ომი არ აწყობს, მაგრამ ომის გარეშე ქართველებისა და ოსების დაპირისპირება არ მოხდება. ასე რომ, რუსეთი წინ ვერ აღუდგება საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარულ აქციებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გულის მოსაგებად იგეგმება და დროთა განმავლობაში უთუოდ შეუწყობს ხელს შერიგების პროცესს.

# ფქვილი დაიძრა, მაგრამ არ მიიღეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ერგნეთთან ქართული მხარის მიერ სამი დღის წინ დაკავებული, ფქვილით დატვირთული ავტომანქანა წარწერით - "პრეზიდენტ პუტინის საჩუქარი", გუშინ, როგორც იქნა, დაიძრა, თუმცა მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ფონდიდან გამოყოფილი თანხით განბაჟდა.

**"პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა გულისხმიერება და ტვირთის განსაბაჟებელი თანხა გამოყო. ამიტომაც, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ეს ფქვილი არა პუტინის, არამედ სააკაშვილის საჩუქარია,"** – აღნიშნავს "24 საათთან" ინტერვიუში პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლის რეგიონში მიხეილ ქარელი.



*ოსებმა ფქვილის მიღებაზე უარი თქვეს - ამას ნაბზდოროვი ნამდვილად აღარ ელოდა და წონასწორობიდან გამოვიდა.*

ამის შემდეგ, ფქვილით დატვირთული ავტომანქანები რამდენიმე საათის განმავლობაში უძრავად იდგა ერგნეთთან. მიხეილ ქარელი ვითარების არსს ასე განმარტავს: **" მას შემდეგ, რაც ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გაიგო მიხეილ სააკაშვილის ქმედების შესახებ, ტვირთის წაღების და დარიგების წინააღმდეგი იყო. ამის გამო კოკოითის მიერ გამოგზავნილ ხალხს რუსეთის სამშვიდობოთა სარდალთან სვიატოსლავ ნაბზდოროვთან შეკამათებაც კი მოუვიდათ. თუმცა, მოგეხსენებათ, ოსური მხარე ძალზე დამჯერია რუსული მხარის და, საბოლოოდ, შემოწმების შემდეგ, ავტომანქანები ოსური სოფლებისკენ დაიძრა".**

მანამდე კი, კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა, ერგნეთთან გაჩერებული, ფქვილით დატვირთული რამდენიმე სატვირთო ავტომანქანიდან ერთი ცხინვალისკენ გაბრუნდა.

რუსი სამშვიდობოები ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ იმას აცხადებდნენ, რომ ავტომანქანა დასჭირდათ და შტაბის ტერიტორიაზე უნდა დაცალონ.

კონფლიქტის ზონაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სწორედ ამ მანქანაში, ფქვილის ნაცვლად, იარაღი იყო ჩატვირთული და რუსებმა ერგნეთის ტერიტორიას ამიტომ გაარიდეს, რადგან ადრე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ქართველ სამართალდამცავებს მანქანები უნდა დაეთვალიერებინათ და გადაადგილების საშუალება მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემოდათ.

შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა ეს ვერსია ჟურნალისტებთან საუბარში გამორიცხა.

■ ■ ■

ორდღიანი შესვენების შემდეგ ქართული სოფლების ერედვისა და ფრისის მიმართულებით ოსურმა მხარემ ცეცხლი გახსნა. სოფლის მოსახლეობის განცხადებით, სროლები რამდენიმე წუთი გრძელდებოდა.

პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის თქმით, ქართულ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია და ინციდენტის დროს არავინ დაზარალებულა.

*ნინო გომართელი*

# პაუელის დავალებით - თბილისში

საქართველოს ეწვია ევრაზიის კონფლიქტების შესახებ მოლაპარაკებებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, ელჩი სტივენ მანი. მანი, რუშაილოს მსგავსად, საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით ჩამოფრინდა, ოღონდ კოლინ პაუელის დავალებით. მანს სამხრეთ კავკასიური ტურნე აქვს. საქართველოში იგი სომხეთიდან ჩამოფრინდა, შემდეგ აზერბაიჯანში მიფრინავს, რათა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ დისკუსიები ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ამერიკელი თანათავმჯდომარის სტატუსით გააგრძელოს.

საქართველოში მანი კონკრეტული მისიით ჩამოვიდა – იგი უნდა დარწმუნებულიყო, რომ საქართველოს მთავრობა "სამხრეთ ოსეთის" საკითხის გადასაჭრელად მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეა.

**"ცხინვალში ჩასვლას არ ვაპირებ. ჩემთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირებისაგან მიღებულ ინფორმაციას აქვს,"** - განაცხადა გუშინ ელჩმა. პაუელის წარმომადგენლის დიდი სურვილის მიუხედავად, პრეზიდენტთან მისი შეხვედრა, სააკაშვილის დატვირთული გრაფიკის გამო, ვერ მოხერხდა. **"თუ საჭირო გახდა, კიდევ ერთხელ ჩამოვალ,"** - ასე დაადასტურა საქართველოს დასახმარებლად თავისი მზადყოფნა სტივენ მენმა.

*ლელა მჭედლიძე*

# ტელეკომპანია სარჩელების ამარა დარჩა



*ასე გამოიყურება ხანძრის შემდეგ "რიონის" ერთ-ერთი სტუდია.*

5 ივლისს, ღამის სამ საათზე, ტელეკომპანია "რიონის" სტუდიაში ხანძარი გაჩნდა რეგიონულმა ტელევიზიამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიიღო და მაუწყებლობა შეწყვიტა. განადგურებულია ტელეკომპანიის კუთვნილი კომპიუტერები, ტელე და ვიდეო აპარატურა. ტელევიზიის ხელმძღვანელობა ზარალს 100 000 დოლარად აფასებს.

**"დაახლოებით, ღამის ორ საათზე მორიგემ აპარტურა გათიშა და დასაძინებლად გაეშურა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ტელევიზიის გამშვებ განყოფილებაში ცეცხლი გაჩნდა. კვამლი დარაჯმა შენიშნა და განგაში ატეხა, მაგრამ უკვე გვიან იყო. აპარატურის გადარჩენა ვერ მოხერხდა. მოგეხსენებათ, ვიდეო აპარატურა, ძირითადად, პლასტმასის კარკასისაა და სტუდიის კედლებიც პლასტიკატით იყო დაფარული, ამიტომაც ცეცხლი სწრაფად გავრცელდა... დარწმუნებული ვართ, რომ აალება ძაბვის უეცარმა მომატებამ გამოიწვია. რამდენიმე დღეა, შენობას ცვალებადი დენი მიეწოდება. მაგალითად, სამი დღის წინ იძულებულნი გავხდით, რომ საინფორმაციო გამოშვება შეგვეწყვიტა და ენერგოკომპანიისთვის საჯაროდ მიგვემართა. მათი წარმომადგენლები მოვიდნენ, შენობა დაათვალიერეს და განაცხადეს, რომ ყველაფერი წესრიგშიაო.... ხანძრის შედეგად, რაც კი გაგვაჩნდა, ყველაფერი განადგურდა, ზარალმა დაახლოებით 100 000 ლარი შედაგინა,"** - განაცხადა ტელეკომპანია "რიონის" ხელმძღვანელმა თამილა ღვინიანიძემ. დიდი ხანია, მას ადგილობრივი ენერგოკომპანიის მიმართ პრეტენზიები გააჩნია. რამდენიმე თვის წინ ძლიერი ძაბვის მოვარდნამ ძვირადღირებული აპარატურა გადაწვა, რის გამოც "რიონმა" ენერგოკომპანიის წინააღმდეგ, ზარალის ასანაზღაურებლად, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამჟამად კი ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა სასამართლოში შესატანად ახალ სარჩელს ამზადებს. ადგილობრივი ენერგოკომპანიის წარმომადგენლები ბრალდებებს უარყოფენ და სიმართლის დასადგენად დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევას აპირებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში ტელეკომპანია "რიონი" მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს განიცდის. ახლახან იგი საგადასახადო ისპექციამ 171 ათასი ლარით დააჯარიმა, რასაც ტელეკომპანიის ხელმძღვანელები არ ეთანხმებიან. "რიონს" სასამართლო დავა აქვს სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმთანაც", რომლის კუთვნილ შენობაშიც იგია განთავსებული. ისინი "ქართული ფილმისგან" ვალების ჩამოწერას ითხოვენ.

ამ ეტაპზე უცნობი რჩება, თუ როდის შეძლებს ტელეკომპანია "რიონი" მუშაობის გაგრძელებას.

*ბექა სისაური*
*ქუთაისიდან*

# რუშაილოს ვიზიტი

დსთ-ს ქვეყნების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის შემდეგ ვლადიმირ რუშაილო ე.წ. წარდგენითი ვიზიტების ტურით არის დაკავებული. იგი ქვეყნისა და მთავრობის მეთაურებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს ხვდება და ეცნობა.

რუშაილოს პრეზიდენტ პუტინისგან საქართველოს ხელისუფლებისათვის გადმოსაცემად რაიმე კონკრეტული დანაბარები არ ჩამოუტანია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე საკითხთან მისეული დამოკიდებულება გაუზიარა.

**"გარდა ამისა, ჩვენ ახალი საფრთხეების და გამოწვევების თემაზეც ვისაუბრეთ - ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე, უკანონო მიგრაციას და ნარკოტიკების უკანონო მოძრაობაზე. ერთობლივი მუშაობისათვის ამ მხრივ დიდი რეზერვი არსებობს,"** – განაცხადა რუშაილომ შეხვედრების შემდეგ.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს, რუშაილოს პოზიცია ასეთია: **"კონფლიქტთან დაკავშირებით, საკითხები ადრე მიღებული შეთანხმებების კუთხით, მოლაპარაკების გზით უნდა განიხილებოდეს."**

*ლელა მჭედლიძე*

## ლეიბორისტების პოლიტსარჩელი

"საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი გუშინ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა და "ლეიბორისტების" ოფისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სპეციალური მიმართვა გადასცა. მიმართვა გაეგზავნება ასევე გაერო-ს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, პარლამენტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებს.

"საქართველოში ერთპარტიული ტერორისტული დიქტატურა მყარდება, ილახება ადამიანის უფლებები და იკრძალება სიტყვის თავისუფლება," – ამბობს შალვა ნათელაშვილი.

"ლეიბორისტთა" ოფისის დასაყადაღებლად სააღმსრულებლო დეპარტამენტის წარმომადგენელთა მისვლა ნათელაშვილმა პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასა და აღნიშნა, რომ "ხელისუფლების ძირითადი დარტყმა მთავარი ოპოზიციური ძალის – "ლეიბორისტული პარტიის" წინააღმდეგ ხორციელდება, რომელიც სააკაშვილი-ჟვანიას ხელისუფლებამ პარლამენტში უკვე მესამედ არ შეუშვა".

საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვაში ნათქვამია, რომ "პრეზიდენტ სააკაშვილის კაბინეტში იგეგმება ახალი პროვოკაციები პარტიის სალიკვიდაციოდ, პარტიის ლიდერთა დაპატიმრება და მათ წინააღმდეგ ტერორისტული აქტები".

"ლეიბორისტული პარტია" თხოვნით მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, გაატარონ საერთაშორისო სამართლებრივი სანქციები დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, დროებით შეუჩერონ ამ ხელისუფლებას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა და აიძულონ სააკაშვილის რეჟიმი, დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

გარდა ამისა, "ლეიბორისტული პარტია" მიმართავს მსოფლიოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერს, გამოუცხადონ მას სოლიდარობა და შექმნან "ლეიბორისტული პარტიის" მხარდამჭერი კომიტეტები საზღვარგარეთ.

*24 საათი*

## აშშ, თურქეთი, ბრიტანეთი...

ქართულ-ბრიტანული სამხედრო მანევრები - "ჯორჯიან ექსპრეს 2004" საჩვენებლი წვრთნებით დასრულდა. ვაზიანის აეროდრომის ტერიტორიაზე ტერორისტთა აყვანის სპეცოპერაცია ჩატარდა. სცენარის მიხედვით, ერაყის ერთ-ერთ სოფელში ბოევიკები შეიჭრნენ. მათ დაატყვევეს ადგილობრივი მოსახლეობა. ქართველმა და ბრიტანელმა სამხედროებმა შეიმუშავეს გეგმა სოფლის გასათავისუფლებლად და ოპერაცია განახორციელეს. ოპერაციაში ორი ვერტმფრენი ჩაერთო, რომლითაც სამშვიდობო დანაყოფისა და მედიკოსების დესანტირება განხორციელდა.

საჩვენებელ წვრთნებში მონაწილეობა 400-მდე სამხედრო მოსამსახურემ მიიღო - ბრიტანელმა სამხედროებმა, საქართველოს "კომანდოს" ბატალიონმა.

გენშტაბის უფროსის გივი იუკურიძის განცხადებით, ქართველ სამხედროებს ამ ტიპის ოპერაციების ჩატარება არა მხოლოდ უცხო ქვეყნებში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზეც შეუძლიათ. თავდაცვის მინისტრმა კი, წვრთნების წარმატებულად დასრულებაზე მეტად ის უფრო აღნიშნა, რომ საქართველოს არმიის აღმშენებლობაში, აშშ-ს და თურქეთის შემდეგ, ბრიტანეთიც ჩაერთო.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხები განიხილეს ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბულგარეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სოლომონ პასიმ და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სატელეფონო საუბრისას.

როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში აცხადებენ, ვენაში ეუთო-ს სამდივნოს მიერ ხუთშაბათს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეუთო ყურადღებით ადევნებს თვალს ვითარების განვითარებას კონფლიქტის ზონაში და აწარმოებს სატელეფონო კონსულტაციებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან და უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვთან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, საქართველოს ცხინვალის რეგიონში სიტუაცია განვითარდება იმ გზით, რომ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებული იქნება და ცენტრალურ აღმასრულებელ და ცხინვალის ხელისუფლებებს შორის დიალოგი გაგრძელდება. ამის შესახებ ნათქვამია რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ხუთშაბათს საქართველოს დიპლომატიურმა უწყებამ გაავრცელა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და რუსეთს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების მოსამზადებლად მორიგი შეხვედრა 16 ივლისს თბილისში გაიმართება. რუსეთის მხარეს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი უხელმძღვანელებს, ქართულს კი – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. როგორც სავოლსკი აცხადებს, ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი უკვე შეთანხმებულია და საბოლოო ჯამში, იგი ჩამოყალიბდება, როგორც მყარი სამართლებრივი ბაზა ორ ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ზვიად ძიძიგური კანონმდებლობაში შრომის ვეტერანის ცნების შემოღებას და შრომის სტაჟის მიხედვით პენსიების გაზრდას მოითხოვს. ძიძიგურის განცხადებით, შრომის ვეტერანად უნდა ჩაითვალოს პირი, რომელსაც მუშაობის 35-წლიანი სტაჟი აქვს და მას 45-ლარიანი პენსია უნდა დაენიშნოს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პოლიციის რეფორმა მტკივნეული და აუცილებელი

პირველი გვერდიდან

ამ გადამჭრელმა ზომებმა გარკვეული უკმაყოფილება უკვე გამოიწვია – საზოგადოებამ, ჯერჯერობით, რეფორმის ხილულ შედეგად მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლებულ პოლიციელთა უკმაყოფილება მიიღო. კანცელარიის შენობის წინ ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები, რომელთა ორგანიზატორებიც საგზაო პოლიციის რიგებიდან დათხოვილი პოლიციელები იყვნენ. ამ პოლიციელთა პროტესტს ქართველი კანონმდებლებიც გამოეხმაურნენ. პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტში აპირებენ, მოსმენა ჩაატარონ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების ირგვლივ, კერძოდ კი - პოლიციის თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების საკითხზე.

პოლიციელთა რიგები 15 ათასი თანამშრომლით შემცირდება – ასეთი გახლავთ თავად მინისტრისგან მომდინარე მესიჯი, რომელიც არა მხოლოდ სამსახურიდან უკვე გათავისუფლებულ ან გათავისუფლების მოლოდინში მყოფ პოლიციელებს აღელვებს. 15 ათასი უმუშევრად დარჩენილი პოლიციელი, რომელთათვის გათავისუფლების მიზეზების ახსნაზე დღეს თავს არავინ იწუხებს და არც მათ სოციალურ დაცვაზე ფიქრობს – რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას?

ისიც ფაქტია, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას რეალური რეფორმების გასატარებლად კიდევ არაერთი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა მოუწევს. საქართველოში პოლიციელთა რაოდენობა უზომოდ დიდი გახლდათ. ახლა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზრდილი ბიუჯეტი შემცირებული შტატების ხარჯზე, ცხადია, პოლიციის მუშაკთათვის გაცილებით მაღალი ხელფასების გაცემას გასწვდება და, აქედან გამომდინარე, დადებითი ეფექტიც, როგორც ამბობენ, სულ მალე გახდება საზოგადოებისთვის საგრძნობი.

**„პოლიციის კადრების შემცირება რეფორმის პირველი და აუცილებელი ნაბიჯი გახლავთ,** - ამბობს პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიგა ბოკერია, - **ცხადია, არასასიამოვნოა, როდესაც ამდენი ადამიანი უმუშევრად დარჩება და სამსახურის ძებნა მოუწევს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ საქართველოსთანა პატარა ქვეყანაში უზომოდ იყო გაბერილი კადრები და მათი შენახვის საშუალება არ არსებობდა. შესაბამისად, ხელისუფლებასა და პოლიციას შორის დადებული იყო გარიგება – ხელფასს არ მოგცემთ, მაგრამ შეგიძლიათ იყაჩაღოთ. ამ გარიგებას ვერ და არ შევინარჩუნებთ. გათავისუფლებული პოლიციელები მიიღებენ კანონით გათვალისწინებულ კომპენსაციას და მოუწევთ სხვა სამსახურის ძებნა.**

**ჩვენ უნდა ვისწავლოთ იმის მიხედვით ცხოვრება, რისი შესაძლებლობაც გვაქვს. ეს ხალხი იღებდა მიზერულ ხელფასს და იგულისხმებოდა, რომ ფულის შოვნას ისედაც შეძლებდნენ. ფულს კი ჩვენი მოქალაქეების ხარჯზე შოულობდნენ. ამიტომ ნუ ვიხმართ ტერმინს, რომ ეს ადამიანები გამოაგდეს პოლიციიდან, ვთქვათ, რომ ხდება მწვანე შუქის ჩაქრობა იმ ყაჩაღობისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიციაში.**

**ცხადია, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკის გაჯანსაღება, მაგრამ თავის მხრივ ეს ვერ მოხდება სახელმწიფო აპარატის რეფორმის, კადრების შემცირების გარეშე. ასე რომ, შემცირებები სწორედ ამ თვალსაზრისით – ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისითაც შეგვიძლია განვიხილოთ და ნორმალური პოლიციის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობადაც. მეტსაც გეტყვით, გათავისუფლება კი არა, უნდა შეიქმნას დანაშაულის ჩამდენ პოლიციელთა სამაგალითოდ დასჯის პრეცედენტები. მე არავის ვაშინებ, მაგრამ უახლოეს მომავალში ასეთ მაგალითებს ვიხილავთ. მარტო ვარდების რევოლუციის შემდეგ საპატიმრო ადგილებში, რბილად რომ ვთქვათ, პატიმრის თვითმკვლელობამდე მიყვანის, ორი ფაქტი იყო, უფრო მკაცრად თუ შევხედავთ, ეს იყო მკვლელობები. არ შეიძლება დაუსჯელნი დარჩნენ ის ადამიანები, რომლებმაც ასეთი დანაშაული ჩაიდინეს. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ პოლიციელი არ არის ხელშეუხებელი, ის პასუხს აგებს კანონის წინაშე, ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე და შეიძლება - მეტადაც“.**

გიგა ბოკერიას აზრით, პოლიციელთა რიცხვის, ფაქტობრივად, განახევრებით დაწყებული რეფორმა, რომელიც პოლიციის დეცენტრალიზაციითა და საზედამხედველო საბჭოების ჩამოყალიბებით უნდა გაგრძელდეს, შესაბამის ეფექტს მოგვცემს.



*საბჭოთა მილიციელებს ჟარგონზე ყაყაჩოებსაც უწოდებდნენ. ახლა კი, როგორც რეფორმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ლევან იზორია ამბობს, "ქართველი პოლიციელი" ყველაზე მისაღებ ცნებად უნდა იქცეს საზოგადოებისთვის (ინტერვიუ ლევან იზორიასთან იხილეთ B1 გვერდზე).*

იური ლობოდინის ფოტო

## გათავისუფლებულ პოლიციელებს მინისტრის იმედი აქვთ

*საგზაო პოლიციის სამმართველოს გაუქმებამ და მის ბაზაზე ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს დაარსებამ უდანაკარგებოდ ვერ ჩაიარა. საგზაო პოლიციის 1200 თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და კადრების განკარგულებაში გადასცეს. ცხადია, გათავისუფლებული პოლიციელები ახალი მთავრობის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ რეფორმებს სკეპტიკურად უყურებენ.*

*“24 საათმა” რამდენიმე მათგანთან გასაუბრება მოახერხა, თუმცა შს სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს უკვე ყოფილმა თანამშრომლებმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვეს, მოტივი ერთია - შს მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრის და საუბრის შემდეგ, ძველ სამსახურში დაბრუნების იმედი მათ ჯერ კიდევ აქვთ.*

**- რა მოტივით მოხდა თქვენი სამსახურიდან გათავისუფლება?**

- არაფერი აუხსნიათ, იძულებით დაგვაწერინეს პატაკი და გვითხრეს, რომ, სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კადრების განკარგულებაში გადაგვიყვანეს. საქმე ის გახლავთ, რომ ასაკობრივი ცენზი დაწესდა. სამსახურში გვითხრეს, შს მინისტრის ბრძანებულებით, უწყებაში მხოლოდ 37 წლამდე ასაკის თანამშრომლებს შეუძლიათ დარჩენაო. ეს, ალბათ, დაუწერელი კანონია, რადგან ოფიციალური დოკუმენტი მინისტრის ხელმოწერით არ გვინახავს.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ საბოლოოდ არ ვიცით, რატომ გამოგვყარეს, წიხლი გვკრეს, არავის უკითხავს ჩვენი პირადი საქმე, არ დაინტერესებულან ჩვენი გამოცდილებით და ცოდნით.

**- ანუ ყველა, ვინც სამსახურში დატოვეს, 37 წელს არ არის მიღწეული, თუ კიდევ სხვა კრიტერიუმიც არსებობს?**

- არა, ახალგაზრდებიც გამოუშვეს, მაგრამ თავისი ხალხი ჰყავთ დასასაქმებელი. ჰოდა, გამოგვყარეს და ისინი აიყვანეს. არ გვაქვს პრეტენზია, დაასაქმონ, მაგრამ ამდენმა გამოცდილმა ადამიანმა, ვინც ლუკმა პურის გარეშე დარჩა, რა ქნას?

მახსოვს, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, ამბობდნენ, უმუშევრებს დავასაქმებთო და ახლა კიდევ პირიქით აკეთებენ, ათას ხუთასამდე პოლიციელი ქუჩაში დატოვეს.

**- რომ გამოგიშვეს, საპენსიო უზრუნველყოფა ან რამე დახმარება არ დაგინიშნეს?**

- გვითხრეს, ორი თვის ხელფასს გადაგიხდითო, მაგრამ ეხლა ეგ რას გვიშველის. ჩვენ არც საპენსიო სტაჟი გვაქვს და არც ასაკი, რა უნდა ვქნათ? თან, იცით რა არის, როცა ადამიანი პოლიციაშია ნამუშევარი, ახალ სამსახურს ვერ დაიწყებს, ძმაც არ მიგიღებს, რადგან პოლიციელობა სადამსჯელო სამსახურია და არავის უნდიხარ.

**- როცა მუშაობდით, რამდენი გქონდათ ხელფასი ან როგორ არჩენდით ოჯახს, ქრთამს თუ იღებდით?**

- ხელფასი 100 ლარამდე გვქონდა, რასაკვირველია, არაფერზე გვყოფნიდა და ქრთამების აღებაც ხდებოდა. მაშინ მთელი სისტემა იყო კორუმპირებული და ფულს სისტემის ყველა რანგის თანამშრომელი იღებდა. რა გვექნა, არ გვინდოდა ჭამა, სმა, ბენზინი ან ოჯახების შენახვა?! მაგრამ ახლა ძველ სისტემაზე საუბარს რა აზრი აქვს, სააკაშვილმა რომ თქვა, ქრთამი არ აიღოთო, გამოვსწორდით და საქმის კეთილსინდისიერი შესრულება დავიწყეთ, მაგრამ რად გინდა, მაინც წიხლი გვკრეს.

**- ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ხელფასი არ გაგიზარდეს?**

- კი, დანამატი მოგვცეს, მაგრამ - 150 ლარამდე. გვიჭირდა, მაგრამ მაინც კეთილსინდისიერად ვასრულებდით ჩვენს საქმეს და ვცდილობდით, კარგად გვემუშავა.

**- სისტემის რეფორმაზე რა აზრის ხართ, საჭირო იყო?**

- რეფორმა საჭირო იყო, მაგრამ, ვინც ეგ დაგეგმა, რატომ არ იფიქრა იმაზე, რომ ამდენი გათავისუფლებული პოლიციელის უკან ოჯახებია, რომელთაც შენახვა სჭირდება. რა ვქნათ ჩვენ, ამ ასაკში პროფესიას ხომ ვერ გამოვიცვლით, სხვათა შორის, სანამ ამ სამსახურში მიგვიღებდნენ, გამოცდებს ვაბარებდით და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გავდიოდით, ტყუილად კი არ ვიყავით იქ შეყრილები1

**- ახლა რას აპირებთ, გაქვთ იმედი, რომ სამსახურში დაგაბრუნებენ?**

- ჩვენ ძალიან გვინდა მინისტრთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა, ვარდებით ხელში მივალთ, იარაღით კი არა, და კანონის ფარგლებში ჩვენი უფლებების დაცვას მოვითხოვთ. გააუქმონ ცენზურა და სამსახურში დატოვონ ის, ვინც ღირსია. ის მაინც გვითხრან, რატომ გაგვიშვეს.

იცით, ჩვენთან მუშაობდნენ ისეთები, ვინც კონტრაბანდისტები იყვნენ, ნარკომანები, ლოთები და კაცის მკვლელები, გადახედონ პირად საქმეს, შეისწავლონ და შეარჩიონ, წინააღმდეგი არავინ იქნება.

**- თუ მინისტრთან შეხვედრა ვერ მოახერხეთ და სისტემაში არ აღგადგინეს, რას აპირებთ, ხომ არ გინდათ შექმნათ, მაგალითად, პროფკავშირები, რომელიც თქვენს უფლებებს დაიცავს?**

- არაფერს არ ჩამოვაყალიბებთ და არ შევქმნით, ჩვენ ჯერ კიდევ პოლიციელები ვართ.

თუ სამსახურში არ დაგვაბრუნებენ, ფართომასშტაბიან მიტინგებს გავმართავთ და ოქრუაშვილის გადაყენებას მოვითხოვთ. აბა, რა ვქნათ?!

■ ■ ■

საქართველოს საგზაო პოლიციის შეფი ვასილ მარგალიტაძე ირწმუნება, რომ მისი უწყებიდან ჯერ არც ერთი პოლიციელი არ გაუგდიათ.

**- რა კრიტერიუმებით მოხდა პოლიციელთა გათავისუფლება?**

- ჯერჯერობით, პოლიციელები, რომლებიც გათავისუფლების გამო პრეტენზიებს გამოთქვამენ, პოლიციის რიგებიდან არავის გაუგდია. ისინი კადრების განკარგულებაში არიან გადაცემულნი. ოთხი თვის მანძილზე მათი ნაწილი დასაქმდება, ნაწილს კი, ალბათ, სხვა სტრუქტურებში მოუწევს სამუშაოს ძებნა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებული სტრუქტურა




ახალი დებულების თანახმად, ასეთი გახლავთ ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დაყოფა.

ახალ დებულებას უკვე საქართველოს პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი. ამ დებულებაში უკვე დაკანონდა ის ცვლილებები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გამოთქვა.

დებულების თანახმად, გაუქმებულია ეკოპოლიციის, საგზაო პოლიციის, სატრანსპორტო პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოები. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროგრამის მიხედვით, სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებიდან გამოვიდა დაცვის პოლიცია. ეს უწყება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება და შემოსავლები მას მისივე საქმიანობიდან ექნება.

რაც შეეხება დიაგრამაზე მოცემულ სტრუქტურათა არსობრივ განმარტებას, ამის მიღება რთული აღმოჩნდა. კერძოდ, კითხვაზე, რომელი სტრუქტურა გახდება სამოქალაქო და რომელი დარჩება კვლავაც პოლიციურად, პასუხი ვერ მივიღეთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებთან დაკავშირება სრულიად უშედეგო აღმოჩნდა – სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელმა კადრების განყოფილებისკენ მიგვითითა, კადრების განყოფილებაში კი ამ საკითხზე კომპეტენტური პასუხის გამცემად კვლავ აპარატის ხელმძღვანელი დაგვისახელეს...

## ჭერჭერობით მხოლოდ - გარეგნობითა და ზრდილობით...

*ამ ცოტა ხნის წინათ „24 საათისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ირაკლი ოქრუაშვილი ამბობდა, რომ საპატრულო პოლიცია უკვე 15 ივლისს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა, მან დათქმულ ვადაზე ადრე მოახერხა ამ სტრუქტურის ამოქმედება. ერთია ოღონდ, დედაქალაქში საპატრულო პოლიციის არსებობა ჯერ კიდევ არ უგრძვნიათ, მიუხედავად იმისა, რომ, პოლიციის მაღალჩინოსანთა თქმით, ამ დანაყოფის წარმომადგენლები საკუთარ მოვალეობებს უკვე 12 ივლისიდან ასრულებენ.*

წესრიგის დაცვის ეგიდით თბილისში საპატრულო პოლიციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ შევარდნაძისდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა გააჟღერა. ეს წამოწყება კიდევ უფრო დაკონკრეტდა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, გია ბარამიძის მინისტრობის დროს, თუმცა, საპატრულო პოლიციის შექმნა და მისი ამოქმედება მნიშვნელოვნად დააჩქარა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ირაკლი ოქრუაშვილის გადანაცვლებამ.

საპატრულო პოლიცია საგზაო პოლიციის ბაზაზე შეიქმნა, თუმცა, მისი ფუნქციები გაცილებით ფართოა და, საგზაო მოძრაობის წესების დაცვაზე მეთვალყურეობის გარდა, მას მთლიანობაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ევალება. ამ სამსახურში მუშაობის დაწყებისათვის პოლიციელად მუშაობის სტაჟი აუცილებელი არ ყოფილა. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კარი ყველასთვის ღია იყო – პოლიციელისა და სამოქალაქო პირისთვისაც. მთავარი - საპატრულო პოლიციისთვის დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება გახლდათ, თუმცა ჯერჯერობით არაპოლიციური წარსულის მქონეთ ამ სამსახურში მუშაობის დაწყების დიდი სურვილი არ გამოუვლენიათ.

ჯერჯერობით, საპატრულო პოლიცია მხოლოდ თბილისში მოქმედებს, მაგრამ დედაქალაქის მცხოვრებნი რომ ჯერჯერობით ვერ ამჩნევენ პატრულთა საქმიანობის კვალს, იმას მიეწერება, რომ საპატრულო პოლიციის ნარჩევი თანამშრომლები, ჯერჯერობით, ძველი ფორმებით არიან შემოსილნი და თბილისის ქუჩების პატრულირებას ჯერაც ძველი მანქანებით ახორციელებენ.

თავად შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, აგვისტოში უკვე მზად იქნება სპეციალურად საპატრულო პოლიციელთათვის შეკერილი ფორმებიც და გერმანიიდან სპეციალურად მათთვის განკუთვნილი მანქანებიც ჩამოვა. მანამდე კი, თბილისის მცხოვრებლებს საპატრულო პოლიციელთა სხვებისგან გარჩევა ასაკით (საპატრულო პოლიციაში მხოლოდ 23-დან 37 წლამდე ასაკის მამაკაცები მიიღებიან), გარეგნული ნიშნებითა და თავაზიანობის ხარისხით შეუძლიათ. გარეგნობა და ინტელექტი ის ძირითადი მოთხოვნები გახლდათ, რომლებიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლობის კანდიდატებს უნდა დაეკმაყოფილებინათ. მათი შერჩევა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ იტვირთა. პირველ ეტაპზე მათთან საპატრულო პოლიციაში მუშაობის მსურველთა 1500 განცხადება შევიდა, გასაუბრების შემდეგ მათი რიცხვი 650-მდე შემცირდა, ორკვირიანი სპეციალური სწავლების შემდეგ კი 100 მათგანი აკადემიიდან გარიცხეს. მეორე ეტაპზეც დაახლოებით იგივე განმეორდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნით, ჯერჯერობით მთელი საქართველოს მასშტაბით პატრულირებისთვის 1100 პოლიციელი მზადდება. თბილისს კი აქედან 650 მოემსახურება 150 მანქანით.

მათი 24-საათიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად დედაქალაქის ბიუჯეტმა 20 მლნ ლარი გამოყო. თითოეული საპატრულო პოლიციელის ხელფასი კი 400 ლარი იქნება.

სხვებთან შედარებით მაღალი ანაზღაურება იმის გარანტად უნდა იქცეს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ერთგვარ ქუჩის რეკეტად არ გადაიქცევიან.

## ენერგეტიკოსებს ბენდუქიძის იდეები არ მოსწონთ

მაია ურუშაძე

*"თუ ენერგეტიკაში ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის მიერ დაგეგმილი ტოტალური პრივატიზება განხორციელდა, საქართველომ, შესაძლოა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა დაკარგოს," – ეს ხმამაღალი განცხადება "საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ" გააკეთა.*

საპრივატიზებო ნუსხაში, რომელიც გუშინ კახა ბენდუქიძემ წარმოადგინა, ენერგოობიექტები საკმაოდ სოლიდური ოდენობით არის წარმოდგენილი. თუმცა, ჯერჯერობით, საუბარი არ არის "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზებაზე. ეს ფაქტი კი საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. **"პირველ რიგში, ეს კომპანია უნდა გაიყიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარგში გატარებული ყველა რეფორმა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება,"** – აცხადებენ საზოგადოების წევრები და მიიჩნევენ, რომ სადისტრიბუციო სექტორის პრივატიზებამდე ენერგოგენერაციის ობიექტების გაყიდვა სრული უაზრობაა და დარგის კიდევ უფრო გაჩანაგებას გამოიწვევს. **"გაყიდვის შემთხვევაში, ჰესებს კერძო მესაკუთრე შეიძენს, მას კი მყიდველი არ ეყოლება, რადგან დღეს საქართველოს სადისტრიბუციო სექტორს მოხმარებული დენის საფასურის ამოღება მხოლოდ 16 პროცენტით ძალუძს,"** – აცხადებს საზოგადოების თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი და მიიჩნევს, რომ სადისტრიბუციო ბაზრის პრივატიზებამდე გენერაციის გასხვისების საკითხი დღის წესრიგში არ უნდა დადგეს. **"ამასთან, გენერაციის ობიექტების საკონტროლო პაკეტები სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს, რათა ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და სექტორის კონტროლის ბერკეტები შეინარჩუნოს,"** – დასძენს ფირცხელანი და მაგალითად "თელასისთვის" თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკებისა და ხრამჰესების "ჩუქება" მოჰყავს: **"შევარდნაძის მთავრობამ დანაშაული ჩაიდინა, როცა ეს ობიექტები "ეი-ი-ესს" აჩუქა. მეპატრონემ სადგურები, პრაქტიკულად, გააჩერა და ქვეყანაში ხელოვნურად შექმნა ენერგოდეფიციტი".**

ფირცხელანი ენერგოსექტორში ქაოსის ერთ-ერთ პირველწყაროდ საბითუმო ბაზარს მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეკონომიკის სამინისტრომ, პირველ რიგში, მის განკერძოებაზე უნდა იზრუნოს, რადგან ამ შემთხვევაში **"ბაზარი აღარ იქნება დაინტერესებული სექტორში კორუფციული გარიგებების არსებობით."**

რაც შეეხება დენის ტარიფს, საზოგადოების თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის 7 თეთრამდე უნდა შემცირდეს: **"ტარიფში დენის მწარმოებელთა წილი, დაახლოებით, 30 პროცენტია, ხოლო დისტრიბუტორებს ლომის წილი მიაქვთ. ეს უპრეცედენტო უსამართლობაა."** ფირცხელანის განმარტებით, გენერაცია საკუთარი წილის გაზრდას არ ითხოვს, ასე რომ, წონასწორობისა და სამართლიანობის აღდგენა დისტრიბუტორთა წილის შემცირებითაა შესაძლებელი.

ფირცხელანი აცხადებს, რომ კეთილი ნების არსებობის პირობებში, ქვეყანაში არც ენერგოდეფიციტის აღმოფხვრაა შეუძლებელი: **"თუ ხელისუფლება ხუდონჰესის მშენებლობას დაიწყებს, დასაქმების პრობლემასაც მოაგვარებს (ენერგეტიკოსებს 5 ათასამდე სამუშაო ადგილს შეუქმნის) და ორ წელიწადში დამატებით სიმძლავრესაც ამოქმედებს."** როგორც გაირკვა, ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ ეს საკითხი უკვე წამოჭრა ენერგეტიკის მინისტრთან ნიკა გილაურთან, რომელმაც მათ აცნობა, რომ პრემიერ-მინისტრის დავალებით, ის უკვე ეძებს ინვესტორებს ხუდონჰესის მშენებლობისთვის, რაც 300 მილიონი დოლარი ჯდება.

ახლა საზოგადოების წევრები ეკონომიკის მინისტრ კახა ბენდუქიძესთან და მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან შეხვედრას ითხოვენ. მათი მთავარი მოთხოვნაა, ენერგოსექტორში ვითარების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები მთავრობამ, პირველ რიგში, ენერგეტიკოსებთან განიხილოს. საზოგადოების წევრებს უკვე მზად აქვთ წინადადებათა პაკეტი, რომლის განხილვასაც ქვეყნის ხელისუფლებას დაუყოვნებლივ სთხოვენ, მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში კი, საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

## ნამუსის გარდა ყველაფერი იყიდება

ნიკა მარიამიძე

*მალე საქართველოში ყველაფერი გაიყიდება. "ნამუსის გარდა," – ეს დაზუსტება ტოტალური პრივატიზების იდეის ავტორს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ კახა ბენდუქიძეს ეკუთვნის. მიუხედავად პოლიტიკური ხასიათის ნოსტალგიური განცხადებებისა, რომ სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა ქვეყანას დამოუკიდებლობას დააკარგვინებს, საქართველოს ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებების ეპოქა მაინც დგება. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის ნდობით აღჭურვილი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი უპატრონო და გავერანებული სახელმწიფო საწარმოებისთვის ღირსეული პატრონების ძებნას იწყებს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საქართველოს ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებების ეპოქა დგება ეკონომიკის მინისტრი უპატრონო სახელმწიფო ქონებისათვის ღირსეულ პატრონებს ეძებს.*

გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ 2004-2006 წლებში საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა დაამტკიცა და ის საზოგადოებას საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე წარუდგინა. 372 ობიექტისგან შემდგარი სიის პირველ ათეულში "თბილავიამშენი", "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი", "ჭიათურმანგანუმი", "აზოტი", "საქართველოს" ელექტროკავშირი", "საქართველოს ტელეკომი", საქალაქთაშორისო კავშირი", "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი", "ძევრულაჰესი" და "შაორჰესი" შედიან. აქვეა საქართველოს ეროვნული ზარაფხანა, "გუმათჰესი", "რიონჰესი", "ლაჯანურჰესი", "ფოთის აეროპორტი", ფილარმონია, ბათუმის გემთსაშენი ქარხანა, გაზის საწარმოები და ბევრი სხვა ობიექტი.

ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ნუსხის განახლება, შევსება და დაზუსტება პერიოდულად მოხდება. განახლებული ნუსხის ხილვა კი შესაძლებელი იქნება ვებსაიტზე: http://www.privatization.ge. **"ნუსხაში შემავალი საწარმოების გაყიდვის აუცილებლობა სამინისტრომ უკვე იურიდიულად დაასაბუთა. ამ ობიექტების პრივატიზაცია ეტაპობრივად განხორციელდება, პრივატიზების პროცესი კი გამჭვირვალედ წარიმართება. პირველი რიგის ობიექტების პრივატიზება ნუსხის გამოქვეყნებისთანავე დაიწყება,"** – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში. სავარაუდოდ, პრივატიზაციის ძირითადი პროცესი წელიწადნახევარში დასრულდება. პირველ ეტაპზე აჭარის ტურისტული ობიქტების პრივატიზაცია იგეგმება. **"სახელმწიფო საკუთრებაში მხოლოდ ის ობიექტები უნდა დარჩნენ, რომლებიც საქართველოსთვის თვითიდენტიფიკაციის სიმბოლოს წარმოადგენენ,"** – ასეთია მინისტრის პოზიცია.

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებას, ჯერჯერობით, კრძალავს, კახა ბენდუქიძე კანონში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოდის და შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების პაკეტსაც ამზადებს.

რაც შეეხება გასაყიდი ობიექტების მომავალ მფლობელებს და პრივატიზაციის პირობებს, კახა ბენდუქიძე აცხადებს, რომ ინვესტორები ყველაზე დიდ დაინტერესებას იჩენენ "საქართველოს ელექტროკავშირის", "საქართველოს ტელეკომისა" და ჰიდროელექტროსადგურების მიმართ. მისივე თქმით, ამჟამად ეკონომიკის სამინისტრო "აზოტისა" და "თბილავიამშენის" მმართველებთან საწარმოების შესყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. საქმე ისაა, რომ ეს საწარმოები მართვის უფლებით არის გაცემული. მინისტრის შეფასებით, "ასეთი მართვა უაზროა", ამიტომაც აუცილებელია ქარხნის პრივატიზება. ასე რომ, "თბილავიამშენისა" და "აზოტის" მმართველები მალე საწარმოს მფლობელებად იქცევიან. ამ საკითხებზე სასაუბროდ "იტერას" ("აზოტის" მმართველი კომპანია) მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ოტჩერცოვი გუშინ თბილისში რამდენიმესაათიანი ვიზიტით იმყოფებოდა. სავარაუდოდ, "იტერა" "აზოტის" აქციათა 90 პროცენტის "უპირობოდ" შეძენას გეგმავს, თუმცა ჯერ საწარმოსთვის სახელმწიფო ვალების ჩამოწერას მოითხოვს. ეს დავალიანება 46 მილიონ დოლარს აღწევს. ბენდუქიძის თქმით, "იტერას" საწარმოს შესყიდვისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს, თუმცა ამ თანხას გამოაკლდება ის დავალიანებები, რომლებიც "იტერას" მიმართ ქართულ საწარმოებს დაუგროვდათ.

აჟიოტაჟი გამოიწვია საპრივატიზებო ნუსხაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გამოჩენამ. როგორც ცნობილია, ქარხანაში ამჟამად იტალიელი ინვესტორები მუშაობენ, რომლებსაც ქარხნის აქციათა 80 პროცენტზე საკუთარი პრეტენზიები აქვთ. თუმცა, ეკონომიკის მინისტრი მიიჩნევს, რომ ახლა მთავარია, კომბინატს რეალური მფლობელი დროულად გამოუჩნდეს და საწარმო აამუშაოს. **"ამიტომ კომბინატში შექმნილი მძიმე ვითარება სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს და დაინტერესებულმა მხარეებმა საერთო ენა გამონახონ,"** – აცხადებდა გუშინ ბენდუქიძე.

რაც შეეხება ქვეყნის "აბრეშუმის ძარღვს" – "საქართველოს რკინიგზას", მალე ის 100-პროცენტიანი სახელმწიფო საკუთრება აღარ იქნება. მისი თანამფლობელობის სურვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასაც (IFC) აქვთ. ბენდუქიძე იმედოვნებს, რომ ამ შემთხვევაში რკინიგზის მენეჯმენტი რადიკალურად შეიცვლება და სახელმწიფო ამ საწარმოზე უარყოფით ზეგავლენას ვეღარ მოახდენს. მისი განცხადებით, 19 ივლისს თბილისში IFC-ის წარმომადგენლები ჩამოვლენ, რომლებიც "საქართველოს რკინიგზის" აქციათა 10 პროცენტის ფლობით არიან დაინტერესებულნი.

უახლოეს თვეებში განხორციელდება ბათუმისა და ფოთის პორტების პრივატიზაციაც. ფოთის პროტისთვის ტენდერი, შესაძლოა, ერთ თვეში გამოცხადდეს. თუმცა, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, პორტი ერთიანად გაიყიდება თუ ცალკეული ნავმისადგომების მიხედვით.

რაც შეეხება ბათუმის პორტს, ბენდუქიძის თქმით, **"აქ ძალიან რთული ფინანსური და იურიდიული ვითარებაა და ეკონომიკის სამინისტროს სპეციალური სამსახური მის შესწავლაზე მუშაობს."** შესაძლოა, ბათუმის პორტთან ერთად გაიყიდოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაც. სამინისტრო ამ საკითხზე თავის პოზიციას 2 თვეში ჩამოაყალიბებს.

ფილარმონიის გაყიდვას ეკონომიკის მინისტრი კონკრეტული პირობით გეგმავს. კერძოდ, მისმა მომავალმა მფლობელმა კულტურის სამინისტროსთან ხელშეკრულება უნდა გააფორმოს და წელიწადში რამდენიმე კონცერტის გამართვის უფლება მინიმალური საზღაურის ფასად მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ ბენდუქიძისათვის ფილარმონიის მომავალი მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, იგი დარწმუნებულია, რომ მას საკუთრებისათვის პროფილის შეცვლის სურვილი არ გაუჩნდება. **"ფილარმონიას იყიდის ის, ვინც ყველაზე მეტ ფულს გადაიხდის,"** – აცხადებს ბენდუქიძე. პრინციპში, ეკონომიკის მინისტრს ყველა გასაყიდი საწარმოს მიმართ ანალოგიური მიდგომა აქვს.

ამასთან, საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების პრეზენტაციას ივლისის ბოლოს ეკონომიკის სამინისტრო ისრაელში, ხოლო შემოდგომაზე – დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, რუსეთსა და თურქეთში გეგმავს. მინისტრი იმედოვნებს, რომ ამ გზით ებრაელი, მოგვიანებით კი – ბრიტანელი, რუსი, ამერიკელი, თურქი და სხვა ბიზნესმენები საქართველოში გასაყიდი საწარმოებისა და ქვეყანაში არსებული საგადასახადო გარემოს შესახებ სრულ ინფორმაციას მიიღებენ და საქართველოს ეკონომიკით მათი დაინტერესებაც გაიზრდება.

## რუსი ოლიგარქები დიდი ბრიტანეთის დედოფლის ქონებასაც ეტანებიან

*რუსი ოლიგარქების ინტერესები უფრო შორს მიდის, ვიდრე რუსეთი. ამჯერად მათი დაინტერესების საგანი ბრიტანეთის დედოფლის ქონებაა. თუმცა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ელისაბედ მეორე მზად არის, მათი ინტერესი დააკმაყოფილოს. სულ მალე, როგორც ბრიტანული "გარდიანი" იუწყება, ბუკინგემის სასახლესთან მდებარე ისტორიული შენობები რუსი ოლიგარქების და სხვა დაინტერესებული პირების მფლობელობაში გადავა.*

დიანა ჩაჩუა

რამდენიმე დღის წინ, კომპანია "Crown Estate"–მა, რომელიც ბრიტანეთის დედოფლის ქონებას განაგებს, განაცხადა, რომ ოთხი შენობა, მათ შორის - კომპანიის საკუთარი ოფისი, გაყიდვას ექვემდებარება.

უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის ქონების საერთო ღირებულება, რომელიც ასევე ქუჩა "რიდჯენტსტრიტს" და უინძორების დიდ პარკს ითვლის, შარშან 8,4 პროცენტით გაიზარდა და 4,4 მილიარდ ფუნტს მიაღწია, ხოლო აქედან შემოსავლები 3,6 პროცენტით გაიზარდა და 176 მილიონი ფუნტი შეადგინა.

თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, სამეფო ქონების გაყიდვიდან ყველა შემოსავალი პირდაპირ დედოფალთან უნდა მიემართებოდეს, მაგრამ 1760 წელს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, იგი მთლიანად ხაზინას გადაეცემა.

სამეფო უფლებამოსილების მქონე უწყება ამჟამად ქუჩა "რიდჯენტსტრიტის" რესტრუქტურიზაციას ატარებს, რომელიც 500 მილიონი ფუნტი დაჯდება. მაგალითისთვის, 2003-2004 წლებში აღნიშნულმა უფლებამოსილმა პირებმა უძრავი ქონების გაყიდვის ხარჯზე 63,8 მილიონი ფუნტი შეაგროვეს.

გასაყიდ ობიექტებს შორის აღმოჩნდება ასევე 1820 წელს კარლტონ-ხაუს-ტერრასის რაიონში აშენებული სახლები, თუმცა ეს 2006 წლის შემდეგ იგეგმება. ამასთან, ეს პროცესი ვესტმინსტერის საქალაქო საბჭოსგან ნებართვის მიღებას საჭიროებს. ნებართვა, როგორც ინგლისური პრესა ვარაუდობს, გაცემული იქნება, რადგან ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ აღნიშნულ რაიონში ბევრი საცხოვრებელი შენობა იყოს. ცნობისათვის, ამ რაიონში არსებული 18 სახლიდან საცხოვრებელი სახლის სახით მხოლოდ ერთი გამოიყენება, დანარჩენი აპარტამენტები ოფისებია.

ჯერ, რა თქმა უნდა, ადრეა იმაზე ლაპარაკი, თუ ვის მიენიჭება უპირატესობა დედოფლის ქონების გაყიდვის დროს. თუმცა ის, რომ რუსი ოლიგარქები სერიოზულად არიან დაინტერესებულები ინგლისური ობიექტების შეძენით, შემდეგი ფაქტებიდანაც ჩანს. ცოტა ხნის წინ, რუსმა ოლიგარქებმა ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე ძვირიანი სახლის ყიდვასთან დაკავშირებით ნამდვილი შეჯიბრება მოაწყვეს, - იუწყება ლონდონური პრესა. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი შემართებით იბრძოლებენ რუსები დედოფლის ქონების შესაძენად.

ცნობისათვის, ქონება, რომელსაც კომპანია "Crown Estate"-ი ხელმძღვანელობს, მოიცავს ზემოთ ნახსენებ კენსინგტონ-პალას-გარდენის ქუჩას, რომელსაც "მილიარდერების ქუჩას" უწოდებენ, ლონდონში რიდჯენტ-სტრიტზე მთელ სამეფო საკუთრებას, ასევე შენობებს რიდჯენტს-პარკის ირგვლივ და უინძორების დიდ პარკს, სამეფო ციხე-სიმაგრის გამოკლებით.

"Crown Estate"–ი განაგებს ასევე გაერთიანებული სამეფოს მთელ ოქროს და ვერცხლის საბადოებს და ასევე, ხმელეთიდან 12 საზღვაო მილის დაშორებით არსებულ ზღვის ფსკერს.

## მსოფლიო ბანკი ნოვაციური პროექტების განხორციელებას აფინანსებს

თამარ ივანიძე

უკვე რამდენიმე წელია, ჩოხატაურის რაიონში გადაშენების პირას მყოფი ყურძნის ჯიშის - ჩხავერას სანერგე შეიქმნა. ჯიში, რომლის ერთეული ძირები იყო შენარჩუნებული, ამ საქმის სპეციალისტებმა ცალკეული ფერმერების საკარმიდამოში მოიძიეს და ახლა უკვე ერთ ჰექტარზე სამი წლის ვაზისაგან 500-800 კილოგრამ მოსავალს ელოდებიან. ამასთან, შეიქმნა სანერგე. გურული გლეხი, რომელმაც ტრადიციულ კულტურაზე - ჩაიზე თითქმის უკვე ჩაიქნია ხელი, ჩხავერას დიდი ენთუზიაზმით აშენებს, რასაც ყურძნის ჩაბარების ფასიც - 2-2,5 ლარი ერთი კილოსთვის, უწყობს ხელს. უკვე დაიწყო საკმაოდ ძვირადღირებული ღვინის წარმოებისა და რეალიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.

აჭარაში ბათუმის აგრარული ტექნოლოგიის და გადამუშავების ინსტიტუტმა 1999 წელს დაიწყო საქართველოსთვის ახალი კულტურის - სტივიას დანერგვა, რომელიც დიაბეტიანებისთვის უსაფრთხო, შაქარზე 100-300-ჯერ ტკბილი პროდუქტის წარმოებას დაუდებს საფუძველს. ეს კულტურა 8 ჰექტარზე უკვე გაშენდა, თითოეულ ჰექტარზე კი 1,5 - 2 ტონა მოსავალი მოიყვანეს. სულ მალე, ესპანელებთან ერთად დამზადდება თეთრი ფერის ტაბლეტები, რომლებიც დიაბეტიანთათვის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა.

ასოციაცია "კივი - მომავლის კულტურა"-მ 2003 წლის 1 მარტს დაიწყო თავისი მეცნიერული კვლევის პრაქტიკაში გამოცდა - ამ დღიდან იგი პოლიეთილენის პარკებში ზრდის კივის ნერგს, რომელიც, საქართველოში დღემდე გავრცელებული კივის ჯიშებისგან განსხვავებით, უფრო ტკბილიცაა და რომელიც დღემდე საქართველოში დამკვიდრებული კივის მოყვანის წესებისგან განსხვავებით, პროდუქტიულობის თითქმის 100 პროცენტს აღწევს.

ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა, საქართველოსთვის ნოვაციური პროექტები "საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი"-ს ფარგლებში ხორციელდება, რომელიც განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტით (7,54 მილიონი აშშ დოლარი), გარემოს გლობალური დაცვის ფონდის გრანტით (2,47 მილიონი აშშ დოლარი), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თანამონაწილეობით (1,67 მილიონი აშშ დოლარი) და მოსარგებლეთა მონაწილეობით (0,66 მილიონი აშშ დოლარი) ფინანსდება. პროექტის განხორციელების ვადაა 2001-2005 წლები.

პროექტის ფარგლებში ქართველ მეცნიერებს საშუალება ეძლევათ საკუთარი მეცნიერული მიღწევები სოფლის მეურნეობის სფეროში პრაქტიკულად დანერგონ, ფერმერებს ახალი ტექნოლოგიები შეასწავლონ, სანერგეები შექმნან, ახალი კულტურები მოიყვანონ, ძველი გააუმჯობესონ. ამ დღეებში ჩაქვში აჭარის, გურიის და სამეგრელოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების შედეგები მოისმინეს, რომელთა შორის ზემოთ მოხსენიებული რამდენიმე მაგალითი იყო.

საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი რევაზ ასათიანი "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ "მოსარგებლეებისთვის" დაფინანსება გრანტულია, მათი თანამონაწილეობა კი, შესაძლოა, გამოიხატოს პროექტში არა ფულის ჩადებით, არამედ, მაგალითად, საკუთარი ოფისის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით. მისივე თქმით, სულ სამ შემთხვევაში ვერ მოხერხდა დაწყებული პროექტის ბოლომდე მიყვანა, ისიც - ტექნიკური პრობლემების გამო და, შესაბამისად, დაფინანსება მათი განხორციელების პროცესში შეწყდა.

აღნიშნულ პროექტზე მსოფლიო ბანკის მხრიდან მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა დარეჯან კაპანაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ საქართველოში განხორციელებული პროექტების, დაახლოებით, 20 პროცენტი "სანიმუშო მაგალითად" ითვლება, როცა პროექტი არა მხოლოდ ფერმერთა დიდ რაოდენობას მოიცავს და ზედმიწევნით ხორციელდება წინასწარი გეგმის მიხედვით, არამედ - როცა დაფინანსების დამთავრების შემდეგ მისი გაგრძელების რეალური პერსპექტივა ჩანს.

მისი თქმით, **"დღემდე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი"-ს ფარგლებში ოთხი სრულფასოვანი საგრანტო ციკლი დატრიალდა. არსებობს ფინანსური რეზერვი, რომ 2005 წლის გაზაფხულზე კიდევ გამოცხადდეს ახალი კონკურსი გრანტების მისაღებად".**

დაბოლოს - მსოფლიო ბანკის კრედიტი, რომლითაც ზემოთ მოხსენიებული გრანტების დიდი ნაწილი ფინანსდება, უაღრესად შეღავათიანია, როგორც მას უწოდებენ, გრანტ-ელემენტის შემცველი: ნომინალის გადახდა 35 წლის შემდეგ იწყება. გახარჯულ თანხაზე ქვეყანა 0,75 პროცენტს იხდის, გაუხარჯავზე კი, 2004 წლიდან - 0,5 პროცენტს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ სამი თვის წინ შეჩერებული მშენებლობები აღდგება. 9 ივლისს "საკანონმდებლო მაცნემ" გამოაქვეყნა პარლამენტის მიერ დამტკიცებული ახალი კანონი "მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ", რომელიც ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის შეფასებით, მნიშვნელოვნად გაამარტივებს ნებართვების გაცემის პროცესს. ამიერიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მშენებლობაზე ნებართვებს გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თუმცა როგორც ბენდუქიძე აცხადებს, შესამუშავებელია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა, რომელიც რამდენიმე დღეში დამტკიცდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** ამერიკის ენერგეტიკა, შესაძლოა, ტერაქტების ობიექტი გახდეს, - ვარაუდობს დაზვერვის ფედერალური ბიურო. ასეთი გაფრთხილება გასულ კვირას ამერიკის 1800-მდე ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოს უკვე გადაეგზავნა. მასში ნათქვამია, რომ ტერორისტები დაინტერესებულნი არიან ენერგოინფრასტრუქტურით. ფედერალური დაზვერვის ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას ტერორისტი მკვლელების კოორდინირებულ შეტევებზე ამახვილებს. ერთ-ერთი მსგავსი აქტი 24 აპრილს ერაყში ბასრის ნავთობტერმინალის წინააღმდეგ განხორციელდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბოროტმოქმედებმა, შესაძლოა, მსგავსი სცენარით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იმოქმედონ, მაგრამ, ჯერჯერობით, კონკრეტული სადაზვერვო მონაცემები მსგავსი დივერსიების შესახებ არ არსებობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი გასვლით სხდომას კახეთში გამართავს. კახეთში გაემგზავრა, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, სად ჩატარდება სხდომა. პარლამენტარები და მინისტრი ფერმერებთან ერთად ხორბლის შესყიდვის საკითხზე იმსჯელებენ. სამინისტროს სპეციალისტთა პროგნოზით, ქვეყნის მასშტაბით ხორბლის მოსავალი წელს, ისევე როგორც შარშან, 200 ათას ტონას გადააჭარბებს. **მედია-ნიუსი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს "სასკოლო პარტნიორობის პროექტი"**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს საგრანტო კონკურსს საუკეთესო პროექტების მხადრასაჭერად "სასკოლო პარტნიორობის პროექტის" ფარგლებში 2004-2005 სასწავლო წლისთვის. "სასკოლო პარტნიორობის პროექტის" წარმოადგენს "სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის" შემადგენელ ნაწილს და მისი მიზანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების დაახლოება-დამეგობრება.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის 22 და 29 ივლისს, 16:00 საათზე სამინისტროში გაიმართება საკონსულტაციო შეხვედრა საკონკურსო პროექტების შედგენასთან დაკავშირებით.

კონკურსის ბიუჯეტი 100 000 ლარს შეადგენს.

პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 27 აგვისტოს 16 საათი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ: 99 60 00, ფაქსი: 96 98 31
ელ.ფოსტა: gakheladze@wanex.net, ვებ-გვერდი www.mes.gov.ge

# ისრაელის ხელისუფლება იასირ არაფატის სიკვდილისთვის ემზადება



*იასირ არაფატი უკვე წარსულის აჩრდილია, თუმცა, მხოლოდ სიკვდილამდე.*

ორიოდე დღის წინ, რუსულმა ელექტრონულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელის ხელისუფლებამ პალესტინის უცვლელი ლიდერის იასირ არაფატის გარდაცვალების შემთხვევაში განვითარებულ მოვლენებზე რეაგირებისათვის რამდენიმე გეგმა შეიმუშავა. ებრაელები ვარაუდობენ, რომ იასირ არაფატის სიკვდილის შემთხვევაში, მიუხედავად მისი მიზეზისა (ასეთი კი რამდენიმე შეიძლება იყოს – მათ შორის, ისრაელის სამხედრო ოპერაცია, ხანგრძლივი ავადმყოფობა ან, უბრალოდ, ხანდაზმულობით სიკვდილი), პალესტინელები მას წმინდანად შერაცხავენ და, შესაძლოა, გაერთიანდნენ კიდეც. ასეთი სცენარი ისრაელის ინტერესებში არანაირად არ შედის.

რაც შეეხება დაგეგმილი სიუჟეტის პოლიტიკურ მხარეს, ისრაელისათვის პირველხარისხოვანი ამოცანაა, არ დაუშვას პალესტინის ხელისუფლებაში "ჰამასისა" და მსგავსი ტერორისტული ორგანიზაციების მოსვლა. ასევე არ დაუშვას ავტონომიის ტერიტორიაზე ძალადობისა და ქაოსის გაბატონება. თელ-ავივმა იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ პალესტინაში ისეთი ხელისუფლება მოვიდეს სათავეში, რომელთანაც მოლაპარაკებების გაგრძელება შესაძლებელი იქნება. ამისათვის, ისრაელის მმართველი წრეები ავტონომიის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანასაც არ გამორიცხავენ.

ისრაელის ხელისუფლებისათვის პირველი რიგის ამოცანა კი ის არის, რომ არაფატის იერუსალიმში დაკრძალვა არ დაუშვას. ებრაელთა აზრით, ეს, ალბათ, ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხი იქნება.

საქმე ის არის, რომ თავად არაფატის სურვილია, უკანასკნელი ნავსაყუდელი იერუსალიმში, ტაძრის მთაზე იპოვოს: ეს ადგილი წმინდადაა მიჩნეული არა მარტო მუსლიმების, არამედ ებრაელებისა და ქრისტიანებისთვისაც. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ალტერნატიულ ვარიანტად არაბულ სოფელ აბუ-დისს ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მთა ებრაელებსა და არაბებს შორის დაპირისპირების მიზეზი არაერთხელ გამხდარა. უკანასკნელი ინტიფადას საბაბიც, 2000 წელს მთაზე ისრაელის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის მისვლა გახდა.

ამავდროულად, ებრაელები არ გამორიცხავენ ისეთ სცენარსაც, რომლის მიხედვითაც, პალესტინელები თავისი ლიდერის ცხედართან ერთად იერუსალმში ძალით შეეცდებიან შესვლას, რაც თავის მხრივ, უდიდესი საფრთხის მატარებელია, რადგან უდავოა, რომ სერიოზული შეტაკებების თავიდან აცილება ვერ მოხერხდება.

თელ-ავ-ივი წინასწარ იზღვევს თავს და წინადადებით გამოდის, რომ არაფატი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში, სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაგზავნონ. ამით ებრაელები მისი სიცოცხლის ხელყოფის პირდაპირ და ირიბ ბრალდებებს თავიდან აიცილებენ.

იასირ არაფატის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა უკვე არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. პალესტინის ლიდერის მოცახცახე ტუჩები ბევრს აფიქრებინებს, რომ მას პარკინსონის დაავადება აქვს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ დონეზე არასოდეს გაცხადებულა. მისი უახლოესი გარემოცვაც კი არ მალავს, რომ პალესტინელთა ლიდერის ნებისმიერი ალიონი შეიძლება უკანასკნელი გამოდგეს.

ამჟამად, იასირ არაფატი სამუდამო შინაპატიმრობაში თავის რეზიდენციაში, რამალაში იმყოფება. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა თავისი ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, რომ მას ადგილსამყოფელის დატოვების უფლებას კიდევ 45 წლის მანძილზე, ანუ სიცოცხლის ბოლომდე არ მისცემს.

# ყირგიზეთის დემოკრატიული ამბიციები

ყირგიზეთში 2005 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. ამჟამინდელი პრეზიდენტის ასკერ აკაევის განცხადებით, იგი მომავალ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დასახელებას აღარ აპირებს. იგი ყირგიზეთის ხელისუფლების სათავეში 1990 წელს მოვიდა. დასავლური მედიის წარმომადგენლებთან საუბარში 59 წლის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ისურვებდა მომავალი წლის არჩევნების შედეგებით ყირგიზეთი რეგიონის ქვეყნებისთვის დემოკრატიული სახელმწიფოს ეტალონი გამხდარიყო.

თუმცა, მაშინ, როცა მას თვით ხელეწიფებოდა პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობა, მან ეს არ გააკეთა და 2000 წელს ჩატარებულმა არჩევნებმა საერთაშორისო დამკვირვებლების მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. ამასთან, მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმებიცფრიად საეჭვო იყო.

მიუხედავად აკაევის განცხადებისა, რომ იგი საარჩევნო მარათონში აღარ ჩაებმება, 2005 წლის ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებზე გამოკვეთილი ლიდერის არარსებობა მის სიტყვებში ეჭვის შეტანის სრულ საფუძველს იძლევა.

2004 წლის მარტში შეიქმნა პროოპოზიციური ორგანიზაცია, რომლის სახელი - "სამართლიანი არჩევნებისთვის", ხოლო მიზანი - არჩევნების მსვლელობის დაკვირვებაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალი არჩევნები თავისუფალი კონკურენციის პირობებში ჩატარდება.

თუმცა, უკვე ალაპარაკდნენ იმის შესახებაც რომ, ზემოაღნიშნული კავშირი მხოლოდ კარგად შენიღბული ორგანიზაციაა, რომელიც სინამდვილეში აკაევის ხელისუფლების ინტერესებს იცავს.

ასეა თუ ისე, აქტიური ბრძოლა არჩევნებისთვის უკვე 2004 წლის მიწურულს დაიწყება და რამდენად შეძლებს ყირგიზეთი დემოკრატიული პრინციპების დაცვას, მომავალი გვიჩვენებს.

*24 საათი*

# აშშ უზბეკეთისათვის დახმარების შეწყვეტას გეგმავს

უზბეკეთი, სადაც ადამიანის უფლებები სისტემატიურად ირღვევა, ამერიკული დახმარების უდიდეს ნაწილს დაკარგავს. უზბეკეთის პრეზიდენტმა მსოფლიოში სახელი გაითქვა იმით, რომ ციხეში ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ცოცხლად მოხარშეს. ამერიკის ადმინისტრაციის ამგვარი გადაწყვეტილება, შესაძლოა, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირისათვის მისაბაძ მაგალითად იქცეს.

აშშ უზბეკეთის მიმართ უპრეცედენტო ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, რაც ქვეყნისათვის ყოველგვარი სამხედრო და, ნაწილობრივ, ეკონომიკური დახმარების შეწყვეტას ითვალისწინებს. დახმარების საერთო მოცულობა 18 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. შეერთებული შტატები უზბეკეთის დასჯას ქვეყანაში ნებისმიერი სახის ალტერნატიული პოლიტიკური აზროვნების ჩასახშობად მიმართული მკვეთრი პოლიტიკის გამო აპირებს. სახლემწიფო დეპარტამენტის წყაროებზე დაყრდნობით, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა შესაბამის დოკუმენტს ორშაბათს მოაწერა ხელი. თუმცა, იმავე წყაროების თანახმად, ეს გადაწყვეტილება კონგრესმაც უნდა მოიწონოს.

საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს უოთჩის" (Human Rights Watch) ცენტრალური აზიის საკითხებში ექსპერტის, აკაცია შილდსის განცხადებით, აშშ-ს მიერ ამგვარი პოზიციის დაკავება, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანია. მისივე აზრით, ამერიკის მაგალითს ევროკავშირმაც უნდა მიბაძოს და აღნიშნული საკითხის მიმართ მსგავსი პრინციპულობა გამოიჩინოს.

დასავლეთის ქვეყნების ლიდერებს, რომლებიც პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის პოლიტიკას დიდი ხნის მანძილზე ეგუებოდნენ, მოთმინების ფიალა საბოლოოდ აევსოთ. დასავლეთსა და უზბეკეთს შორის დადებითმა ურთიერთობებმა თავის პიკს 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მიაღწია, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი რეგიონში ფუნდამენტალური ისლამიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენად მიიჩნეოდა. უზბეკეთის ტერიტორიაზე, ავღანეთში საომარი ოპერაციის გასატარებლად, აშშ-ს სამხედრო ავიაბაზაა განლაგებული.

მიმდინარე წლის აპრილში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა უზბეკეთისათვის სესხების მოცულობის შემცირების საკითხი განიხილა. ამგვარი გადაწყვეტილება პროტესტის ნიშნად იქნა მიღებული, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეკონომიკური რეფორმის განვითარების მხრივ, არავითარი წინსვლა არ შეიმჩნევა.

აშშ-ს მისამართით არაერთი კრიტიკული განცხადება გაკეთებულა იმის თაობაზე, რომ აშშ-უზბეკეთის ურთიერთობებში უმთავრესი აქცენტი სამხედრო თანამშრომლობაზე კეთდებოდა და არა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და რეფორმების გატარების საკითხებზე. ყოველივე ეს კი, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევის პოლიტიკის გატარებაში პრეზიდენტ კარიმოვს მხოლოდ ხელს უწყობდა. უზბეკეთში ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ქრეიგ მიურეი ერთ-ერთი იმ პირველთაგანი გახლდათ, ვინც კარიმოვის ქმედებებს ღიად აკრიტიკებდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის საჯარო კრიტიკისათვის, ელჩ მიურეის მკაცრი შენიშვნა მისცა. თავის გამოსვლებში ქრეიგ მიურეი ხაზს უსვამდა არსებულ წინააღმდეგობებს უზბეკეთის რეჟიმის მიმართ აშშ-ს მხარდაჭერასა და ერაყში შეჭრას შორის, რომლის მიზეზიც ასევე ადამიანის უფლებების დარღვევა გახდა.

ისლამ კარიმოვი ოპოზიციისა და მუსულმანობისადმი კუთვნილების ნებისმიერი გამოხატულების წინააღმდეგ ბრძოლას უკვე 10 წლის მანძილზე ეწევა. რელიგიურმა ფაქტორმა პრეზიდენტის მოწონება ვერაფრით დაიმსახურა. რესპუბლიკის ციხეებში პოლიტიკურ და რელიგიურ ნიადაგზე შეპყრობილ ადამიანთა რიცხვი, ზოგიერთი გამოთვლით, 10 ათასზე მეტს შეადგენს. პრეზიდენტ კარიმოვს ბრალს ასევე იმაში სდებენ, რომ კარგად გამოიყენა რა არცთუ დიდი ხნის წინ ზოგიერთი ისლამისტი ექსტრემისტის გამოხდომები, რომლებიც, ვითომდა, ალ ქაიდას ტერორისტულ ქსელში შედიან, მან თავისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გაორმაგებული ძალებით ბრძოლა გადაწყვიტა.

# იტალიის პრემიერ-მინისტრი პოლიტიკოსობას ბიზნესმენობას შეუთავსებს



*სილვიო ბერლუსკუნის კანონი საშუალებას აძლევს, ერთდროულად პოლიტიკოსიც იყოს და ბიზნესმენიც.*

იტალიის პრემიერ-მინისტრს მთავრობის მეთაურისა და ქვეყანაში უმსხვილესი მედია-იმპერიის მფლობელის ფუნქციები ახლა უკვე კანონიერ საფუძველზე შეუძლია შეათავსოს. ახლახან, იტალიის პარლამენტის მიერ კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა იტალიის უმდიდრეს ადამიანს (ბერლუსკონის ქონება დაახლოებით 17 მლრდ. ევროს აღწევს) უფლება მისცა, ერთდროულად მთავრობასაც უხელმძღვანელოს და თავის მფლობელობაში მყოფი კომპანიებიდან დივიდენდებიც მიიღოს.

კანონპროექტი "ინტერესთა კონფლიქტის შესახებ" პარლამენტში განსახილველად ბერლუსკონიმ ჯერ კიდევ სამი წლის წინ შეიტანა. თუმცა, მისი მომხრების მცდელობა, მიეღოთ იგი, ხუთგზის ჩავარდა. საბოლოო ჯამში, კანონის დამტკიცებას 1153 დღე დასჭირდა. ამაო გამოდგა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ ეს კანონი სიტყვის თავისუფლებას საფრთხეს უქმნიდა. იტალიის კანონმდებელთა უმრავლესობამ ევროპელი კოლეგების რჩევები არაფრად ჩააგდო.

ბერლუსკონი-პოლიტიკოსსა და ბერლუსკონი-ბიზნესმენს შორის "ინტერესთა კონფლიქტის" არსებობის შესახებ საუბრები დიდი ხანია მიმდინარეობს. ეს თემა 1994 წლიდან, "სუპერ სილვიოს" პრემიერ-მინისტრად პირველად გახდომიდან იღებს სათავეს. "მე ყოველთვის გავდივარ, როდესაც მთავრობის სხდომაზე ჩემს საწარმოებთან რაიმენაირ კავშირში მყოფი საკითხები განიხილება", - თავს იმართლებს ბერლუსკონი. ალბათ, სერიოზული არგუმენტია, თუმცა, თუ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, რომლებმაც სპეციალური კვლევა ჩაატარეს, ბერლუსკონის მთავრობის სხდომის დატოვება დღის განმავლობაში დაახლოებით შვიდჯერ უნდა უწევდეს. ერთი ფაქტია, მიუხედავად იმისა, ესწრებოდა თუ არა პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომებს, იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველთვის ისეთ დოკუმენტებს იღებდა, რომელიც ბერლუსკონის ბიზნეს-ინტერესებს პასუხობდა.

ოფიციალურად, სილვიო ბერლუსკონის იტალიაში სერიოზული ქონება არ აქვს: ჯერ კიდევ 2001 წელს მან თავის კუთვნილებაში მყოფი ფირმები ნათესავებსა და მეგობრებს გადაუფორმა. ტელეიმპერია "მედია ქსელი", კინემატოგრაფიული კომპანია "მედუზა", საგამომცემლო სახლი "მონდადორი" და საფეხბურთო კლუბი "მილანი" ბერლუსკონის ოჯახური კლანის მიერ კონტროლდება (მას სილვიოს შვილები და ძმა განაგებენ). დოკუმენტების მიხედვით, ამ ბიზნესთან პრემიერს შეხება არ აქვს.

"ბერლუსკონი ისეთ კანონებს წერს, რომელიც მისი ქონების ზრდას ემსახურება, და ჩვენ ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვაკეთებთ", - რამდენიმე თვის წინ ასეთ აღშფოთებას გამოთქვამდნენ იტალიის პროკურატურაში. თუმცა, პრემიერ-მინისტრს კვლავაც შეუძლია გააგრძელოს "თავისთვის სასარგებლო" კანონშემოქმედება. და ისე, რომ მისი გამკონტროლებელი ნეიტრალური ორგანოც არ არსებობს – პარლამენტმა ახალი კანონის შესრულებაზე კონტროლი ანტიმონოპოლიურ კომიტეტსა და მასმედიის საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო კომისიას (სადაც უმრავლესობა ბერლუსკონის მომხრეა) დაავალა. მართალია, ზოგიერთი ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატი მოითხოვდა, მაკონტროლებელთა შორის პროკურატურა ჩაერთოთ, მაგრამ თავიდანვე აშკარა იყო, რომ მათი მცდელობა განწირულია.


## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს

### საქართველოს პროფესიული თეატრებისა და დამოუკიდებელი პროფესიული თეატრალური ჯგუფების შიდასაგასტროლო მოღვაწეობის ხელშესაწყობად

**კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია საქართველოს პროფესიული თეატრებისა და დამოუკიდებელი პროფესიული თეატრალური ჯგუფების შიდასაგასტროლო მოღვაწეობის აღორძინება, საქართველოს რეგიონებსა და თბილისის პროფესიულ თეატრებს, დამოუკიდებელ პროფესიულ თეატრალურ ჯგუფებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობების გამოცოცხლება-განვითარება, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, პროფესიული თეატრების და პროფესიული თეატრალური ჯგუფების ინიციატივების მხარდაჭერით ცენტრსა და რეგიონებს შორის თანამშრომლობისათვის მყარი საფუძვლების შექმნა.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ყველა პროფესიულ თეატრსა და დამოუკიდებელ პროფესიულ თეატრალურ ჯგუფს ერთი, ორი ან მეტი სპექტაკლით.

**პროექტის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7. 000 ლარს
უპირატესობა ენიჭება პროექტს, რომელსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო (ფულადი ან არაპირდაპირი დახმარების სახით).

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადა:**

2004 წლის 15 აგვისტო

**მისამართი:** თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ხელოვნების დეპარტამენტი.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**

990483; ორშაბათს და ოთხშაბათს 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

**განაცხადის ფორმა კონკურსში მონაწილეობისათვის**

თავფურცელი (თან ერთვის)

1. ინფორმაცია განმცხადებელი ორგანიზაციის ან კერძო პირის შესახებ
2. პროექტის აღწერა
3. პროექტის განხორციელების ვადები (სამუშაო გეგმა)
4. პროექტის ბიუჯეტი
5. დამატებითი ინფორმაცია

პროექტს აგრეთვე თან უნდა ერთვოდეს შემდეგი:
წერილობითი დასტური პარალელური დაფინანსების წყაროს შესახებ.
წერილობითი დასტური იმ თეატრის ან სამუშაო სივრცის ხელმძღვანელობიდან, სადაც ხდება პროექტის განხორციელება.

**შენიშვნა**: განაცხადი არ უნდა აღემატებოდეს თაბახის 3 გვერდს.

**თავფურცელი**

პროექტის სახელწოდება
პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია
პროექტის დირექტორი /ხელმძღვანელი/
პროექტის სრული ბიუჯეტი
სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა
პროექტის მოკლე აღწერა

________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________

პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:
თარიღი:


# „ჰამასის" „საინვესტიციო პროგრამის" საქმე გახსნილია

ამერიკელ ჩინოვნიკთა განცხადებით, ტერორისტულმა მოძრაობა "ჰამასმა" აშშ-ს ტერიტორიაზე სხვადასხვა სამშენებლო პროექტებში, დაახლოებით, 25 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციები განათავსა.

მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში ტერორისტული ოპერაციების განხორციელებისთვის საინვესტიციო ფულად რესურსებს "ჰამასი" საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოებიდან იღებდა. ეს უკვე ტერორისტებსა და სპარსეთის ყურეში მის მომხრეებს შორის აშკარა კავშირზე მიუთითებს, - აღნიშნავენ აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლები.

"ჰამასმა" აშშ-ს ტერიტორიაზე ინვესტიციების განთავსება 1990-იანი წლების დასაწყისში "ჰამასის" პოლიტიკური ბიუროს ეგვიპტელი წევრის, მუსუ აბუ მარკუზის მიერ დაიწყო. ინვესტირება, ძირითადად, კერძო ფირმის მეშვეობით ხორციელდებოდა. "ალ ქაიდასა" და სხვა ისლამისტური დაჯგუფებებისთვის მილიონი აშშ დოლარის გადარიცხვის გამო 2004 წლის იანვარში აშშ-ში მარკუზს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

"ჰამასის" "საინვესტიციო პროგრამის" შესახებ აშშ-ში ცნობილი გახდა დაზვერვის ფედერალური ბიუროს მიერ სოლიმან ბიჰეირის საქმის გამოძიების მსვლელობისას, რომელიც, სავარაუდოდ, არაბულ სამყაროსა და "ჰამასს" შორის ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებდა.

ბიჰეირს, ისევე როგორც მარკუზს, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

# მერია მძღოლებსა და მგზავრებს აიმედებს

*თბილისის ბიუჯეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წლევანდელი წელი ქალაქის ქუჩებზე მოსიარულეთათვის იმედის მომცემი უნდა იყოს. წელს გზებისთვის გათვალიწინებული 35 მილიონის (25 მილიონი – საბიუჯეტო თანხა, 10 მილიონი - კუვეიტის ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარება) წყალობით, თბილისში მოძრაობა საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს. გუშინ ქალაქის მერმა, ეკა ბეჟანიშვილის სახელობის ქუჩაზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ფონზე, საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტი წარადგინა.*

ნანა ქადაგიშვილი

აღნიშნული პროექტი ქალაქის მერის, პრემიერის, გამგებლების, “თბილგაზის”, “წყალკანალისა” და კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლების მიერ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა. კომისიამ შესაკეთებლად შეარჩია განსაკუთრებულად დაზიანებული ცენტრალური ქუჩები, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები გამოსაცვლელი არ არის. სულ 27 ქუჩა შეირჩა. ამის გარდა, წელს კაპიტალურად გარემონტდება თბილისის შემოსასვლელები, მტკვრის ორივე სანაპირო, ხიდები, გვირაბები, პანდუსები და აეროპორტის ავტოსტრადა; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გაკეთდება შვიდი ქუჩა - გოგლაურის შესახვევი, აგლაძის, ბაქრაძის, ხოშარაულის, კარგარეთელის ქუჩები, აღმაშენებლის ხეივანი შეშელიძის ქუჩამდე და მარჯანიშვილის მოედანი ლეილა მესხის ჩოგბურთის კორტებამდე; გლდანი-ნაძალადევის რაიონში კაპიტალურად გარემონტდება შემდეგი ქუჩები: ბეჟანიშვილის, შეშელიძისა და ურეკის; ვაკე-საბურთალოს რაიონში – პეტრე იბერის, იოანე პეტრიწის, დემეტრე თავდადებულის სახელობის, ნაფარეულის ქუჩები; ონკოლოგიურ საავადმყოფოსთან მისასვლელი გზა და დიდ დიღომში მე-19 და მე-20 კორპუსებთან მისასვლელი გზა; მთაწმინდა-კრწანისის რაიონში შეკეთდება ახვლედიანის, რჩეულიშვილის, ქიაჩელის, გულუას ქუჩები და გულიას მოედანი.

ქალაქის ხელმძღვანელობას არც თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დანგრეულქუჩებიანი რაიონი დავიწყებია - ისანი-სამგორის. ამ რაიონში ცხრა ქუჩა გარემონტდება. რაც ყველაზე მთავარია, გეგმაში მეტრო “ისნიდან” მოსკოვის გამზირისკენ მიმავალი გზაც შედის. ეს მონაკვეთი თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ავარიული ადგილია. სამგორის მეტრისთან გარე ვაჭრობის აკრძალვის შემდეგ მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, თუმცა ქუჩის ამ მონაკვეთზე მანქანით ერთხელ გავლა ძალიან მშვიდი ნერვების პატრონსაც კი გამოიყვანს მწყობრიდან. შარშან მძღოლებსა და მგზავრებს იმედი ჰქონდათ, რომ ყოფილი ხელისუფლება აღნიშნულ ქუჩას ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ მაინც გააკეთებდა, მაგრამ არ გაუმართლათ. შემდეგ მძღოლებმა საქმის მოგვარება თვითონ სცადეს და მერიას შესთავაზეს, - ორი თვის მოსაკრებელს თუ არ გადაგვახდევინებთ, გზას ამ თანხით გავაკეთებთო, - მაგრამ არც ეს გამოუვიდათ. რამდენიმე კვირის წინათ ისნისა და სამგორის მეტროებთან ტრამვაის ამოყრილმა ხაზებმა მძღოლები ცოტა დაამშვიდა, - იქნებ, ამ წელს მაინც გვეშველოსო.

თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ცნობით, ქალაქში სულ 2800 ქუჩაა ძირფესვიანად გასაკეთებელი. ამას კი, სულ ცოტა, 60 მილიონი ლარი მაინც სჭირდება. ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ამ პრობლემას რამდენიმე წელიწადში საბოლოოდ მოაგვარებს.

# ვლაქერნობის დღესასწაული

თამარ დვალი

*უკვე მეოთხე წელია, რაც 15 ივლისს ზუგდიდში ვლაქერნობის დღესასწაულს აღნიშნავენ. გუშინ მარიამ ღვთისმშობლის კვართი დადიანების სასახლიდან ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში გადააბრძანეს. ამ დღეს ზუგდიდში საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოდიან მომლოცველთა ჯგუფები. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ღვთისმშობლის კვართი საქართველოში მეთხუთმეტე საუკუნეში ჩამოაბრძანეს. თავდაპირველად იგი ხობის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში დააბრძანეს. 1923-1936 წლებში წმიდა მარინეს მკლავის, წმიდა გიორგის და იოანე ნათლისმცემლის ხელის ნაწილებთან ერთად ღვთისმშობლის სამოსელი დადიანების სასახლეში გადააბრძანეს. წმიდა ნაწილები მეჩვიდმეტე საუკუნის ვერცხლით მოჭედილ ჩასასვენებელში ინახება.*



*ზუგდიდში დადიანების სასახლიდან გუშინ დილის ათ საათზე მარიამ ღვთისმშობლის კვართი გამოაბრძანეს.*

ვახო ბესელიას ფოტო

ზუგდიდში დადიანების სასახლიდან გუშინ დილის ათ საათზე მარიამ ღვთისმშობლის კვართი გამოაბრძანეს. იგი სასახლესთან არსებულ ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში დღეს დილამდე იქნება დასვენებული. გადმოცემის თანახმად, კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში მოსალოცად ჩასულ ძმებს გალბიუსს და კონსტანტინეს ღამე ნაზარეთის მახლობლად ერთ მოხუც ქალთან გაუთევიათ. როგორც გაირკვა, ამ ოჯახში ღვთისმშობლის კვართი ინახებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულს მიძინების წინ ერთი თავისი შესამოსელთაგანი ამ ტომის კეთილმსახური ებრაელი ქალწულისთვის უჩუქებია და უთხოვია, რომ სიკვდილის მოახლოებისას ის სხვისთვის, ქალწულისათვისვე გადაებარებინა. ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობას სიწმიდე ამ ოჯახში. ძვირფასი კიდობანი წმიდა სამოსლით კონსტანტინოპოლში გადაუბრძანებიათ და ვლაქერნაში, ზღვის სანაპიროზე ღვთისმშობლის პატივსაცემად ახალი ეკლესია აუგიათ. 458 წლის 2 ივლისს წმიდა გენადი კონსტანტინოპოლელმა ახალ კიდობანში ჩაბრძანებული სიწმინდე შესაფერისი პატივით ამ ტაძარში გადაასვენა. ამ დროიდან მოყოლებული ვლაქერნობის დღესასწაული კონსტანტინოპოლში აღინიშნებოდა.

ამჟამად კვართი ზუგდიდშია და ვლაქერნობის დღესასწაულს დადიანების სასახლეში ზეიმობენ. ამ სიწმინდის საქართველოში მოხვედრის შესახებ ორი წერილობითი წყარო არსებობს. პირველის თანახმად, კვართი საქართველოში კონსტანტინეპოლიდან მე-8 საუკუნეში, ხატმებრძოლეობის დროს ჩამოაბრძანეს. მეორეს მიხედვით, კვართი ჩვენში 1453 წელს, თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ მოხვდა. საქართველოში ჩამობრძანებული წმიდა ნაწილებისთვის ვერცხლის ლუსკუმა ლევან მეორე დადიანს შეუკვეთია. ამის დასტურია მასზე გაკეთებული წარწერა - "მე სამეგრელოს მთავარმა, ლევან მეორე დადიანმა მოვჭედე ჩემი ცოლის სულის საოხად".

სადღესასწაულო წირვა-ლოცვა გუშინ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე გერასიმემ აღავლინა. უამრავ მლოცველთა შორის, დღესასწაულს ეროვნულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დადიანების ერთადერთი შთამომავალი ალენ მიურატიც ესწრებოდა. როგორც თავად პრინცმა განაცხადა, ქართული სამოსელი მისთვის საამაყო სატარებელია და ცდილობს, ყველა ღირშესანიშნავ დღესასწაულს ამ ფორმით დაესწროს. **"დღევანდელ დღესასწაულზე ჩოხა პირველად მაცვია, თუმცა საფრანგეთში ყველა მნიშვნელოვან შეხვედრაზე ჩოხით მივდივარ. უკვე შვიდი წელიწადია, საქართველოში ვართ და სიცოცხლის ბოლომდე აქ დარჩენას ვაპირებთ. ვფიქრობ, რომ გაუსაძლის პირობებში არსებული სასახლე დანგრევას სწორედ ღვთისმშობლის მფარველობით გადაურჩა. ჩვენი სურვილია, სამოსელი ტაძარში ინახებოდეს",** - განაცხადა პრინცმა მიურატმა.

12 აგვისტოს ზუგდიდლები კიდევ ერთ დღესასწაულს - ცოტნეობას ელოდებიან. ეს დღესასწაული, უკვე მეცამეტე წელია, იმართება. წელს მის აღნიშვნას გრანდიოზულად აპირებენ.

# განათლების პროექტი საყოველთაო განხილვის საგანი ხდება

გუშინ საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა და საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა "სოლიდარობამ" სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მოაწყო მრგვალი მაგიდა თემაზე - "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები".

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ბელა წიფურიამ, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის წევრებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები". ამ პროექტის განხილვაში ჩართული იყო საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური კოლექტივი. განიხილეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პედაგოგიური საბჭოების დამოკიდებულება აღნიშნული დოკუმენტისადმი, მათი შენიშვნები და მოსაზრებები. თავისუფალმა პროფკავშირმა "სოლიდარობამ" წარმოადგინა შენიშვნები პროექტის სახით. ემოციური და მეტ-ნაკლებად საქმიანი კამათის შემდეგ მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ პროექტის საყოველთაო განხილვის საგნად ქცევა სასიკეთო გზაა, რომელიც სხვა პროექტებმაც უნდა გაიარონ.

*24 საათი*

# ერთად დაჯილდოვდნენ

გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ მოსწავლეთა ოლიმპიადისა და უმაღლესი სასწავლებლების კონფერენცია-კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების ფონდმა ერთობლივად ჩაატარეს სკოლის მოსწავლეთა სოროსის ოლიმპიადა მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებში საბუნებისმეტყველო დარგებში; ასევე - ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კონფერენცია-კონკურსი თერთმეტ სამეცნიერო დარგში. კომპეტენტური ჟიურის შეფასების შედეგად გამოვლინდნენ საუკეთესოები (სკოლის მოსწავლე და მისი პედაგოგი; უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და მისი პროფესორ-მასწავლებელი). მონაწილეობდა სულ 1500-ზე მეტი მოსწავლე; 88 მოსწავლე და 150 მასწავლებელი დაჯილდოვდა. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია-კონკურსში კი მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, თელავის, ბათუმის უნივერსიტეტების, სტუ-ის, აგრარული უნივერსიტეტის, პედაგოგიური უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, ESM-ის, კავკასიის ბიზნეს სკოლის, საბაჟო აკადემიის 500-მდე სტუდენტი. გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით, ხოლო მათმა პროფესორ-მასწავლებლებმა გრანტები მიიღეს.

*24საათი*

# კონცეფციის დასამარება "აფხაზურ კლუბში"

ზაზა ფაჩუაშვილი

*"24 საათში" გამოქვეყნებული კონცეფციის - "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ", ავტორებს გუშინ მხოლოდ იმან უშველა, რომ ქართულ საზოგადოებაში აღიარებენ დემოკრატიულ პრინციპებს და აზრის გამოთქმის საყოველთაო უფლებას. თუმცა, ასეთი დემოკრატიის ხარისხი იმდენად მაღალი არ გამოდგა, რომ აღნიშნული კონცეფციის ავტორებისათვის უწიგნურებისა და უცოდინრების იარლიყი აეცილებინა.*

"აფხაზურ კლუბში" კონცეფციის განხილვა უჩვეულოდ დიდი ხნის, 4 საათის განმავლობაში გაგრძელდა და მაჟორულ ნოტაზე დამთავრდა. პარლამენტარმა ნიკა გვარამიამ, სახალხო ფრონტის ლიდერმა ნოდარ ნათაძემ, მოძრაობა "დაბრუნების" გამგეობის წევრმა რაულ კუპრავამ, ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ, დევნილმა ადვოკატმა მალხაზ პატარაიამ, ყველასათვის ცნობილმა ბორის კაკუბავამ და უცნობმა ქალბატონმა, რომ იტყვიან, ტყავი გააძრეს კონცეფციასაც და მის ავტორებსაც, რომლებიც ისტორიული ფაქტების გაყალბებაში ამხილეს და უწიგნურობა-უცოდინრობაში დაადანაშაულეს. ავტორთა შვიდკაციანი ჯგუფიდან ოპონენტთა ხაზში მხოლოდ ორი მოხალისე - პაატა ზაქარეიშვილი და კოტე კუბლაშვილი აღმოჩნდნენ. ისინი მოთმინებით ისმენდნენ ყველაფერს და ბოლოს პასუხის გაცემასაც აპირებდნენ, მაგრამ მათი ყოველი არგუმენტი დარბაზისთვის იმდენად გამაღიზიანებლად ჟღერდა, რომ გაუთავებელ დისკუსიას იწვევდა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ყველა ბრალდება პასუხგაუცემელი დარჩა. თუმცა, როგორც ჩანდა, ოპონენტებს ავტორთა პასუხები მაინც და მაინც არც აინტერესებდათ. ყოველი ბრალდება და კითხვა იმას მოასწავებდა, რომ კონცეფცია მიუღებელია და მორჩა. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ზოგიერთი გამომსვლელი თავის სიტყვას ზრდილობის ეტიკეტის სრული დაცვით იწყებდა. მათი თქმით, კონცეფციის ავტორებმა უდავოდ დიდი შრომა გასწიეს, ზოგიერთი საკითხი კარგადაც ჩამოაყალიბეს ( იგულისხმება კომპეტენციების გამიჯვნა), მაგრამ... და იწყებოდა იმის უარყოფა, რასაც კონცეფცია აფხაზეთს ანიჭებს და, რის გამოც, აღნიშნული კონცეფცია დარბაზმა ანტიქართულად და ანტისახელმწიფოებრივად მონათლა:

- აფხაზეთს არ უნდა ჰქონდეს თავისი საკონსტიტუციო სასამართლო;
- აფხაზეთს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი საარჩევნო კანონი;
- აფხაზეთში ეთნიკური ბალანსის ხელოვნური შენარჩუნება აფხაზების სასარგებლოდ ყოვლად დაუშვებელია;
- მხოლოდ აფხაზები არ არიან სატიტულო ერი, ქართველებიც სატიტულო ერს წარმოადგენენ;
- ჩვენ კი არ ვთანაცხოვრობდით აფხაზებთან, როგორც ეს კონცეფციაში წერია და რაც ისტორიული სიყალბეა, არამედ იქ აფხაზეთში ცხოვრობდა ქართული ეთნოსი;
- იმის განცხადება, რომ ქართული სახელმწიფო აფხაზებისა და ქართველების შექმნილია, კონცეფციის ავტორების მხრიდან მეორე ისტორიული სიყალბეა;
- იმის განცხადება, რომ აფხაზეთი აფხაზების სამშობლოა და ქართველები მათთან თანაცხოვრობდნენ საუკუნეების მანძილზე, სიცრუეა და ყველაფერი ეს მეტყველებს კონცეფციის ავტორთა უწიგნურობასა და უცოდინრობაზე;
- ფედერალიზმი, რასაც აღნიშნული კონცეფცია ქადაგებს, საქართველოსათვის დამღუპველია, ვინაიდან ეს გამოიწვევს, კუთხურობის ნიშნით, ეროვნული ცნობიერების გახლეჩას;
- დაუშვებელია, გადამწყვეტი იყოს 90 ათასი აფსუის ხმა, რომელსაც ვეტოს უფლებაც ექნება და სრულიად უგულებელყოფილი იყოს 250 ათასი ქართველის ნება;
- დაუშვებელია აფხაზეთის მიჩნევა აფსუების ქვეყნად - ვინ გითხრათ, ბატონო ავტორებო, რომ აფხაზები და აფსუები ერთი და იგივე ეთნოსია? ესეც ისტორიული ბლეფია;
- ამ კონცეფციით, რეალობის მართვის მთელი მექანიზმი აფსუების ხელშია;
- კონცეფციაში საუბარია აფხაზეთის სუვერენიტეტზე, რაც ნიშნავს გარედან დამოუკიდებელს, შიგნიდან უზენაესს - ანუ მართვაში ვერავინ ერევა. მეორეგან საუბარია შეზღუდულ სუვერენიტეტზე, რაც, დაახლოებით, ნახევრად ქალწულობას ნიშნავს. ესეც უწიგნურობის ბრალია;
- ეს არის ამორფული ტექსტი, რომელიც შეგნებულად უტოვებს ადგილს ნებისმიერ ინტერპრეტრაციას;
- ეს არის აპარტეიდის დაკანონება; თანაც ჩვენ, დევნილებს არაფერს გვეკითხებიან. როდისღა უნდა გამოვხატოთ დევნილების ნება;
- ეს არის კონფედერაციის მოდელი, რაც ნებისმიერ შემთხვევაში არასტაბილურია და, სუსტი ქვეყნის პირობებში, მხოლოდ დაშლის პერსპექტივა აქვს;
- ეს კონცეფცია არის სურვილი და მცდელობა იმისა, რომ აფხაზებს შევუქმნათ სახელმწიფო, რომელიც არასოდეს ჰქონიათ და რის შესაძლებლობასაც ისინიც კი ვერასოდეს წარმოიდგენდნენ;

ეს არის კონცეფციის საწინააღმდეგო არგუმენტების არასრული ჩამონათვალი, რომელიც ძლიერი ემოციური მუხტის ქვეშ გაკეთდა. ის უცნობი ქალბატონი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ისე გაბრაზდა, რომ დისკუსიის წამყვანს და კონცეფციის ავტორებს ცხვირ-პირის ჩამტვრევით დაემუქრა.

როგორც ვთქვით, კონცეფციის ავტორებს სრულყოფილი პასუხების გაცემა არ დასცალდათ. ისინი ამაოდ ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ დარბაზი, რომ ეს კონცეფცია რუსეთის ფაქტორის მინიმალიზაციის გარანტიაა და რომ საბოლოოდ მოხდება აფხაზეთის საქართველოსთან სრული ინტეგრაცია. შემდეგ ისიც თქვეს, რომ მზად არიან, გაითვალისწინონ შენიშვნები და კონცეფციიდან ამოიღონ პრინციპულად მიუღებელი საკითხები. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს შესაძლებელი იყოს. მაშინ კონცეფციიდან დარჩება მხოლოდ ის, რომ აფხაზებს უნდა ჰქონდეთ კულტურული და ეთნიკური განვითარების ყველა პირობა, რასაც ყველა ეთანხმება.

კიდევ ერთი დეტალი - ცნობილია, რომ აფხაზები ასეთი კონცეფციის განხილვასაც კი არ აპირებენ.

# საფრთხე, რომელიც ახლოა

16 ივლისს ბანგკოკში დასრულდება შიდსის საერთაშორისო კონფერენცია. “ხელმისაწვდომობა ყველასთვის” – ასეთია ამ ღონისძიების სახელწოდება. კონფერენციაზე მიიღეს სპეცალური მიმართვა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შიდსის გავრცელების შესახებ.

“სიმართლე აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში აივ-შიდსის გავრცელების შესახებ” – ასე ეწოდება ამ დოკუმენტს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

“აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ლიდერები თანდათან სულ უფრო მეტად აცნობიერებენ რეგიონში აივ/შიდსის ეპიდემიის მასშტაბებს: სავარაუდოდ, ინფიცირებულთა რიცხვმა ამ რეგიონში უკვე 1.3 მილიონს მიაღწია. თუმცა, მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, რომ ინფექციის მთავარი წყარო ნარკოტიკული საშუალებების ინექციები და დაბინძურებული ნემსების მოხმარებაა, რაც ყველაზე დიდ საფრთხეს ახალგაზრდობას უქმნის...

რადგან აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ეპიდემია უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე დედამიწის რომელიმე სხვა ნაწილში, დროა, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და, რაც შეიძლება, სწრაფად განვავრცოთ პროფილაქტიკურ-სამკურნალო ზომები. ფაქტები ადასტურებენ, რომ ნარკოტიკული საშუალებების საინექციო წესით მოხმარება და კომერციული სექსი ყველგან, მთელი რეგიონის მასშტაბით, ურთიერთგადაჯაჭვულ მოვლენებს წარმოადგენს...

როგორც მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაგროვილი გამოცდილება ადასტურებს, ადრეულ ეტაპზე მიღებული პროფილაქტიკური ზომები იმ ჯგუფების მიმართ, რომლებიც ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე იმყოფებიან, მოგვიანებით ძალზე დიდი ხარჯების დაზოგვის საწინდარია. ეკონომიკური მოდელირების თანახმად, რუსეთის ეკონომიკა მთელი პროცენტული ერთეულით დაიკლებს იმ შემთხვევაში, თუ ეპიდემია, რომელმაც ამჟამად ამ ქვეყანაში ერთი მილიონი, ძირითადად, ახალგაზრდა ადამიანი მოიცვა, კონტროლს მიღმა აღმოჩნდა. არსებული გათვლებით, ასეთ შემთხვევაში, 2020 წლისათვის რუსეთში აივ/შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი 5.4 მილიონამდე გაიზრდება.

მთლიანობაში მდგომარეობა, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია, თუმცა არსებობს გარკვეული ნიშნები იმისა, რომ პრობლემის სერიოზულობა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში უკვე ესმით. მსოფლიოს 55 ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც თებერვალში დუბლინში, ირლანდიის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ, გადაწყვიტეს, გაზარდონ რეგიონში აივ/შიდსის პრევენციის, პროფილაქტიკისა მკურნალობის მასშტაბები. შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურმა ფონდმა რეგიონის 16 ქვეყანას შესაბამისი გრანტები გამოუყო. აივ/შიდსის საწინააღმდეგო პროგრამები ხორციელდება რუსეთში, მოლდოვასა და უკრაინაში, რომლებსაც მსოფლიო ბანკი და სხვა პარტნიორები აფინანსებენ...

ავსტრალიაში, ესპანეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში აივ ინფექციის გავრცელების ტემპები სწორედ ციხეებში ნემსების გაცვლისა და მკურნალობის პროგრამების განხორციელების შედეგად შემცირდა. იგივე უნდა განმეორდეს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც, სადაც ბევრი პენიტენციალური დაწესებულება არა მხოლოდ აივ/შიდსის, არამედ ტუბერკულოზის საჯიშესანაშენე მეურნეობადაც იქცა. ტუბერკულოზი კი ამ რეგიონში, გავრცელების მასშტაბით, მეორე ეპიდემიას წარმოადგენს...

# დავით მირცხულავა სასამართლო პროცესს უცდის

*ცოტა ხანში უზენაესი სასამართლო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა სისხლის სამართლის პირველი საქმე, რომელიც ყოფილ მაღალჩინოსანთა ხმაურიანი დაჭერებისას აღიძრა და რომელსაც უზენაესი სასამართლო განიხილავს, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას რამდენიმეტომიანი ბრალდების საქმეა. დავით მირცხულავას და მის ადვოკატს გენერალურმა პროკურატურამ საბრალდებო დასკვნა უკვე გადასცა და სისხლის სამართლის საქმე გუშინ უზენაეს სასამართლოში გადაგზავნა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენება - ასეთი გახლავთ "სემეკის" ყოფილი თავმჯდომარის ბრალდებები.*

თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენება - ასეთი გახლავთ "სემეკის" ყოფილი თავმჯდომარის ბრალდებები. სწორედ დავით მირცხულავას დაკითხვაზე დაბარებით დაიწყო ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავება-დაპატიმრებების სერიალი. ბრალდებულ მირცხულავას ამჯერად უკვე სასამართლო დარბაზში განსასჯელის სტატუსით მოუწევს თავის მართლება. თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეძლებს თუ არა დავით მირცხულავა დაესწროს სასამართლო პროცესს, სადაც მას ბევრ მაღალჩინოსანთან მოუწევს დაპირისპირება, წინასწარ ძნელი სათქმელია. უკან დახევას კი არც პროკურატურა აპირებს და არც დაცვის მხარე. როგორც მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, საქმის სასამართლო პროცესზე საჯარო განხილვისას გამოძიების ბრალდებებს გააცამტვერებს და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ყოფილი მინისტრის უდანაშაულობას დაამტკიცებს. თავის მხრივ, პროკურატურაშიც დარწმუნებულები არიან, რომ მირცხულავას წინააღმდეგ მისი დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები გააჩნიათ, რომლებიც სასამართლო პროცესზე კიდევ უფრო გამყარდება.

თავისთავად ცხადია, დავით მირცხულავას სასამართლო პროცესი, რომელიც, სავარაუდოდ, დიდხანს გასტანს, საკმაოდ ხალხმრავალი და ხმაურიანი იქნება. ამასობაში კი, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო დავით მირცხულავასა და მისი ადვოკატის საჩივარს ეცნობა. ევროსასამართლოს რთული სტრუქტურიდან გამომდინარე, ბრალდებულ მინისტრს და მის დამცველს უზენაეს სასამართლოში პროცესის დაწყებამდე, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ ჩამოუსწრებს. "მირცხულავა - საქართველოს წინააღმდეგ" - ასე ჰქვია საქმეს, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ, დაახლოებით, ორი თვის წინ წარმოებაში მიიღო.

*24 საათი*

# აფხაზი მებრძოლების ცხინვალის რეგიონში გადასვლას აფხაზური მხარე არც ადასტურებს, არც უარყოფს

"მშვიდი და სტაბილური" – ასე შეფასდა ჭუბურხინჯის გუშინდელ ოთხმხრივ შეხვედრაზე ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გალის რაიონში არსებული ვითარება. თუმცა, აფხაზურ მხარეს კვლავ ქართული მხარის პრეტენზიების მოსმენა მოუხდა. გუშინდელი შეხვედრის მთავარი თემა სეპარატისტების მიერ გალის რაიონიდან გამოძევებული ქართული ოჯახების უკან დაბრუნების საკითხი გახლდათ. ამ თემამ ოთხმხრივ შეხვედრაზე უკვე მეორედ გაიჟღერა. შეგახსენებთ, ორი კვირის წინ, აფხაზებმა რამდენიმე ქართული ოჯახის წევრებს სოფელ ჭუბურხინჯის დატოვება მხოლოდ იმის გამო აიძულეს, რომ ამ ოჯახების მამაკაცები ქართულ ჯარში მსახურობენ. ჭუბურხინჯიდან უმიზეზოდ გამოძევებულ ოჯახებს აფხაზები უკან დაბრუნების საშუალებას კვლავ არ აძლევენ. გამოძევებულები ამჟამად ზუგდიდში იმყოფებიან და თავშესაფარს ითხოვენ. როგორც თავად გამოძევებული ქართველები აცხადებენ, აფხაზები მათ ემუქრებიან. გუშინ ქართულმა მხარემ ამ პრობლემის მოგვარება კატეგორიულად მოითხოვა. "დაბრუნების შემთხვევაში, მათ არანაირი საფრთხე არ დაემუქრებათ," – გუშინ ქართულმა მხარემ აფხაზურისგან ასეთი პირობა მიიღო.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ იმ აფხაზი ბოევიკების საკითხი წამოჭრა, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალისკენ გაემართნენ და კოკოითს და მისი შეიარაღებული ფორმირებების წევრებს დახმარება აღუთქვეს. ამ საკითხის განხილვა გუშინ აფხაზებმა არ მოინდომეს, თუმცა, ინფორმაცია აფხაზეთიდან მებრძოლების ცხინვალის რეგიონში გადასვლასთან დაკავშირებით მათ არც დაადასტურეს და არც უარყვეს.

ქართულმა მხარემ გუშინ აფხაზებისგან რუსთავის კოლონიიდან პატიმართა მასშტაბური გაქცევის დროს გაუჩინარებული ზვიად ხურცილავას ცხედრის გადმოსვენება მოითხოვა. როგორც ცნობილია, ზვიად ხურცილავა გალის რაიონში იმალებოდა და ორი კვირის წინ, სპეცოპერაციის შედეგად, მისი ლიკვიდირება მოხდა. შეგახსენებთ, იმავე დღეს, იმავე სპეცოპერაციის მიმდინარეობისას, ურთიერთსროლების შედეგად დაიღუპა გალის მილიციის უფროსი მერაბ საბეკია.

როგორც ჩვენთან საუბარში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის მოადგილემ, ოთხმხრივი შეხვედრების მონაწილემ მებრძოლი ჭკადუამ განაცხადა, აფხაზურ მხარეს ბევრჯერ მიუცია ქართველებისთვის მოთხოვნის შესრულების პირობა, თუმცა, აფხაზების დაპირებები ძალზე იშვიათად სრულდება და ოთხმხრივი შეხვედრების ძირითადი მიზანი, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

*24 საათი*

# გაიზარდა თუ არა საქართველოში დაკავებულთა წამების ფაქტები?

ამ კითხვაზე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო სექტორს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან მნიშვნელოვნად შემცირდა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დაკავებულ მოქალაქეთა წამების ფაქტები, რასაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც ეთანხმება. თუმცა აღნიშნული პიროვნებებისგან განსხვავებული მოსაზრება და ინფორმაცია გააჩნია ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციას "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის", რომლის წარმომადგენლებმაც საწინააღმდეგო მოსაზრების დასამტკიცებლად გენერალურ პროკურორს და თავად ელენე თევდორაძეს კონკრეტული ფაქტების შემცველი ღია წერილი გაუგზავნეს.


# ქალაქ თბილისის მერია

## განათლების საქალაქო სამსახური

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახური, ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებითა და სპეცსახსრებით, აცხადებს ღია ტენდერს სკოლამდელი და ინტერნატიული ტიპის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდია შემდეგი სახის კვების პროდუქტები: ხილი, კარაქი, რძის ფხვნილი, შაქარი, ხორცი, ბურღულეული, ბოსტნეული, მარილი, კვერცხი, პური და სხვა, რომელთა სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა თითოეული დაწესებულებისათვის განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა - ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალებების საფუძველზე.

აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა კვების პროდუქტების მიწოდებაზე, დაყოფილია შესყიდვის 11 ობიექტად (პოზიციად):

1. ისნის ტერიტორიაზე (ისანი-სამგორის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 24 ბ/ბაღი 3315 ბავშვზე;
2. სამგორის ტერიტორიაზე (ისანი-სამგორის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 24 ბ/ბაღი 4818 ბავშვზე;
3. ნაძალადევის ტერიტორიაზე (გლდანი-ნაძალადევის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 24 ბ/ბაღი 3556 ბავშვზე;
4. გლდანის ტერიტორიაზე (გლდანი-ნაძალადევის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 28 ბ/ბაღი 3906 ბავშვზე;
5. დიდუბის ტერიტორიაზე (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 17 ბ/ბაღი 1907 ბავშვზე;
6. ჩუღურეთის ტერიტორიაზე (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 16 ბ/ბაღი 1418 ბავშვზე;
7. მთაწმინდის ტერიტორიაზე (მთაწმინდა-კრწანისის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 11 ბ/ბაღი 1432 ბავშვზე;
8. კრწანისის ტერიტორიაზე (მთაწმინდა-კრწანისის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 10 ბ/ბაღი 1593 ბავშვზე;
9. ვაკის ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 14 ბ/ბაღი 1987 ბავშვზე;
10. საბურთალოს ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის - 17 ბ/ბაღი 1823 ბავშვზე;
11. წყნეთის ბავშვთა სახლის, პედაგოგიური გაერთიანების, 9 წლ. სკოლა-ინტერნატის, "მომავლის სახლი"-ს, მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის, მიუსაფარ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის სახლის "სათნოება", მიუსაფარ ბავშვთა სახლ "ლამპიონის", წყნეთის 114 ბაგა-ბაღის, დამხმარე სკოლის, გლდანის №205 და ლტოლვილთა ბაგა-ბაღის "ალისათვის" - 1391 ბავშვზე.

თითოეული ობიექტი წარმოადგენს ცალ-ცალკე შესყიდვის საგანს და თითოეულზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული (ერთმა პრეტენდენტმა შეიძლება გაიმარჯვოს რამდენიმე ობიექტზე).

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 30 ივლისის 10 საათიდან 2 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 3 აგვისტოს 12 საათიდან 4 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს იმდენ ობიექტზე (პოზიციაზე), რამდენზედაც მის მიერ იქნება შემოტანილი განცხადება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ა. ზაქარიაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 95 53 57 და მ. სამსონიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95 83 31, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*


# ბონდო შალიკიანის ოჯახის წევრები პროკურატურასთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ

*ხმები, ქუთაისელი ბიზნესმენისა და ტყიბულის ყოფილი მაჟორიტარის, ბონდო შალიკიანისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლისა და პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ უკვე რამდენიმე დღეა, ვრცელდება. აღნიშნულ ფაქტს მეტი დამაჯერებლობა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლამაც მისცა (სახელმწიფოსთვის 318 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ). საგამოძიებო ორგანოები ადასტურებენ, რომ შალიკიანის ოჯახის წევრები პროკურატურასთან აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ. მათივე განმარტებით, ქუთაისელი ბიზნესმენისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა, მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუკი ის სახელმწიფოსთვის მიყენებულ - 3 მილიონ 408 500 ლარის ოდენობით ზარალს აანაზღაურებს.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ბონდო შალიკიანის მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული თანხიდან მილიონ-ნახევარი, ნაღდი ფულის სახით აქვს გადასახდელი. დანარჩენს კი ქონების სახით სთხოვენ. ამჟამად კი ტყიბულის ყოფილ მაჟორიტარს მხოლოდ 170 000 ლარი და "ავტოქარხნის" აქციათა 6 პროცენტი აქვს დაბრუნებული. თუმცა, როგორც პროკურატურაში მიუთითებენ, სახელმწიფოსთვის ქონების გადაბარების პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს. პროკურატურას უკვე დაყადაღებული აქვს შალიკიანის კუთვნილი შემდეგი ქონება: ფარმაცევტული პროდუქციის ქარხანა "ფარმა-ალიანსი" - 250 000 ლარი, ტელეკომპანია "ქუთაისი" - 175 000 ლარი, სანატორიუმი "საირმე" ღირებულებით - 223 000 ლარი. ხოლო აქციების სახით, იგი ფლობს სააქციო საზოგადოება "ტრაქტორის", სატრაქტორო ქარხნის, "ავტოქარხნის" და "ელეტრომექანიკური" ქარხნის აქციებს, რომელთა საერთო ღირებულება - 110 500 ლარია. გამოძიების განმარტებით, აღნიშნული ქონება, დეკლარირებულთან შედარებით, გაცილებით მეტი ღირებულებისაა, რადგანაც ბონდო შალიაკიანს, თურმე თითოეული მათგანი რეალურზე გაცილებით დაბალ ფასში აქვს ნაყიდი. ტყიბულის ყოფილ მაჟორიტარს, ასევე მიზერულ ფასში აქვს შეძენილი ქალაქის ცენტრში მდებარე რესტორანი "ნეფერტიტი"( 10 000 ლარი) და რესტორანი "იმერეთი" (25 000 ლარი). მიყიდვის პირობა შალიკიანისთვის კიდევ ერთ შეღავათს ითვალისწინებდა. მას რესტორნების ღირებულების დაფარვა ორი წლის განმავლობაში შეეძლო. საოლქო პროკურატურაში იმისაც მიუთითებენ, რომ ბონდო შალიკიანს ქონების უმეტესობა ნათესავებისა და მეგობრების სახელზე აქვს გაფორმებული, რაც მათი მოძიების პროცესს ართულებს. მაგალითად, პროკურატურამ უკვე დააყადაღა თ. სვინტრაძის სახელზე გაფორმებული სააქციო საზოგადოება "ხაოიანი ქსოვილების" აქციები, რომელიც რეალურად ბონდო შალიაკინს ეკუთვნოდა და რომლის ღირებულებაც 73 404 ლარია. დაყადაღებას გადაურჩა ტყიბულში არსებული საწარმო, რომელშიც შალიკიანი ქვანახშირიდან ბენზინის გამოხდას აპირებდა.

პროკურატურის განმარტებით: **"ეს ყოველივე, ბონდო შალიკიანის მიერ მოწყობილი წინასაარჩევნო ბლეფი იყო, რაც მას ტყიბულელების ხმების მისაღებად სჭირდებოდა. აღნიშნული აფიორისთვის საჭირო დანადგარები შალიკიანმა ქუთაისის ავტოქარხნიდან წამოიღო, რომლის ღირებულებაც - 28 000 ლარი დღემდე არ დაუფარავს. გამოძიების მიმდინარეობისას გამოვლინდა სხვა პირების მიერ მითვისებული ქონებაც. ამჟამად სახელმწიფოს უკვე დაუბრუნდა ერთ დროს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის კუთვნილი წვრილსორტულ ნაკეთობათა საწარმო, რომლის ფაქტობრივი ღირებულება 3 მილიონ ლარს შეადგენს, და ამავე კომბინატის საერთო საცხოვრებელი, ღირებულებით - 50 000 ლარი".**

პროკურატურაში ბონდო შალიკიანის დანაშაულებრივი საქმიანობის ტიპურ მაგალითად სანატორიუმ "საირმის" მითვისების ფაქტს ასახელებენ. **"1999 წლის დასაწყისში ბონდო შალიკიანმა თავისი ნაცნობებისგან - რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მომარაგების უფროსის ზურაბ ქუთათელაძის, შპს "ტერის" დირექტორ ამირან ლომთათიძის და ნარგიზა ტაბატაძისგან შეიტყო, რომ მათ კომბინატის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე განახორციელეს უსაქონლო ოპერაცია. კერძოდ, დოკუმენტალურად გააფორმეს, თითქოსდა ფირმა "სოფომ" "მეტალურგიულს" 500 000 დოლარის ღირებულების წიდა ბამბა მიაწოდა, რა თანხაც კომბინატს არ გადაუხდია. აღნიშნულის საფუძველზე მეტალურგიულ კომბინატს 500 000 დოლარის ოდენობით დავალიანება წარმოეშვა. ბონდო შალიკიანი მოელაპარაკა ზემოთაღნიშნულ პირებს და, ვალის უზრუნველყოფის სანაცვლოდ, კომბინატის ბალანსზე რიცხული სანატორიუმ "საირმის" ხელში ჩაგდება მოინდომა. ეს იყო კარგად გათვლილი ფინანსური მაქინაცია, რომლითაც სარგებელს ძალიან ბევრი პირი ნახულობდა, ზოგი - ფულად გასამრჯელოს, ზოგიც კიდევ - ქონების ხელში ჩაგდების მხრივ,"** - აცხადებს ქუთაისის ოლქის პროკურორის მოადგილე თამაზ ჭუმბურიძე. აღნიშნული გეგმის რეალიზების მიზნით, შპს "სოფომ" რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა, რომელმაც კომბინატს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, შპს "სოფოს" სასარგებლოდ ზარალის ასანაზღაურებლად 650 000 ლარი დააკისრა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, იმავე სასამართლომ 1999 წლის შვიდი მაისის გადაწყვეტილებით, დაკისრებული თანხა 108 000 დოლარით გაზარდა. პარალელურად, ბაღდათის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მეტალურგიული კომბინატის ვალის უზრუნველსაყოფად სანატორიუმ "საირმის" გაყიდვა აუქციონის გზით გადაწყდა. **"აუქციონზე ბონდომ მიიყვანა დედამისი და მასთან დაახლოებული პირი მალხაზ ჯინჭარაძე, რითაც შექმნა ხელოვნური კონკურენცია, რომლის საფუძველზეც სანატორიუმი ბონდოს დედამ იყიდა. მისი ღირებულება კი ბანკში ჩარიცხეს, რომელიც ვალის სანაცვლოდ, ფირმა "სოფოს" ხელმძღვანელმა ნარგიზა ტაბატაძემ გამოიტანა,"** - აცხადებს ჭუმბურიძე.

გამოძიება ვარაუდობს, რომ ტაბატაძემ თანხა ისევ ბონდო შალიკიანს დაუბრუნა და მისგან საჩუქრად მხოლოდ რამდენიმე ათასი დოლარი მიიღო. ასეთი გახლავთ შალიკიანის საქმეზე პროკურატურის მიერ მოკვლეული ერთი ეპიზოდი.

# საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე დააპატიმრეს

გუშინ გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე მერაბ ახობაძე და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ, იგი ბრალდებულის სტატუსით პირდაპირ თბილისის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

ახობაძის დაკავების დეტალები ამ ეტაპზე გასაიდუმლოებულია. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მას ბრალი თანამდებობის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება. გამოძიების მტკიცებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ სასამართლოებისთვის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა მიითვისა. ჯერჯერობით არ ხმაურდება, რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი.

ასევე ჩვენი ინფორმაციით, მერაბ ახობაძე დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ, გამთენიისას, თბილისში აშშ-დან ვაშინგტონის ინტერპოლის მიერ დაკავებული, რამდენიმე ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი თ.ტოროშელიძის ექსტრადიცია განხორციელდა. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ტოროშელიძე დაახლოებით ორი კვირის წინ დააკავეს ვაშინგტონში. 2001 წლიდან "წითელი ცირკულარით", სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის მეოთხე ნაწილით, მასზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ტოროშელიძემ 1998 წლის 23 სექტემბერს, 3 საათზე, ქავთარაძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა დავით ჩოჩიას, გიორგი ჭკუასელისა და ლუკა ბოლქვაძის მკვლელობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს ინფორმაციით, ვინმე გიორგი ცინცაძემ 2002 წელს დუბაიდან "კონიკას" მარკის ციფრული ფოტო-საბეჭდი მოწყობილობა შემოიტანა. შემოტანისას კი საბუთებში საქონლის რეალური ღირებულება შეამცირა.

გადამოწმებისას გაირკვა, რომ ეს ფოტო-საბეჭდი მოწყობილობა დუბაიდან ფირმა "იმტოფ-ტექსიოზიმ" გამოაგზავნა. საქართველოში ინტერპოლის წარმომადგენლობის დახმარებით ფინანსურმა პოლიციამ გაარკვია, რომ მოწყობილობის საბაზრო ღირებულება იმ დროს 82.500 აშშ დოლარს შეადგენდა. საბეჭდ მოწყობილობასთან ერთად, ფირმამ სტაბილიზატორიც გამოაგზავნა, რომლის ღირებულებაც 1.400 აშშ დოლარი იყო. გიორგი ცინცაძემ მიღებული ამანათი მხოლოდ სტაბილიზატორის ღირებულების შესაბამისად განაბაჟა, საბეჭდი მოწყობილობის ღირებულება კი საერთოდ დამალა. ამით საბაჟო წესები უხეშად დაარღვია და სახელმწიფო ბიუჯეტი 65.180 ლარის ოდენობით აზარალა. თავად გიორგი ცინცაძე დანაშაულს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მას კანონი არ დაურღვევია. სისხლის სამართლის საქმე საბაჟო წესების დარღვევის მუხლით არის აღძრული. **მედია-ნიუსი**

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

[illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეპროექტი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელეპროექტისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული. მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტებს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცანით ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

[illegible]

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

### ალმოდოვარ-ლენდი



"რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემში ბევრად უფრო მეტი მორალიზმია, ვიდრე ადრე."

B3

### ქილერ-ბურგერი



30 დღე - მხოლოდ "მაკდონალდსი". ის, რაც თავიდან არცთუ საშინლად ჟღერს, სამედიცინო კატასტროფა აღმოჩნდება.

B3

### სრულფასოვანი რევანში



ბატე - დინამო 2:3

B4

# პოლიცია - საზოგადოებისკენ გაწვდილი ხელი

მაია ჭალაგანიძე

*"პოლიციის აკადემია 1" იყო საბჭოთა მილიციის აკვანი, რომელსაც ახალი ხელისუფლება დიდი მონდომებით ამსხვრევს. შსს პოლიციის აკადემიის დღევანდელი რექტორი, სამართლის დოქტორი ლევან იზორია საზოგადოებისთვის უფრო საექსპერტო მუშაობით იყო ცნობილი. პოლიციასთან კავშირი 2002 წელს დაამყარა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების რეფორმების კომისიის კოორდინატორობა მიანდეს. სხვათა შორის, ამ პერიოდში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ოთხმა უფორმო პიროვნებამ ქუჩაში სრულიად უმიზეზოდ დააკავა. აკადემიის მთავარი ფუნქცია დღეს მენტალობის შეცვლა გახდა. ეს კი არის ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ პირველ საპატრულო პოლიციელს მაინც ვნახავთ შემოდგომამდე. ამ ახალი სტრუქტურის შექმნით პოლიცია საზოგადოებას უწვდის ხელს. ხელის გაწვდის პირველი 1500 მსურველიდან 650 შეირჩა. ორთვიანი ინტენსიური მომზადების შემდეგ მათ 100 გაწვდილი ხელი გამოაკლდათ. მეორე ნაკადში განცხადებების და, შესაბამისად, დემოკრატი პოლიციელობის მსურველთა რაოდენობა გაიზარდა და მათ შორის ყოფილი პოლიციელებიც არიან. ამით იწყება "პოლიციის აკადემია 2".*



*ჩვენი რეფორმის მთავარი მიზანი პოლიციელის საზოგადოებასთან დაახლოებაა. პოლიციელმა ხელი უნდა გაუწოდოს საზოგადოებას და საზოგადოებაც ამ გაწვდილი ხელის გულწრფელობაში უნდა დავარწმუნოთ.*

**დამღუპველია, როდესაც პოლიციელისგან ქვეყანა არ ითხოვს კვალიფიკაციას, არ სწავლობს მის პიროვნებას. სისტემაში მოხვედრის ყველაზე კარგი საშუალება იყო ზარი, ფული, ან მეგობრობა.**

**პოლიციის სტრუქტურულ დეცენტრალიზაციასთან ერთად, აქცენტი თითოეულ პოლიციელზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ გონიერი პოლიციელი უნდა ჩამოვაყალიბოთ.**

**- საექსპერტო მუშაობას ეწეოდით, რამდენად საინტერესოა თქვენთვის ეს ყოველდღიური გაწამაწია?**

- როდესაც გარკვეული თეორიული კონცეფციების შემუშავება მიწევდა (პოლიციის რეფორმებს ვგულისხმობ), ყოველთვის მქონდა ამ დებულებების რეალურად განხორციელების დიდი ინტერესი. შევარდნაძის პერიოდში ყოველ დღე ვრწმუნდებოდი, რომ ის, რასაც დასავლელ ექსპერტებთან ერთად ვქმნიდით და რაშიც თანხებიც იხარჯებოდა, მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. ყველა იდეა, რომელიც მხოლოდ ღრუბლების სფეროს განეკუთვნება, ჩემთვის მოსაწყენია, ხოლო იდეა, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც რეალურია - საინტერესო ხდება. ამდენად, ჩემმა ახალმა საქმიანობამ თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების კარგი შესაძლებლობა მომცა.

**- თქვენს იდეებსა და არსებულ რეალობას შორის დიდია სხვაობაა?**

- რეალობას ყოველთვის კარგად ვიცნობდი და სწორედ ამის გათვალისწინებით იწერებოდა თეორიული კონცეფციები. იდეალიზმისგან ყოველთვის შორს ვიყავით, იდეების პრაგმატული ორიენტირი სწორედ რეალობა იყო.

**- მეოთხე თვე სრულდება, რაც პოლიციის აკადემიის რექტორი ხართ. საბჭოთა მილიციის აკადემიისგან რით განსხვავდება ის, რაც ახლაა?**

- ამ პერიოდში რევოლუციური ნაბიჯები გადავდგით. პირველ რიგში, კორუფციის წინააღმდეგ ასეთი სტრატეგია შევიმუშავეთ: პედაგოგებად 20-30 ახალგაზრდა ასპირანტი მოვიწვიე და გამოცდებზე მივავლინე. ამ გამჭვირვალობამ არსებული სამწუხარო ობიექტური სურათი დაგვანახა და აკადემიის დასწრებული ფაკულტეტიდან 120 ადამიანი იმისთვის გაირიცხა, რომ მათ ნიშნის მიღება ვერ შეძლეს. მათ ოთხჯერ ჰქონდათ გამოცდაზე გასვლის საშუალება, ანუ ვინც ყველა საგანში "ორიანები" მიიღო, გამოცდაზე მეორედ გასვლის შესაძლებლობა მიეცა. ვინც ისევ ყველა "ორი" მიიღო გაირიცხა, ხოლო სხვები ისევ გავიდნენ გამოცდაზე. მესამე ცდაზე ვინც 1 ან 2 "ორიანი" დაიმსახურა, მეოთხედაც გავიდნენ გამოცდაზე....

**- რატომ აძალებთ ამ ხალხს კარგი ნიშნის მიღებას?**

- ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ზედმეტი სიმკაცრე არ დაებრალებინათ. სამწუხაროდ, არსებობს ახალგაზრდების კატეგორია, ვინც მშობელთა დახმარებით იმდენად არიან განებივრებულნი, რომ წიგნის კითხვის ელემენტარული უნარი და ცხოვრების ინტერესიც კი დაუჩლუნგდათ. ეს ხალხი უნდა გამოვაფხიზლოთ. ისინი უკვე 20-21 წლის არიან და დროა, თავის ცხოვრებაში არჩევანი გააკეთონ. ეს მათთვისაც მნიშვნელოვანია.

ჩვენი წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობა დისციპლინა იქნება. ამიტომ ზარით, ფულით და ამგვარი რამით განებივრება თავად პიროვნების საზიანოდ არის მიმართული. კორუფცია არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი, არამედ საზოგადოების ფსიქოლოგიის დამახინჯების ყველაზე არსებითი წყაროც არის. ამიტომაც შევებრძოლეთ კორუფციას პირველ რიგში. თუმცა, ლეგიტიმაციის გარეშე ამის გაკეთება წარმოუდგენელია. არ მექნებოდა ლეგიტიმაცია, თუკი პარალელურად მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატებას არ გავითვალისწინებდი. მოთხოვნა ერთია, მაგრამ თუ სახელფასო უზრუნველყოფა ნორმალური არ არის, კორუფციასთან ბრძოლა თავის მოტყუებაა. აღმოჩნდა, რომ არსებული ბიუჯეტით ხელფასების გაზრდა შესაძლებელი ყოფილა. დღეს აკადემიაში კათედრის გამგეს 650 ლარი აქვს, მასწავლებლის მინიმალური ხელფასი 300 ლარია, ხოლო სახელფასო მინიმუმად 115 ლარი ჩვენთან განხორციელდა, დამლაგებელს სწორედ ასეთი ხელფასი აქვს.

**- იქნებ ჩვენი ეკონომიკური გუნდისთვის ამ გამოცდილების გაზიარება და კონსულტაციის გაწევა შეძლოთ?**

- თუ თითოეული სტრუქტურის ხელმძღვანელი რაციონალურად და კეთილსინდისიერად მიუდგება ბიუჯეტს, ბევრს ექნება ამის შესაძლებლობა.

**- ყველა ძველი პედაგოგი გაუშვით?**

- ყველა არა, მაგრამ ორიენტაცია ახალგაზრდა პედაგოგებზე ავიღე. სამწუხაროდ, ძველმა კადრებმა ხშირ შემთხვევაში, იმედები გამიცრუეს.

საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი საშტატო ერთეულები გაბერილი იყო და თავის ფუნქციას ვერ ასრულებდნენ. პედაგოგებს მინიმალური ხელფასი ჰქონდათ და კორუფციისთვის შესანიშნავი გარემო იყო შექმნილი. რაციონალური მიდგომა კი არაეფექტური სტრუქტურების გაუქმების ხარჯზე სისტემის რაციონალიზაციას გულისხმობს.

**- როგორც ამბობენ, პოლიციის აკადემია არაფრით გამოირჩეოდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისგან. აკადემიაში საჭიროა სწავლების საუნივერსიტეტო სტილი?**

- მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება სწორედ აკადემიის სასწავლო სისტემის შეცვლას შეეხება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იურისტი, მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი თუ კერძო ფირმის იურისტი უნივერსიტეტში უნდა გაიზარდოს, პოლიციელი კი - პოლიციის აკადემიაში, რადგან ამ უკანასკნელის საქმიანობა სპეციფიკურია. აკადემია იმ ნორმებით უნდა შემოიფარგლოს, რომელიც საპოლიციო საქმიანობაში გამოდგება, ეს კი უნივერსალურ იურიდიულ განათლებას არ ითხოვს. ეს ითხოვს უფრო პრაქტიკულ და ეფექტურ განათლებას - თეორია პრაქტიკასთან უნდა იყოს შეჯერებული. პროგრამა ისეთი საგნებით არის გადატვირთული, როგორიცაა ხელოვნების ისტორია, სამართლის ფილოსოფია და ა.შ.

საკმაოდ ავტორიტეტულმა ისტორიკოსებმა საყვედური გამოთქვეს საქართველოს ისტორიის კათედრის გაუქმების გამო, რასაც ვერ დავეთანხმები. ისტორია უნდა ისწავლებოდეს საშუალო სკოლაში და მის უფრო ღრმად შესასწავლად სპეციალური ფაკულტეტიც არსებობს. პოლიციის აკადემიაში ისტორია უფრო პატრიოტული რაკურსით უნდა ისწავლებოდეს. შეიძლება, ეს პატრიოტიზმის კურსები იყოს, შეიძლება, საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, ან პოლიციის ისტორიის კურსი. კათედრის არსებობა, სადაც 11 დაბალხელფასიანი საშტატო ერთეული იქნება, საჭირო არ არის. დაბალი ხელფასი მასწავლებლის დამცირებაც იქნება. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოს ისტორიის და იმ ხალხის პატივისცემაა, ვინც ამ საგანს ასწავლის.

**- პოლიციის სისტემა მთლიანად კორუფციული იყო. რამდენად "მომზადებულნი" იყვნენ აკადემიის კურსდამთავრებულნი ამ საგანში?**

- სანამ ამ კითხვაზე გაგცემთ პასუხს, მინდა ისევ ახალ მოდელზე ვისაუბრო. პიროვნება, რომელიც განათლებისთვის გარკვეულ "ინვესტიციას დებს", ბუნებრივად ცდილობს ამ ინვესტიციის ამოღებას. ამიტომაც ეს სისტემა კორუფციისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ. ბრძოლა პოლიციელის აღზრდით უნდა დაიწყოს. როდესაც პოლიციელი დისციპლინას ემორჩილება და კორუფციის გასაქანს ვერ ხედავს, თავისი პროფესიისადმი, წესრიგისადმი და მასწავლებლისადმი პატივისცემა უჩნდება. მასწავლებელი, რომლის მოსყიდვაც შეიძლება, არ უნდა არსებობდეს.

აკადემიაში სასწავლო ცენტრი, ე.წ. პოლიციის სკოლა არსებობს. პოლიციის რიგითად გახდომა დღემდე ნებისმიერს შეეძლო. მსურველებს კანონმდებლობა ქართული ენის ცოდნის და 18 წლის ასაკის გარდა, სხვა მოთხოვნებს არ უყენებდა. რიგითად მუშაობიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მიავლენდნენ სასწავლო ცენტრში. დამღუპველია, როდესაც პოლიციელისგან ქვეყანა კვალიფიკაციას არ ითხოვს, არ სწავლობს მის პიროვნებას. სისტემაში მოხვედრის ყველაზე კარგი საშუალება იყო ზარი, ფული, ან მეგობრობა. რაღაც ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობდა. ჩვენ ამ მავნე ტრადიციას წინ უნდა აღვუდგეთ და ყველა მოქალაქეს, ვისაც პოლიციელად გახდომა სურს, დაწყებით მოსამზადებელ ცხრათვიან კურსებს გავატარებთ. თუკი 9 თვის შემდეგ ის კრიმინალურ პოლიციაში გადაწყვეტს მუშაობას, მინიმუმ 4 თვე საპატრულო პოლიციაში ყოფნა მოუწევს. შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ისევ აკადემიაში მოემზადება, სადაც სპეციალიზებულ განათლებას მიიღებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება კრიმინალურ პოლიციელად მუშაობა, მაგრამ არა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იმისთვის, რომ თანამდებობაზე მოხვდეს, მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი უნდა ჰქონდეს, 3 ან 6 თვით ისევ აკადემიაში უნდა ისწავლოს და ამის შემდეგ შეეძლება მუშაობა განყოფილების ხელმძღვანელად.

**- ამით რა შედეგს ელით?**

- პოლიციელის თეორიული და პრაქტიკული მომზადება მის ყოველდღიურ საქმიანობაზე იქნება ორიენტირებული. ის ისწავლის საჭიროს, ცოტას, ეფექტურს და მომგებიანს. ეს პროგრამები გვაქვს. საერთაშორისო ორგანიზაციები - ევროპის თითქმის ყველა სტრუქტურა და აშშ ამ პროგრამების ინვესტირებისთვის მზად არიან. ამ მოდელის კონცეფციით, პოლიციელის კარიერული წინსვლისთვის ობიექტური კრიტერიუმები შეიქმნება. მთავარია, ადამიანი კვალიფიკაციის შედეგად გახდეს პოლიციელი, რაც სხვა "მანქანებით" დაწინაურებას გამორიცხავს. ამ ბარიერების გადალახვის შემთხვევაში, პოლიციელს მოტივაციის საფუძველი მიეცემა. როგორც ქართველი სპორტსმენი მუშაობს ყოველდღიურად საკუთარ თავზე, ისე უნდა იმუშაოს პოლიციელმაც.

ერთი თვის წინ ლატვიასა და ესტონეთში აღმოსავლეთ ევროპის პოლიციის აკადემიის სისტემის თანამშრომლები იყვნენ მიწვეულნი. ჩეხეთისა და ესტონეთის შემდეგ საქართველო მთელს ამ სივრცეში იქნება მესამე ქვეყანა, რომელიც პოლიციის აკადემიაში ასეთ მნიშვნელოვან რეფორმებს გაატარებს. ბევრ ჩვენზე განვითარებულ ქვეყანას უჭირს ამ მოდელზე გადასვლა, მაგრამ ის პოსტრევოლუციური სიტუაცია, რაც დღეს საქართველოშია, სისტემის რაციონალიზაციის იდეალური ნიადაგი და ერთადერთი შანსია. დასავლელი ექსპერტები ვერ მალავენ ამ მოდელით აღფრთოვანებას. ამ სამი თვის განმავლობაში ყოველ დღე მოდის უცხოელი სტუმარი, რომელიც თანამშრომლობისთვის არის მზად.

**- 70 წლის აპრობირებულ სისტემას ებრძვით, როდის ვიხილავთ პირველ დემოკრატიულ პოლიციელს?**

- დღეს პოლიცია საზოგადოებისგან იზოლირებულია. რეფორმის მთავარი მიზანი საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის აღდგენა უნდა იყოს. სამწუხაროდ, საბჭოთა მილიცია ყოველთვის რეჟიმთან იყო გაიგივებული და ამიტომაც ხალხში ის ძალოვან სტრუქტურად წარმოისახა.

**- მიგაჩნიათ, რომ პოლიცია ძალოვანი სტრუქტურა არ არის?**

- ეს სიტყვა ძალასთან და ძალადობასთან ასოცირდება და სწორედ იმ დამოკიდებულების ნაყოფია, რაც საზოგადოებას მილიციისადმი ჰქონდა. კარგად მესმის მოქალაქის, რომელიც დანაშაულის ფაქტზეც კი არ რეკავს პოლიციაში. პოლიციელის ქცევის კულტურა, მიმართვის ფორმა და მუშაობის მეთოდები ადამიანის სულიერ მდგომარეობას ამძიმებს. ჩვენი რეფორმის მთავარი მიზანი პოლიციელის საზოგადოებასთან დაახლოებაა. პოლიციელმა რამენაირად ხელი უნდა გაუწოდოს საზოგადოებას და საზოგადოებაც ამ გაწვდილი ხელის გულწრფელობაში უნდა დავარწმუნოთ. თუ პოლიცია ისევ კორიუმპირებული იქნება, ეს ყველაფერი წყალში ჩაყრილ იდეებად და ლაყბობის სფეროდ დარჩება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მომავალი პოლიციელების აღზრდას უნდა მივაქციოთ - კვალიფიკაციაზე ორიენტირებული კონცეფცია გულისხმობს ეთიკის ნორმებსაც, ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემატიკასაც, მეტყველების კულტურასაც და ფსიქოლოგიასაც.

**- ამ ყველაფერს სერიოზული ადამიანი კი მეუბნება, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას სწორედ საბჭოთა მილიციელებთან აქვს ურთიერთობა და ამის დაჯერება გაუჭირდება. იქნებ კიდევ უფრო დაგვარწმუნოთ?**

- აუცილებლად დაგარწმუნებთ. პირველი ნაბიჯი საპატრულო პოლიციის შექმნაა. დღეს ადამიანს უსაფრთხოების განცდა აქვს დაკარგული - დაბნელდება თუ არა, შინ მისვლას ვჩქარობთ. თავი რომ დაცულად ვიგრძნოთ, პოლიცია ქუჩაში უნდა გავიდეს, უნდა იყოს დინამიკური და იდგეს საზოგადოების გვერდით. ყველა მიზანს თავის ეტაპები აქვს და ჩვენ ამ ეტაპზე საპატრულო პოლიციას ვქმნით.

**- კვალიფიკაცია იმის ერთადერთი გარანტიაა, რომ პოლიციელი დამნაშავეს არ გაურიგდება?**

- პოლიციელი სახელმწიფოს ყველაზე კარგი ელჩია ქუჩაში. ის პირველ რიგში, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით ივლის ქუჩაში. ის დამნაშავეს ვერ შეაშინებს, თუ კრიმინალთან გარიგდება. კვალიფიკაციასთან ერთად, ხელფასიც გარანტირებული უნდა იყოს. საპატრულო პოლიციელს თვეში 400 ლარი ექნება, ეყოლება მანქანა, ბენზინს ჩაუსხამენ. უხელფასო პოლიციელი ქუჩაში არ გავა. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაც და ეს პროგრამაში დევს. პოლიციის სტრუქტურულ დეცენტრალიზაციასთან ერთად, აქცენტი თითოეულ პოლიციელზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ გონიერი პოლიციელი უნდა ჩამოვაყალიბოთ.

**- ადამიანის ცნობიერების შეცვლა ძალზე ხანგრძლივი პროცესია...**

- ეს პროცესი დაწყებულია. დღეს და ხვალ ჩვენ იდეალურ შედეგს ვერ მივიღებთ, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს იდეალური პოლიციელი, მაგრამ ნაბიჯი გადაიდგა.

დასავლეთის ქვეყნებში დანაშაულთან ბრძოლის უნივერსალური წამალი არ არსებობს. მარტო განათლებული და პროფესიონალი პოლიციელით, დანაშაულს ეფექტურად ვერ შეებრძოლები. ამ მხრივ ყველაზე ეფექტური პოლიციელისა და საზოგადოების თანამშრომლობაა. თუ საზოგადოება პოლიციელის მიმართ ნდობით არ განეწყო, პოლიციელი ვერაფრით ვერ შეძლებს ეფექტურ მუშაობას. ვიმეორებ - საპატრულო პოლიცია საზოგადოებისკენ გაწვდილი ხელია.

**- როგორც ყოფილი ექსპერტი რას ფიქრობთ, სოციალურად საშიში გახდება თუ არა ის ათასობით პოლიციელი, ვისაც სამსახურიდან ითხოვენ?**

- ჩვენთვის უკეთესია გავხადოთ ფორმა და მისი რეალური სახე წარმოვაჩინოთ, ვიდრე ფორმიანი იყოს და კრიმინალურ ქმედებებს ჩადიოდეს.

**- ეს ურჩევნია თქვენს სტრუქტურას, მაგრამ საზოგადოება სოციალური დაცვის მექანიზმების არსებობას არჩევს, არა?**

- მათ გარკვეულ კომპენსაციას მისცემენ ისე, როგორც ეს აკადემიის სისტემაში მოხდა. სამწუხაროდ, სახელმწიფოს სოლიდური კომპენსაციების საშუალება არ აქვს, მაგრამ ამ მიზეზით ცუდის შენარჩუნება თავის მოტყუებაა. ყველაფერს რაციონალურად უნდა მივუდგეთ. როდესაც ხელისუფლება გრძელვადიანი პერსპექტივისადმი გონიერ მიდგომას არჩევს, ის საზოგადოების მხარდაჭერასა და თანადგომას საჭიროებს. ცუდის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში კარგს არაფერს მოგვიტანს, თუმცა, ყველას ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული. შტატების შემცირება-ოპტიმიზაცია ერთი სიკეთეა, მეორეა - სოციალური დაცვის მექანიზმები და ეს ხელისუფლებამ უნდა აიღოს თავის თავზე, რათა ამ ხალხმა თავისი ადგილი და როლი იპოვოს.

**- ცხადია, მხოლოდ აკადემია ვერ იზრუნებს იმ ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე, რომელიც საზოგადოებასა და პოლიციას შორის გაჩნდა...**

- ჩემთვის პოლიციელის აღზრდას უპირველესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პოლიცია სტრუქტურულად ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მან საზოგადოებასთან თანამშრომლობის რეალური ბერკეტები შექმნას. აუცილებელია პოლიციელი სკოლებში მიდიოდეს, საჭიროა პოლიტიკის შემუშავება, პოლიციასთან საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში უდიდესი როლი ენიჭება მედიას... სამუშაო ბევრია.

**- ტერმინი "ძალოვანი" არ მოგწონთ, აბა რა დავარქვათ?**

- "ქართული პოლიცია" ყველაზე კარგი სიტყვაა.

# ხელოვნების ზეიმის გასხივოსნებული ღამე

## ჯენი აბელი, არკადი ცენციპერი და გინტარას რინჯევიჩუსი ბორჯომში

მადი სერებრიაკოვა

**"შონბერგმა იმ ნახევარ საათში, რაც "გასხივოსნებული ღამე" ჟღერს გააკეთა ის, რასაც ვაგნერი ცდილობს 5 საათის განმავლობაში "ტრისტანსა და იზოლდაში"** - ასე მსჯელობს "ხელოვნების ზეიმის" ერთ-ერთი მონაწილე ავსტრიელი დირიჟორი იონ ქ. ლი შონბერგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ ნაწარმოებზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა გასულ კონცერტზე გინტარას რინკევიჩუსთან ერთად შეასრულა. ბორჯომის III საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო საღამო "ხელოვნების ზეიმის" საბაზო ორკესტრისთვის, ალბათ, ყველაზე მომგებიანი გამოდგა.

"ხელოვნების ზეიმი" უკვე დასკვნით ფაზაში შევიდა. ფესტივალის მესამე გამოშვება,სავარაუდოდ, გადამწყვეტი გახდება მისი არსებობის ისტორიისთვის. ღონისძიების დაფინანსების გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა, თუ უბრალოდ სახელმწიფოს ახალი კულტურული პოლიტიკის ტენდენციებმა "ხელოვნების ზეიმი" (და მასთან კიდევ ბევრი რამ) მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა: ან დაამტკიცებს საკუთარი არსებობის აუცილებლობას, ანდა მის ადგილს სხვა, კომერციულად თუ იდეოლოგიურად უფრო მომგებიანი პროექტები დაიკავებენ. (წელს ფესტივალი ბორჯომის კომპანიამ გადაარჩინა ჩაშლას, თუმცა რა იქნება მომავალ წელს - არავინ იცის.) - **"მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ვისი საკონცერტო მოღვაწეობაც არ ეტევა იმ სპორტული შოუბიზნესის ფარგლებში, რომელმაც მოიცვა მთელი მუსიკალური სამყარო, მათ შორის კლასიკურიც?"** - აღნიშნავს გერმანიაში მოღვაწე პიანისტი არკადი ცენციპერი. იგი ევროპაში ორი მნიშვნელოვანი ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია: "შნაკენბურგის შუბერტიადების" და "დრაიკლანგის", ამჯერად კი მან ბორჯომის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

გასული კონცერტი, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული პროგრამით გამოირჩეოდა. რთული, როგორც შემსრულებლებისთვის, ისე მსმენელისთვის. ფესტივალისთვის



გოგიტა ბახაიძის ფოტო

ჯენი აბელი. გასული კონცერტი ალბათ ყველაზე რთული პროგრამით გამოირჩეოდა.

არცთუ ტიპური პროგრამა (ჩვეულებრივ, ასეთ დროს უფრო ცნობილ, პოპულარულ მუსიკას ასრულებენ) ძველი და ახალი მუსიკის ისეთი ნაწარმოებებისაგან შედგებოდა, რომელიც საქართველოში ან არ, ან ძალზედ იშვიათად სრულდება. გარკვეულწილად, ეს "ხელოვნების ზეიმის" კონცეფციის ნაწილია - ლიანა ისაკაძის ინიციატივით, ფესტივალს ერთგვარი კულტურტრეგერული ფუნქცია აქვს და ახალი მუსიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, რომელსაც ქართველი აუდიტორია და თავად შემსრულებლებიც ჯერ კიდევ ნაკლებად სწყალობენ.

კონცერტში საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი და სამი გასტროლიორი: გინტარას რინკევიჩუსი, ჯენი აბელი და არკადი ცენციპერი იღებდნენ მონაწილეობას. ფესტივალის ამ საღამოს ბოკერინის კვინტეტი, მენდელსონის კონცერტი ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, მეორე განყოფილებაში კი - ჰარტმანის "სამგლოვიარო მარში" და შონბერგის "გასხივისნებული ღამე" შესრულდა.

ბოკერინის კვინტეტი ორკესტრისთვის თავად ლიანა ისაკაძემ გადაამუშავა. მენდელსონის კონცერტი კი უფრო ხშირად სოლისტებისა და სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობით სრულდება. თუმცა თავად ავტორს იგი სწორედ კამერული ორკესტრისთვის დაუწერია. სოლისტებად, როგორც აღინიშნა, გერმანელი მევიოლინე ჯენი აბელი და არკადი ცენციპერი მოგვევლინენ. ჯენი აბელი ევროპაში საკმოად ცნობილი მევიოლონეა. მას საკმაოდ უცნაური - მუსიკოს-ელჩის თანამდებობა აქვს და ხშირად მონაწილეობს სამშვიდობო-საქველმოქმედო კონცერტებში ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ. იგი ასრულებს თითქმის ყველა ეპოქის მუსიკას, თანამედროვე კომპოზიტორები კი სპეციალურად მისთვის ქმნიან ნაწარმოებებს.

ბორჯომში გამართულ კონცერტზე ჯენი აბელის შესრულებით ჰარტმანის კონცერტი უფრო მომეწონა, ვიდრე მენდელსონი. მენდელსონის შემთხვევაში, მცირე ხარვეზებს თავისი გამართლება აქვს: ძალზედ რთული ანსამბლი პიანისტთან და დირიჟორთან, რომელთაც მევიოლინე პირველად შეხვდა - არ იძლეოდა საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესო კუთხით დემონსტრირების საშუალებას. თავად აბელი უდროობას, უცხო ორკესტრის შეუჩვეველ ჟღერადობასა და დირიჟორის, მისთვის ასევე უცხო, ტემპებს უჩიოდა. თუმცა საბოლოოდ, გამოსვლას მაინც პოზიტიურად აფასებდა. აზრთა სხვადასხვაობა ამ თემაზე მსმენელებს შორისაც იყო: იყვნენ ისეთები, ვისაც კატეგორიულად არ მოეწონა აბელის ძალზედ მკვეთრი ხმოვანება, თუმცა ეს უკანასკნელი მევიოლინეს ჰარტმანის კონცერტის შესრულებისას გამოადგა. "სამგლოვიარო კონცერტი" გერმანელმა კომპოზიტორმა გერმანიის მიერ ჩეხეთის ოკუპაციის ტრაგიკული სურათების გავლენით შექმნა და საბოლოოდ ფაშისტურ გერმანიაში მისი მუსიკა აიკრძალა კიდეც. როგორც ემოციური, ისე ჟღერადობრივი თვალსაზრისით ძალზედ მძიმე ნაწარმოები, ჯენი აბელმა მეტად დრამატულად შეასრულა. ამ შემთხვევაში გაამრთლა სოლისტისა და დირიჟორის ტანდემმაც.

გინტარას რინკევიჩუსი თავისი ბუნებით, ალბათ, უფრო დიდი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორია. მასიური, ფართო ჟესტები უფრო ბუნებრივი დირიჟორის მიერ წარმოდგენილ თანამედროვე მუსიკის შემთხვევაში იყო. აღსანიშნავია, რომ რინკევიჩუსი ლიტვის სიმფონიური ორკესტრის დამაარსებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია. იგი ბევრს მუშაობს საოპერო მუსიკაზე. თანამშრომლობს მრავალ გამოჩენილ მუსიკოსთან, მათ შორის ქართველები - პაატა ბურჭულაძე და ბადრი მაისურაძეც არიან.

შონბერგის "გასხივოსნებული ღამე", რომელიც ალბათ გუშინდელი კონცერტის საუკეთესო ნომერი იყო და ამაში დიდი წვლილი მასპინძელს, საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს მიუძღვის, რინკევიჩუსს თავის დროზე არასტანდარტულ შემადგენლობასთან - გაფართოებულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად აქვს შესრულებული. თბილისში იგი 6 ინსტრუმენტისთვის შექმნილი ვერსიით შესრულდა.

კონცერტის უდავოდ გამორჩეული მონაწილე პიანისტი არკადი ცენციპერი იყო. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობრივი პოზიციებისა, მენდელსონის კონცერტთან დაკავშირებით - ცენციპერის პიანიზმზე ყველა მოწიწებით საუბრობდა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იგი ორი ფესტივალის ხელმძღვანელია. ბორჯომის ფესტივალში პირველად მიიღო მონაწილეობა, თუმცა კმაყოფილებას არ მალავდა: **"ძალიან პროფესიული, თბილი, კეთილი, არაჩვეულებრივი ფესტივალია. ძეგლი უნდა დაუდგათ ლიანას, რომ ასეთ დროს, ასეთი შესაძლებლობების პირობებში ამდენს ახერხებს. ასეთი ფესტივალით ბევრი განვითარებული ქვეყანაც ვერ დაიკვეხნის."**

ფესტივალის მომდევნო კონცერტს უკვე თავად ლიანა ისაკაძე წარმოადგენს. ძალზედ ორიგინალური პროექტი ბალალაიკების ტრიოსთან ერთად შესრულდება.



# აფიშა

### კინოთეატრები

**"რუთაველი"**
"ადამიანი ობობა 2"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**"ამირანი"**
"მაგარი გოგოები"
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ცუდი აღზრდა"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

### გამოფენები

**დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი**
საქართველოს სამუზეუმო კოლექციები მცხეთაში
თიანეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის გამოფენა

**ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი**
ქეთი ელიოზიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
აფხაზეთის მხატვართა საანგარიშო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) და ზურაბ ჭედიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ბაიას გალერეა"**
ამერიკელი მხატვრის ჰენრი უერდემანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ქარვასლა"**
კოტე ჯინჭარაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ეკრანი და ათი ვნება"

ჟან ჟაკ კრესდერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "4,5 კმ ფოტოგრაფია"

**"ჰობი"**
"კალეიდოსკოპი"

### პრეზენტაციები

**კაფე "პარნასი"**
შოთა იათაშვილის ლექსების კრებულის პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

**წიგნის სახლი**
მერაბ ბერაძის წიგნის - "ცოდვა დასავიწყებლად" პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "ჩემი ნებით მივდივარ"



ოთხშაბათს, 14 ივლისს, სტოკჰოლმში ინგმარ ბერგმანის 86 წლის იუბილე სევდიანი განცხადებით დასრულდა. ბერგმანმა განაცხადა, რომ ის სცენიდან მიდის. მისივე თქმით, ჰენრიკ იბსენის "მოჩვენების" მიხედვით, შვედეთის სამეფო დრამატული თეატრისთვის 2002 წელს გაკეთებული სპექტაკლი უკანასკნელი იქნება.

"მოჩვენების" შემდეგ გადავწყვიტე, რომ ყველაფერი ამით უნდა დასრულდეს. არ მინდა, რომ თეატრიდან ძალით გასაყვანი გავხდე. ჩემი ნებით მივდივარ. არავის ვათქმევინებ, ის უკვე მოხუცია და უნდა წავიდეს. ამას ჩემით გავაკეთებ", - განუცხადა რეჟისორმა ერთ-ერთ შვედურ გაზეთს და დასძინა, რომ ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, მისი გული უფრო თეატრს ეკუთვნის, ვიდრე კინოს: "თეატრი ერთდროულად დასაწყისიცაა და დასასრულიც და ესე იგი - ყველაფერი. მაშინ, როცა კინო მეძავებითა და სისხლით დაინტერესებული კომერციააა".

და მართლაც, ინგარ ბერგმანის კარიერის ხერხემალი თეატრია, თუმცა, კინოში გატარებულმა პერიოდმა მას მრავალი კინომანი თაყვანისმცემელი გაუჩინა. მან საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიაში სამი "ოსკარიც" მოიპოვა, უკანასკნელი - 1983 წელს, "ფანი და ალექსანდერისთვის".

"ამ ფილმზე შვიდი თვის განმავლობაში ვმუშაობდით. გადაღებების პროცესი დიდხანს გაგრძელდა და ძალიან აირ-დაირია. და როცა პრემიერაც ჩავათავეთ და მივხვდით, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდა, ჩემთვის შვებით ამოვისუნთქე", - იგონებს დღეს 86 წლის რეჟისორი.

შვედურ გაზეთს ბერგმანი სიკვდილზეც გაესაუბრა. "მისი არც მეშინია და მასში ვერც იდუმალს ვხედავ რაიმეს. სიკვდილი ჩემთვის უცხო არასდროს ყოფილა". ამის დასტურად კინომცოდნეები იხსენებენ 1957 წლის ფილმს "მეშვიდე სელაპს", რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს სიკვდილი ასრულებს. ამ ფილმიდან არის კინემატოგრაფის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სცენა მამაკაცს ჭადრაკს "სიკვდილის" აჩრდილი ეთამაშება.

# მინანქარი, რომელიც დროს ამარცხებს

თამარ სუხიშვილი

გუშინ, ასე სადღაც საღამოს ექვსი საათისთვის, ლესელიძის ქუჩაზე რომ ჩავუხვიე, თერმომეტრი 35 გრადუსს აჩვენებდა. საღამო ეთქმოდა, თორემ ისე რა საღამო იყო, მზე აჭერდა და აჭერდა. მინანქრის ხელოვნების გალერეა "ორნამენტის" დამთვალიერებლებს კი ნამდვილი გმირები ეთქმოდათ. ისინი პაპანაქება სიცხეში მოთმინებით იდგნენ გალერეის წინ და თავის რიგს ელოდებოდნენ. მინანქრის პატარა გალერეა (ერეკლე II-ს ქუჩაზე 7 ნომერში რომ მდებარეობს) ხომ ერთდროულად ამდენ სტუმარს ვერ დაიტევდა. ლოდინი კი გამოფენის ნახვის მსურველებს მართლაც დიდხანს უწევდათ. ეს იმიტომ რომ, დარბაზში ვინც შედიოდა, უკან აღარ ბრუნდებოდა. გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ დამთვალიერებლები ერთ წრეს არ სჯერდებოდნენ და უვლიდნენ და უვლიდნენ გარშემო ვიტრინებს. მათი გარეთ გამოტყუება ქუჩაში საგანგებოდ გამოტანილ მაგიდებზე გაშლილი ალა-ფურშეტის ხათრითაც კი ვერ მოხერხდა...

გამოფენის გახსნა გუშინ, ზუსტად ექვს საათზე, მუსიკის ხმამ გვამცნო.

გალერეაში თანამედროვე ქართველი მხატვრების ბოლო პერიოდის ნამუშევრებია წარმოდგენილი. ექსპოზიცია მრავალფეროვანია, ტექნოლოგიითაც, თემატურადაც და მონაწილეთა რაოდენობის თვალსაზრისითაც. ექსპონატების 80 პროცენტი მინანქრის სკოლის მეშვიდე გამოშვების მოსწავლეთა ნამუშევრებია, შეგირდების ნახელავთა გვერდით კი მათივე მასწავლებლების - თეა გურგენიძისა და ირაკლი მეგრელიშვილის, და მინანქრის ცნობილი ოსტატების - ზაზა ლოდიას, მანაბა მაგომეტოვას, გოგიტა ხვედელიძის, ოთარ სალბიაშვილის, სოფო ეცადაშვილის, პაატა პაატაშვილის, ნათია გიორგობიანის, მაია ჯიქიას, ლეილა იზაბაკაროვასა და სხვათა ნამუშევრებია გამოფენილი. სულ ასამდე ექსპონატია: სამკაული



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ტიხრული, ტვიფრული, ვიტრაჟული მომინანქრება, მოოქროვება, ოქსიდირება, ჭედურობა მეტალზე - ასეთი ტექნიკითაა შესრულებული ირაკლი მეგრელიშვილის "არგო".*

(ძირითადად სამკაული ჭარბობს), ქამრის ბალთა, ზოდიაქოს ნიშნები, მინანქრის მინიატურები... აქ ნახავთ დედოფლის იმ ცნობილ ყელსაბამსაც, რომელიც მისმა ავტორებმა საგანგებოდ დაამზადეს ბრიტანეთის დედოფლის იუბილესთვის. ყელსაბამზე მხატვართა ჯგუფი მუშაობდა: ირაკლი მეგრელიშვილი, თეა გურგენიძე, პაატა პაატაშვილი, დავით ჩხეიძე და მანანა გიგოლაშვილი. ისინი დედოფლისთვის ამ ყელსაბამის გაგზავნას აპირებდნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, პროტოკოლის მიხედვით, ბრიტანეთის დედოფლისთვის ნებისმიერი საჩუქრის გაგზავნა არ შეიძლება. საჩუქრის ღირებულება გარკვეულ თანხას არ უნდა აღემატებოდეს. რა თანხაზეა კლაპარაკი, ზუსტად ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ ქართველი მხატვრების მიერ დამზადებული ყელსაბამი ძვირფასია და სამეფო პროტოკოლით გათვალისწინებულ საჩუქართა ნუსხაში სწორედ ამიტომ ვერ მოხვდა. ასე რომ, ყელსაბამმა გალერეაში დაიდო ბინა.

ტიხრული მინანქრის გამოფენა "თაობა", რომელიც გუშინ "ორნამენტში" გაიხსნა, გალერეაში დამკვიდრებული საგამოფენო ციკლის გაგრძელებაა; მაგრამ, როგორც ხელოვნებათმცოდნეები ამბობენ, თვისობრივად განსხვავებულია სხვა გამოფენებისგან. ეს მთლიანად სიახლეა, არა მარტო მინანქრის ტექნოლოგიის თვალსაზრისით, არამედ თემატურადაც.

მომცრო საგამოფენო დარბაზის შუაგულში ირაკლი მეგრელიშვილის ორიგინალური ნამუშევარია განთავსებული. ეს არის ქანდაკება "არგო", რომელიც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მინანქარს ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს. ტიხრული, ტვიფრული, ვიტრაჟული მომინანქრება, მოოქროვება, ოქსიდირება, ჭედურობა მეტალზე - ასეთი ტექნიკითაა შესრულებული "არგო", რომელსაც შინაარსობრივადაც საინტერესო კონცეფცია აქვს. სახელწოდებიდან გამომდინარე, ამოსავალი არგონავტიკის თემაა. "ჩემს ნამუშევარზე ერთი რამის თქმა შემიძლია. მე აქ ვერ შევძლებდი არგონავტების მითის ყველა ატრიბუტისა და ყველა გმირის გამოსახვას, - ამბობს ავტორი, - შევეცადე ეს ყველაფერი ლაკონურად გამეკეთებინა: ეს არის ბერძნული ხომალდის სიმბიოზი ლოკოკინასთან, რომელიც ტოვებს კვალს. და ეს კვალი ჩვენი გარდუვალი ბედისწერაა, წამი, რომელსაც ვერ გაექცევი. ძნელია ერთი პატარა ქანდაკებით მთელი სათქმელი გადმოსცე, აჩვენო იასონისა და მისი თანამგზავრების გავლილი გზა და ძლიერი ნებელობის მუხტი, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს ოდნავ გადაუხვიოს ღმერთების მიერ დაწერილ ბედს..." არგო-ლოკოკინას ნიჟარაც ორიგინალური აქვს - გლობუსი, სამყარო, რომელშიც არგონავტები მოგზაურობენ. ნამუშევარი სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული: გამოყენებულია ვერცხლი, ოქრო, ბერძნული მარმარილო და სერდოლიკი.

მოკლედ, მიხვალთ და თქვენ თვითონ ნახავთ. აქვე გალერეაში გამოფენის კატალოგის შეძენაც შეგიძლიათ. კატალოგი ლეონარდო და ვინჩის სიტყვებით იხსნება: "თუ ბრინჯაოს ქანდაკება ჟამთასვლას უძლებს, მინანქარი მარადიულია. მე ვოცნებობ, შევქმნა მინანქრის ნამუშევრები, რომელთა მდიდარი და კაშკაშა ფერები დაამარცხებს მის უდიდებულესობას - დროს."

# ალმოდოვარლენდი

მაკა კუკულავა

**ესპანეთი** - ახალი ესპანეთის შექმნის იმიჯს სწორედ დიდ რეჟისორს, პედრო ალმოდოვარს მიაწერენ. მასმედიის საშუალებით მისი რადიკალურად ტრანსფორმირებული პერსონაჟები ისე იქცევიან, თითქოს ფრანკოს ესპანეთი არც არსებობდა საერთოდ. პაროდიულმა მელოდრამებმა მაყურებელს დაავიწყა მაჩო-მატადორის სტერეოტიპული სახე. თავისუფალი სექსუალურობა გახდა პოსტფრანკოსეული ესპანეთის ახალი კულტურული ფეტიში: **"ურბანული, მანერული, მსუბუქი, სექსუალური, მრავალფეროვანი, მხიარული და თავისუფალი"** - სწორედ ასე უნდოდა ესპანეთს წარმოეჩინა ეკრანზე თავისი თავი დანარჩენი ევროპის თვალში.

**გმირები** - ზემოთხსენებული მაჩო-მატადორისა თუ ვნებიანი ესპანელი ქალის სტერეოტიპების პაროდიულ და უტრირებულ სახეებთან ერთად მოდიან ჰომოსექსუალური წყვილები, ტრანსსექსუალები, ბისექსუალები, ლესბოსელები, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები.

**პროფესიები** - კაცები უფრო ხშირად ჟურნალისტები, მწერლები, პოლიციელები, ექიმები, ფოსტალიონები, ტაქსისტები. ქალები - როგორც წესი დიასახლისები, მსახიობები, მოდელები, კახპები, ანარქისტი მონაზვნები.

**თვითონ ალმოდოვარი** -ამ საზოგადოების მოქალაქე და პერსონაჟი.

**გენდერული როლების გადანაცვლება** - ალმოდოვარის ძველი ხუთწუთიანი ჩანახატი "სექსი მიდის, სექსი მოდის": ბიჭი "აბამს" გოგოს, ამ პროცესში აღმოაჩენს, რომ გოგო სუსტ სქესს ამჯობინებს. ბიჭი იცმევს კაბას და იკეთებს მაკიაჟს. ასეთი სახეცვლილებით ის ადვილად იპყრობს გოგოს გულს. მაგრამ ცოტა ხანში ხვდება, რომ მას შემდეგ, რაც გახდა ქალი, მას მხოლოდ მამაკაცები აინტერესებს.

**სტილი** - სტილი გემოვნების თავისებურებაა. სტილის დაცვა დიქტატი ხდება. დიქტატისაგან თავის დაცვა - პროტესტი. სტილის დაცვა ალმოდოვარისათვის ვულგარულობაა, თავდაცვისათვის იგი "ცუდ გემოვნებას" ირჩევს, როგორც პროტესტს დიქტატის მიმართ. სტილი ალმოდოვართან კიჩად ტრანსფორმირდება, "ცუდი გემოვნება", "გამომგონებლობითა და იუმორით" სავსე. ალმოდოვარი "კიჩის ვისკონტი" ხდება.

**რეალობა** - ჩვენ ყველანი იმიჯების და ფიქციების ტყვეობაში ვიმყოფებით - მულტიმედიების ტოტალურ ტყვეობაში. რეალობა არის ჰიპერრეალობა. ჰიპერ-რეალური სამყაროს რეალური გარემო, რომელშიც ალმოდოვარი თავის პერსონაჟებს ათავსებს, ეს არის მოზაიკური, ექსტრავაგანტული, ეკლექტური, ქაოტური, თანამედროვე კულტურული სამყარო ლიფტებში, ბარებში, ღამის კლუბებში, დისკოთეკებზე, სამზარეულოში, აბაზანაში, ქუჩის ვიტრინებში, სარეკლამო აფიშებზე, ფოტოებზე, კომიქსებში, ჟურნალებსა და გაზეთებში, ტელეფონში, ტელევიზორში, ვიდეომაგნიტოფონში...

**ფერი** - რეალური ფერები ჰიპერფერებად გარდაიქნება: ყვითელი - ქიმიურ ყვითლად, ლურჯი - "შხამიან" ლურჯად, წითელი - სისხლისფრად...

**სისხლი** - ტარანტინოსთან სისხლის შადრევნები სიცილს იწვევს, ალმოდოვართან წვეთი სისხლი ეცემა მიწას და უბრალოდ გული გეკუმშება.

**სენტიმენტალობა** - პოსტმოდერნისტი ირონისტები გულგრილობისაკენ მოგვიწოდებენ. თავის გმირებზე უფრო პოსტმოდერნისტი ალმოდოვარი აქაც ჩარჩოში -თუნდაც პოსტმოდერნისტულში - ვერ ეტევა და მისი პროტესტი უკვე თავისი პერსონაჟების გულგრილობისადმი სიყვარულში გამოიხატება. გულახდილი ციტატები მის ფილმებში ცრემლს იწვევს. პერსონაჟები კი, რომლებიც ნამდვილად არ არიან გულგრილები, თავიანთი გრძნობების ღიად გამოხატვით, მაყურებლის სენტიმენტალურობამდე დაყვანილ თანაგრძნობას აღწევენ. ამ ყველაფერს კი პოსტმოდერნისტული ირონია დაჰკრავს.

**რევოლუცია** - სექსუალური რევოლუციიდან ბისექსუალურ რევოლუციამდე.

**ფეხსაცმელები** - აუცილებლად მაღალ ქუსლზე.

**ტუჩები და ფრჩხილები** - აუცილებლად მკვეთრად შეღებილი.

**Chanel** - ალმოდოვარის ქალების საყვარელი ტანსაცმლის მარკა ფილმიდან ფილმში და ესეც ირონიის თანხლებით: "როგორ მივცე უფლება ჩემს თავს ფული დავხარჯო ნამდვილ "შანელზე", როდესაც ნახევარი მსოფლიო შიმშილობს", ("ყველაფერი დედაჩემის შესახებ").

**მუსიკა** - ალბერტო იგლესიასის ჰანგები და გაეტანო ველოსოს სიმღერა ზღვის ტალღების ფონზე.

**ბალეტი** - პინა ბაუშის ნაზი და ამავე დროს, დაუნდობელი ცეკვა.

**აფიშა** - "ესაუბრე მას" ლიდიასა და ალისიას გამოსახულებით, რომელიც ყველამ დავიკიდეთ სახლში ფილმის ნახვის შემდეგ.

**მორალი** - "რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემში ბევრად უფრო მეტი მორალიზმია, ვიდრე ადრე, მგონი იმაზე მეტიც კი, რაც მინდოდა რომ მქონოდა.

**ფილმი** - "ესაუბრე მას". ალმოდოვარმა, როგორც იქნა სიტყვა მისცა კაცებს და ისიც იმიტომ რომ, კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, როგორი უსუსური არსებები არიან ქალებთან შედარებით.

ფილმი კაცებზე, შეყვარებულ კაცებზე, რომლებიც ტირიან და ესაუბრებიან ქალებს, რომლებიც დუმან და მაინც რჩებიან სამყაროს ცენტრად: ფილმი ქალებზე კაცური პროფესიით და კაცებზე - ქალური გრძნობებით. კიდევ ფერებით, კორიდით, ალბერტ იგლესიასის მუსიკით, პინა ბაუშის ამაღელვებელი ბალეტით, უხმო კინოსადმი სიყვარულით, ადამიანების მარტოობით, რომლებიც სულს გადაგვიშლიან და გვიმტკიცებენ, რომ ადამიანური ურთიერთობები ყველაზე მთავარია. რომ ეს ურთიერთობები შეიძლება დამყარდეს სიტყვის გარეშეც. ჩვენ ისედაც ბევრს და ფუჭად ვლაპარაკობთ.

თუ ფილმში "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" ალმოდოვარმა კაცი, უფრო მეტიც, მამა გახადა ტრანსსექსუალი, აქ სპერმატოზოიდად აქცია, რათა "მოემსახუროს" მას, ვისზედაც დამოკიდებულია ახალი ცხოვრების შექმნა. მაგრამ ალმოდოვარის სპერმატოზოიდების ცხოვრებაში არის ყველაზე მთავარი - სიყვარული, რის გამოც ისინი ყველაფრისთვის მზად არიან. სწორედ ეს ხდის ფილმს ამაღელვებელს, ყველასათვის გასაგებს და მარტივს.

**ცეკვა** - ფინალი ფილმისა "ესაუბრე მას" ყველაზე უფრო ლამაზია, რაც კი ოდესმე გინახავთ.



"რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემში ბევრად უფრო მეტი მორალიზმია, ვიდრე ადრე, მგონი იმაზე მეტიც კი, რაც მინდოდა რომ მქონოდა.

# ქილერ-ბურგერი

Super Size Me

ოცდაათი დღის განმავლობაში ნიუ იორკელი კინორეჟისორი, მორგან სპარლოკი, მხოლოდ "მაკდონალდსის" პროდუქტებით იკვებებოდა. ამ აქციის შედეგების შესახებ მოგვითხრობს მისი დოკუმენტური ფილმი Super Size me, რომელმაც შიშის ზარი არამარტო სწრაფი კვების ქსელის გიგანტებს, არამედ ყოველ მაყურებელსაც დასცა.

მორგან სპარლოკი დიდი ქალაქის ჩვეულებრივი მკვიდრია: ნავარჯიშები, ფეხით მოსიარულე, მოკლედ, მამაკაცი, რომელიც ყოველთვის მომართულია თავდასაცავად. ნიუ იორკელი სპარლოკი ოცდაათს გადაცილებულია და სავსებით ჯანმრთელად გრძნობს თავს. გარდა ამისა, მისი ცხოვრების თანამგზავრი ქალი ვეგეტარიანელი მზარეულია და თავისი მამაკაცის ჯანსაღ ცხოვრების წესზე განსაკუთრებით ზრუნავს.

2002 წელს სპარლოკმა გაზეთში ორი უზომოდ მსუქანი თინეიჯერის ამბავი წაიკითხა. ეს ორი მოზარდი "მაკდონალდსს" სასამართლოში უჩიოდა, რადგან მათი აზრით, უსაშველო სიმსუქნე მთლიანად ამ სწრაფი კვების ობიექტის ბრალი იყო. მაშინ სპარლოკს ერთი შეხედვით აბსურდული კითხვა გაუჩნდა: ნეტა, რა მოხდება, როცა ადამიანი ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ "მაკდონალდსში" შეჭამს?

ეს კითხვა სულ მალე გეგმად ჩამოყალიბდა, და საბოლოოდ სპარლოკმა ფილმიც გადაიღო, რომელმაც იანვარში, სანდენსის ფესტივალზე საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის ჯილდო დაიმსახურა. შეერთებულ შტატებში ფილმი მაისში აჩვენეს, და მრავალი კვირის განმავლობაში საუკეთესო ფილმების ათეულში იყო შესული. თანხაც შთამბეჭდავია: 300 ათას დოლარად გადაღებულმა ფილმმა 10 მილიონი დოლარი მოიტანა.

30 დღე - მხოლოდ "მაკდონალდსი". ის, რაც თავიდან არცთუ საშინლად ჟღერს, სამედიცინო კატასტროფა აღმოჩნდება. სპარლოკმა საკუთარ თავზე ექსპერიმენტი სათანადო მომზადების შემდეგ დააყენა. კალორიებით მდიდარი პროგრამის გავლისას მის ფიზიკურსა და ფსიქიკურ ცვლილებებს სამი ექიმი, ერთი კვების ექსპერტი და მისი ზემოთხსენებული ვეგეტარიანელი მეგობარი აკვირდებოდნენ. პროგრამა შემდეგში მდგომარეობდა: დღეში სამჯერ ჭამა, მხოლოდ "მაკდონალდსში". ოთხი კვირის განმავლობაში რეჟისორმა სწრაფი კვების ამ ჯაჭვის ყველა პროდუქტი გასინჯა. "მაკდონალდსის" მომსახურე პერსონალის კითხვაზე, თუ როგორი ულუფას ინებებდა, ნორმალურსა თუ ორჯერ უფრო დიდს, ის ყოველთვის პასუხობდა: "ყველაზე დიდი, თუ შეიძლება". თავიდან ის კმაყოფილიც კი იყო, რომ ვეგეტარიანელი შეყვარებულის მოსაწყენ სამზარეულოს ცოტა ხნით მაინც გადარჩებოდა.

ჭამის ჩვევების შეცვლის გარდა, სპარლოკმა თავისი თანამემამულეების უმრავლესობის მსგავსად საკუთარი მოძრაობაც შეზღუდა - ნებისმიერ, ყველაზე პატარა მანძილსაც კი მანქანით გადიოდა.

მაშ, ასე: "უმსუქნესთა რობინ ჰუდი", სპარლოკი, ბოროტ, კორპორაციულ ამერიკას ებრძვის და შიშის ზარსაც სცემს. მას შაქრის, მარილისა და ცხიმის საშინელებათა სამყაროში შევყავართ.

"მაკდონალდსის" ნაწარმით გაფუების შედეგები სულ მალე იჩენს თავს. სპარლოკის მანამდე იდეალური ქოლესტერინის დონე უცებ 65 პუნქტით მაღლა იწევს, ღვიძლიც აშკარად დაიზიანა. სამი კვირის შემდეგ მისმა მკურნალმა ექიმმა საგანგაშო ნიშნები აღმოაჩინა: "ლოთი რომ იყოთ, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ასეთი რამ ხომ "ფასტ ფუდის" საჭმლითაა გამოწვეული..." ექიმმა ავადმყოფს უბრძანა, სასწრაფოდ შეეწყვიტა ეს ბარბაროსული ექსპერიმენტი. მაგრამ ჯიუტმა რეჟისორმა ექსპერიმენტის ბოლომდე მიყვანა განიზრახა. შედეგი: "ბურგერ-ოდისეის" დასრულების შემდეგ, მას 12 კილო ჰქონდა მომატებული.

ცოტა ხანში სპარლოკის ფსიქიკამაც ძვრები განიცადა: გაზარმაცდა, სულ ეძინებოდა, მხოლოდ მაშინ დგებოდა კარგ გუნებაზე, როცა ჭამის დრო იყო. "ბურგერების დიეტამ" მის სქესობრივ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა. მისმა შეყვარებულმა აღნიშნა, რომ "ჯერჯერობით რაღაცა გამოსდის, მაგრამ ძალიან მალე იღლება".

ასეთ ამბებს და კომენტარებს Super Size me-ს მაყურებელი უხვად მოისმენს და ნახავს. საერთოდ, საკმაოდ სერიოზული სიუჟეტი უამრავ კომიკურ დეტალს შეიცავს, რადგან სპარლოკი დრამატიზმის მომხრე არაა.

საკუთარ თავზე დაყენებული ექსპერიმენტის ქრონიკა მრავალი ფაქტითაა "შეზავებული". მაგალითად, მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ სულ უფრო მეტად სქელდებიან ამერიკელები, და როგორ არად მიაჩნიათ ეს უბედურება "ბურგერების", პიცებისა და ქათმის ბარკლების ფართოდ გამსაღებელებს.

სპარლოკი ამერიკელ ახალგაზრდობაზე აკეთებს აქცენტს. ის ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს "მაკდონალდსი" უხარისხო სათამაშოების თუ გასართობი მოედნების წყალობით სულ პატარების "დაჯავშნას". ის ჰყვება, თუ როგორ ჭამენ შესვენებებზე ამერიკელი მოსწავლეები სკოლების სპონსორების მიერ შეძენილ მავნე, შაქრითა და ცხიმით სავსე საკვებს. მოზარდები ყოველდღიურად ხუთ ათას კილოკალორიაზე მეტს იღებენ, ორჯერ მეტს, ვიდრე ზრდასრულ ადამიანს სჭირდება, და ამით არა მარტო ფიზიკურ, არამედ გონებრივ აქტოვობასაც იზღუდავენ. ფილმი ექსპერტთა ციტირებას ახდენს: ამგვარი უპასუხისმგებლობის შედეგი არის დიაბეტი, გულის და სისხლის მიმოქცევის პრობლემები, და რაც ყველაზე საინტერესოა - მოზარდთა დიდი სიყვარული "მაკდონალდსის" საკვების მიმართ.

"მაკდონალდსისა" და "ბურგერ კინგის" მსგავს კონცერნებს თავის მართლება იოლად შეუძლიათ: არავინაა იძულებული, ყოველდღიურად სწრაფი კვების დაწესებულებებში გაიფუჭოს ჯანმრთელობა. ფაქტი ისაა, რომ მათ პროდუქტებს ყიდულობენ, თან უხვად, და ისინი ბაზარზე ლაღად გრძნობენ თავს.

"მაკდონალდსის" რეაქცია ფილმზე Super Size me სავსებით ლოგიკური იყო: "ჩვენი კლიენტები ჭკვიანი ხალხია, მათ ზუსტად იციან, რა ნიშნით ვართ მათთვის და მათი ოჯახებისთვის სასურველი". მართალია, დღეს ორმაგად დიდი ულუფები მენიუდან ამოღებულია, არა ფილმის გავლენით (ეს მის აშშ-ში ჩვენებამდე მოხდა), არამედ ბურგერის მესვეურთა გადაწყვეტილებით. საერთოდ, სწრაფი კვების ინდუსტრია "გაჯანსაღებას" ლამობს - სალათების რაოდენობა აშკარად გაიზარდა; თუმცა, თუ სპარლოკს დავუჯერებთ, სალათების საკმაზი მეტ ცხიმსა და შაქარს შეიცავს, ვიდრე ჩიზბურგერი.



30 დღე - მხოლოდ "მაკდონალდსი". ის, რაც თავიდან არცთუ საშინლად ჟღერს, სამედიცინო კატასტროფა აღმოჩნდება.

მოკლედ

# მარლონ ბრანდოს უკანასკნელი, ქალური როლი




Big Bug Man - ასე ჰქვია დამოუკიდებელ სტუდიაში გადაღებულ ანიმაციურ ფილმს, რომელიც პრემიერამდეც პოპულარულია. ამ ლამაზი ფერებით შესრულებული, სასაცილო ფიგურებით სავსე სურათის სარეკლამო პლაკატი დანარჩენებისგან ზედა მარჯვენა კუთხეში მიწერილი თითქოს უმნიშვნელო წარწერით გამოირჩევა - მარლონ ბრანდო მისის საუერის როლში.

ამ გაურკვეველ წარწერას გამოცემა "ვერაიეთისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფილმის პროდიუსერის სტიუარტ ბლექის უცნაური კომენტარიც ემატება: "მარლონ ბრანდოს ყოველთვის სურდა ანიმაციურ ფილმში ქალის როლის შესრულება".

ბლექის დამაჯერებლი ტონის მიუხედავად, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება ამ მოსაზრების პირველწყაროსთან გადამოწმება. თუმცა, ფაქტია, ბრანდოს უკანასკნელი როლი მართლაც აღმოჩნდა ფუმფულა, ნაოჭებიანი, ქერა კულულებიანი და ვარდისფერბაფთიანი მისის საუერი, რომელიც ტკბილეულების ქარხანას ფლობს.

ამ ახალ ამბავს ოდნავ ხატოვნად "ასოშეიტედ პრესის" ჟურნალისტი ასე გადმოგვცემს: "ბრანდომ კინო-კარიერა დაიწყო კუნთიანი და ძლიერი მამაკაცების გმირებით და დაასრულა... ხანშიშესული ქალბატონით".

მისის საუერის გმირი სცენარის ავტორმა და რეჟისორმა ბობ ბენდეტსონმა გამოიგონა. ბობი ადრე "სიმპსონებისთვის" წერდა სცენარებს. თავიდან სრულემტრაჟიან, ანიმაციურ ფილმში მას ბრანდოს მიწვევა მამაკაცის როლზე სურდა. უფრო ზუსტად, სქელი, 250 კგ. წონის, ფულზე დახარბებულ პერსონაჟზე. მაგრამ ეს როლი ბრანდომ არ მოიწონა. მოხუცმა მსახიობმა გადაწყვიტა, რომ გაცილებით უფრო სახალისო იქნებოდა პუტკუნა ქალის როლის გახმოვანება. მან ისიც გაითვალისწინა, რომ მისის საუერი ფილმში მხოლოდ სამ ეპიზოდში ჩანდა და ბევრი შრომა არ დასჭირდებოდა. საქმეს ერთი დღეც ეყოფოდა.

"ტექსტი მარლონის სახლში ჩავწერეთ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ის ხომ თავს სუსტად გრძნობდა. დღეში ექვს საათს ჟანგბადის ბალიშზე იყო და გრძნობდა, რომ სახლიდან ვერ გამოვიდოდა. ამიტომაც, ჩაწერისთვის საჭირო აღჭურვილობა მასთან მივიტანეთ და საქმეს საძინებელში შევუდექით, პატარა ტახტზე", - იხსენებს რეჟისორი.

ბენდეტსონისვე თქმით, მუშაობის პროცესში ბრანდოს ქერა პარიკი ეხურა, კაბა ეცვა, ხელებზე - თეთრი ხელთათმანი, სახეზე კი - ნამდვილი მაკიაჟი. "ეს საოცარი პროცესი გახლდათ. ბრანდო შეუდარებელი იყო", - აცხადებს ბენდეტსონი.

თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როცა მსახიობი ქალური ტანსაცმლით გაერთო. 1976 წლის ვესტერნში The Missouri Breaks მის პერსონაჟს წინსაფარი ეკეთა, თავზე კი - ქალის ქუდი.

ბობ ბენდეტსონი ჟურნალისტებს არ უმხელს, თუ რა ჰონორარი გადაუხადა დიდ მსახიობს ქალის ეპიზოდურ როლში. თუმცა, სიამოვნებით იხსენებს ერთ პატარა დეტალს: "მარლონ ბრანდო ვერ იტანდა, როცა კერპივით ეპყრებოდი. მასთან ისევე უნდა გელაპარაკა, როგორც უბრალო ადამიანთან. მაგრამ საჩუქრების მიღება ძალიან უყვარდა. ჩვენც, როდესაც ხმის ჩასაწერად ვესტუმრეთ, სპარსული ხიზილალა, იმპორტირებული ყველის ნაირსახეობა და წითელი ღვინო მივართვით. ჩვენი ეს ჟესტი ძალიან მოეწონა".

Big Bug Man-ის პრემიერა 2005 წელს იგეგმება. ასე რომ, მალე შევძლებთ 1 ივლისს 80 წლის ასაკში გარდაცვლილი, მეოცე საუკუნის უდიდესი მსახიობის მოსმენას მაინც, თანაც სრულიად განსხვავებულ ამპლუაში. ამ ფუმფულა ქალბატონის გახმოვანებით მარლონ ბრანდო კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჰოლივუდის წინაშე მოწიწებით ქედი არასდროს არ უნდა მოიხადო; რომ ჰოლივუდს და კინოს უნდა ეთამაშო, ხანდახან ირონიულადაც, რათა თავის მარწუხებში არ გაგაბას.

# U2-მ მასალები დაკარგა

საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ირლანდიური ჯგუფის U2-ს სამუშაო მასალები დაიკარგა. პოლიციელთა მტკიცებით, ჩანაწერები ჯგუფის წევრების ფოტოგადაღებების დროს მოიპარეს. პოლიცია ვარაუდობს, რომ უახლოეს მომავალში ეს ჩანაწერები ინტერნეტით გავრცელდება. შეგახსენებთ, U2-ს მორიგი ალბომის გამოცემა შემოდგომის დასაწყისში იყო დაგეგმილი. ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია ძიება.



ფეხბურთი

# უფასო ფეხბურთი უფასო კონცერტის თანხლებით

"თბილისმა" გამარჯვებით დაიწყო

**თბილისი - შამქირი 1:0**

**თბილისი:** *დევაძე, ლოლაძე, ორბელაძე, ჭელიძე, ხოჯავა (ფიფია 58`), აფციაური, მიქაძე, ოდიკაძე (ჯიქია 66`), გეწაძე (ელიავა 69`), ქემოკლიძე, გოგუა.*
**შამქირი:** *იუსიფოვი, ვალიევი, ჯაბაროვი, მამადოვი, ჭინჭარაული, აჰმადოვი, მარდანოვი, ალიევი (ესონგი 90`), ჰასანოვი (კვილიკოვი 65`), ასადოვი (მადატოვი 81`), ჰუსეინოვი.*
**მსაჯი:** *ა. ჩიკუნი (ბელორუსი)*
**გაფრთხილება:** *ლოლაძე - აჰმადოვი, ჯაბაროვი, ჰუსეინოვი*
**გოლი:** *ჭელიძე (35`)*


იური ლობოდინის ფოტო

*"თბილისელთა" დარტყმები ძირითადად უზუსტო იყო.*

გუშინ, საფეხბურთო კლუბი "თბილისი" თავის ისტორიაში პირველ მატჩს მართავდა ევრო-თასებზე და, ცხადია, გამარჯვების სურვილი უდიდესი იყო. მით უმეტეს, რომ უეფა-ს თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, "თბილისელები" აზერბაიჯანულ "შამქირს" შეხვდნენ. მართალია, "თბილისი" მეტად ახალგაზრდა, გამოუცდელი გუნდია, მაგრამ აზერბაიჯანული კლუბის წინააღმდეგ მატჩში მათგან მაინც ყველა მოგებას ელოდა.

მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონზე, საღამოს შვიდ საათზე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ თამაშზე დასწრება უფასო იყო, გულშემატკივართა რაოდენობა ხუთი ათას კაცს არ აღემატებოდა. თუმცა, ამ მცირერიცხვოვან გულშემატკივარს შორის, "თბილისს" ზოგი მეტად ორიგინალურად ქომაგობდა: პრეს-ლოჟაში შედარებით უფროსი თაობის, პროფესიონალი მომღერლები მთელი მატჩის განმავლობაში მღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს. მათ შორის ერთ-ერთი იყო - მიხეილ ჩიკვილაძე, კლუბ "თბილისის" კუთვნილი საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" ამჟამინდელი დირექტორი, ანსამბლ "ფაზისის" ყოფილი ვოკალისტი. შეიძლება ითქვას, უფასო ფეხბურთის პარალელურად, "ლოკომოტივის" სტადიონზე გუშინ უფასო კონცერტიც შედგა...

მატჩი "თბილისის" უპირატესობით დაიწყო და ასე გაგრძელდა დასრულებამდე, მაგრამ მასპინძლეთა შეტევების სიუხვე იმავდროულად "შამქირის" ფეხბურთელების დამსახურებაც იყო, უფრო სწორად, სტუმარი გუნდის სათამაშო ტაქტიკის. აზერბაიჯანელებს თავიდანვე დაცვით, მხოლოდ და მხოლოდ კონტრ-შეტევებზე თამაში ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამ ამოცანას, ასე თუ ისე, წარმატებითართმევდნენ თავს. "თბილისი" უტევდა, რიგ ეპიზოდებში ტექნიკის დემონსტრირებასაც ახდენდა, თუმცა მეტოქის კარის სიახლოვეს თბილისელებს ხან სიზუსტე აკლდათ, ხანაც მოწინააღმდეგე მცველები თამაშობდნენ კარგად. უნდა აღინიშნოს "შამქირის" მეკარის, იუსიფოვის კარგი თამაშიც.

პირველი ნახევარი საათი ისე მიილია, რომ "თბილისი" ვერა და ვერ ახერხებდა გოლის გატანას. ამასობაში, საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული თბილისელი გულშემატკივარიც მიხვდა, რომ აზერბაიჯანელების დამარცხება არცთუ ისე ადვილი იქნებოდა, როგორც ეგონა. მიუხედავად იმისა, რომ სტადიონზე პესიმისტურმა განწყობამ დაისადგურა, სტადიონის პრეს-ლოჟაში მსხდომი მომღერლები მაინც უწინდელი შემართებით განაგრძობდნენ სიმღერას. ვერ გეტყვით, მათი სიმღერის ბრალია, თუ რაიმე სხვა მიზეზის, მაგრამ "თბილისმა" მაინც მოახერხა გოლის გატანა და ეს ჭელიძემ გააკეთა, ფეხბურთელმა, რომელიც საუკეთესო იყო ამ მატჩში.

გატანილი გოლის შემდეგ მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა, გუნდებმა პირველი ტაიმი ჩაამთავრეს და შესვენებაზე გავიდნენ. მეორე ტაიმში, ცხადია, ანგარიშის გაზრდას ველოდით, თუმცა "თბილისელთა" თამაშში თითქმის არაფერი შეცვლილა, შეტევებს მაინც აკლდა სიმწვავე. სტუმრები კი ამ დროს უფრო გააქტიურდნენ და დევაძის კართან ერთი - ორი საკმაოდ სახიფათო მომენტის შექმნაც მოახერხეს.

შეხვედრის 75-ე წუთზე იმავე ჭელიძე "შამქირის" საჯარიმოში შეიჭრა, მეტოქე გუნდის მცველმა კი ამ დროს ხელით ითამაშა. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი. პენალტის დარტყმა მიქაძემ ითავა და... ვერ გაიტანა. იუსიფოვმა ბურთის მოგერიება დიდი ძალისხმევის გარეშე შეძლო.

გოლის გატანის უკეთესი შანსი "თბილისს" დარჩენილ დროში აღარ მიეცა - 1:0.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი "თბილისის" გამარჯვებით დასრულდა, გულშემატკივრებისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ "შამქირის" ბარიერის გადალახვა "თბილისს" ძალიან გაუჭირდება. აზერბაიჯანული კლუბი საკმაოდ ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგე ყოფილა.

ამავე აზრზე იყო "შამქირის" მთავარი მწვრთნელი კაჰრამან ალიევი, რომელიც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე საკმაოდ ოპტიმისტურ განწყობაზე ვიხილეთ. ალიევმა გვითხრა, რომ გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და რომ გუშინდელი შემადგენლობა არც თუ ისე შეთამაშებული იყო. ამას ისიც დავუმატოთ, რომ სტუმრებს თითქმის არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ "თბილისზე". "ახლა უკვე ვიცი, თუ როგორ და რა ტაქტიკით უნდა ვითამაშოთ განმეორებით მატჩში. მართალია, ძალიან მძიმე შეხვედრა გველის, მაგრამ წარმატების დიდი იმედი მაქვს", - გვითხრა ალიევმა და გამოგვემშვიდობა.

ამ მატჩში ვინ უფრო კარგად შეისწავლა მოწინააღმდეგე, ალიევმა თუ დევდარიანმა, ზუსტად ერთ კვირაში შევიტყობთ. ისე კი, მართლაც, მძიმე მატჩი გველის.

# სრულფასოვანი რევანში

ბატე - დინამო 2:3

მიხეილ აბაიშვილი
*ბორისოვიდან*

ამინდში არ გაგვიმართლა: თამაშის წინა ღამეს და მთელი დღის განმავლობაში წვიმდა. ერთი შეხედვით, ორივე გუნდი ერთნაირ პირობებშია და წვიმას გავლენა არ უნდა მოეხდინა მატჩის მსვლელობაზე. თუმცა, ეს ატმოსფერული მოვლენა რომ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით უფრო "ბატეს" წისქვილზე ასხამდა წყალს, ეჭვგარეშეა. სამი წლის წინათ, ამავე სტადიონზე, "ბატესთან" "დინამოს" მიერ განცდილი მარცხის დროსაც წვიმდა...

გუშინწინ, ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში ბორისოველთა მთავარმა მწვრთნელმა, იური პუინტუსმა აღნიშნა კიდეც, რომ მაშინ მის გუნდს ამინდის გამო გაუმართლა და რომ მის გუნდს სწორედ წვიმამ შეუწყო ხელი დიდი ანგარიშით გამარჯვებაში. ბოლოს პუინტუსმა ისიც კი ინატრა, ნეტავ ხვალ გაწვიმდებოდესო. მისი ნატვრა ახდა და ამ ატმოსფერულმა მოვლენამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა თამაშში.

გეგუჩაძემ მისი საყვარელი 4-3-3 განლაგება აირჩია.

მატჩის დებიუტი "დინამოსთვის" ძალზედ წარუმატებული გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი საკმაოდ კარგად აკონტროლებდა ბურთს და მეტოქეს არაერთი თავსატკივარი გაუჩინა, პირველი გოლი მაინც ჩვენს კარში გავიდა. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ გოლი მეტისმეტად კურიოზული იყო, ისეთი, რომლის მსგავსიც ფეხბურთში ძალიან იშვიათად, თითქმის არასოდეს გადის. გოლი გაგვიტანა... "ბატეს" მეკარე ლევნოვმა (???). მის მიერ საკუთარი კარის საჯარიმოდან ძლიერად გაგზავნილი ბურთი "დინამოს" საჯარიმოს წინ დაეცა, გამოსვლაზე შეცდა ზოიძე, რომელსაც ბურთი გადაახტა და მის კარში შეფრინდა. ეს მე-15 წუთზე მოხდა. არ გასულა 5 წუთი, რომ სალუქვაძეს სტროგანოვიჩი გაექცა, შემდეგ კი ქართველი მცველის ფეხებთან დავარდა. ესტონელმა არბიტრმა ეს წესების დარღვევად მიიჩნია და თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად შეასრულა თავად დაზარალებულმა - 2:0. სწორედ ამის შემდეგ გამოვლინდა, რომ "დინამო" მართლაც სერიოზულ გუნდად ყალიბდება. გუნდი არც პირველმა კურიოზულმა გოლმა დააბნია და ვერც მეორე გოლმა გატეხა. "დინამომ" გეგმაზომიერად დაიწყო მეტოქის შევიწროება. თითოეულ მონაკვეთზე უშელავათოდ იბრძოლა და აღმოჩნდა, რომ "ბატე" ჩვენებთან შედარებით ვერაფერი შვილი გუნდია. მატჩის ბედის შემოტრიალების საქმეს საფუძველი კაკალაძემ ჩაუყარა, რომლის მიერ 46-ე წუთზე დარტყმული ბურთი ზუსტი გამოდგა. 55-ე წუთზე ახალაიას კარგი პასით გონჩაროვი მახვილი კუთხიდან მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვების გოლი კი შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელის, ბრაზილიელი სეზარ რომეროს ანგარიშზეა.


*"დინამომ" სრულფასოვანი რევანში აიღო.*

"დინამომ" დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. არ შეეპუა არც წარუმატებელ დებიუტს, არც მსაჯის მიკერძოებულობას მასპინძლების მიმართ (მეორე ტაიმში ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანი არ დაგვინიშნა), გამოავლინა მებრძოლი ხასიათი და 3 წლის წინანდელი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო.

მატჩის შემდეგ, "დინამოელთა" დამრიგებელმა გია გეგუჩაძემ განაცხადა: "თამაშით და შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემმა გუნდმა ლამის წაგებული მატჩის შემოტრიალება შეძლო. დღეს უფრო ძლიერები ვიყავით და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. თუმცა, ეს გამარჯვება ჯერ კიდევ არ გვაძლევს შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტიას. წყვილში გამარჯვებულის ვინაობა განმეორებით მატჩში, თბილისში გაირკვევა".

"დინამომ" შეხვედრა შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა:
*ზოიძე, ჭიჭველიშვილი, შაშიაშვილი, სალუქვაზე, კვირკველია, კანკავა (კაშია, 83'), კანდელაკი, ბურდული (ახალაია, 46'), მელქაძე (რომერო, 78`), გონჩაროვი, კაკალაძე.*

# პირველი რომაელი მოსკოვში

მოსკოვის "ლოკომოტივმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელ ლიმასთან, რომელიც იტალიის "რომას" ღირსებას იცავდა. ნახევარმცველმა, რომელმაც საფეხბურთო კარიერა ბრაზილიის "რკინიგზელთა" კლუბში დაიწყო, ახალ გუნდში 5-ნომრიანი მაისურა მოირგო.

ჩერქიზოვოში კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი ახალი ფეხბურთელის პრეზენტაცია მოაწყო - ნომინალური ნახევარმცველის, რომელსაც დაცვის ფრთაზეც შეუძლია თამაში. როგორც კი კონტრაქტი გაფორმდა, მოსკოვის "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა მაშინვე გააცნო ჟურნალისტებს ფეხბურთელი.

პრეზენტაცია ზედმეტი ხმაურის გარეშე, მოკრძალებულად ჩატარდა, ზუსტად ისე, როგორც სერიოზულ ევროპულ კლუბებს ეკადრებათ, - წერს რუსული პრესა. "ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ გუნდის სატრანსფერო სიახლეებს მაინცდამაინც არ ვახმაურებთ, მაგრამ ამ დონის ფეხბურთელი რომ არ წარმოგიდგინოთ, არ შეიძლება", - განაცხადა ვალერი ფილატოვმა.

საინტერესოა, რომ ლიმა სამშობლოში იმ გუნდის ღირსებას იცავდა, რომელიც ითარგმნება, როგორც "რკინიგზელი", ასე რომ, მას უკვე კარგად აქვს გაცნობიერებული ორთქლმავლის ტემპი, - წერენ რუსი ჟურნალისტები.

გაცნობას ტრადიციულად მოჰყვა შეკითხვები, რომელსაც ფილატოვმა უაღრესად კორექტულად უპასუხა, ხოლო ლიმამ, რომელმაც კარგად იცის პრესასთან ურთიერთობა, კითხვებს ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე, ღირსეულად უპასუხა.

**- ვალერი ნიკოლაევიჩ, რომელ პოზიციაზე ითამაშებს ლიმა? ცნობილია, რომ ეს ფეხბურთელი უნივერსალური თვისებებით არის დაჯილდოებული. მას შეუძლია ითამაშოს როგორც ნახევარდაცვაში, ისე დაცვაში.**

- ლიმა ცნობილი ფეხბურთელია. ყველამ ვიცით, რომელ პოზიციაზე თამაშობდა ის "რომაში". მე ვფიქრობ, რომ ლიმამ მინდვრის შუაგული უნდა გააძლიეროს.

**- წლეულს გუნდი ახალ ფეხბურთელებს კიდევ შეიძენს?**

- დიახ. ვფიქრობ, შესვენების დროს ერთი ახალწვეული კიდევ გამოჩნდება. ის უფრო ფორვარდი იქნება.

**- შეგიძლიათ, კონტრაქტის თანხა დაასახელოთ?**

- ჩვენ უფრო ძვირი კონტრაქტებიც გვქონია. რაც შეეხება ვადებს, თქვენ იცით, რომ კონტრაქტი ორწლიანია.

**- სენიორ ლიმა, რას ელოდებით "ლოკომოტივში" თამაშისგან?**

- მინდა, კლუბს ჩემი პროფესიული ვარგისიანობა დავუდასტურო და "ლოკომოტივის" წარმატებებში მაქსიმალური წვლილი შევიტანო.

**- რა გსმენიათ "ლოკომოტივისა" და, საერთოდ, რუსეთის შესახებ?**

- მე "ლოკომოტივის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მითამაშია, როცა "რომას" ღირსებას ვიცავდი. ამას გარდა, ურთიერთობა მაქვს ბევრ ჩემს თანამემამულესთან, რომლებიც რუსეთის ჩემპიონატში თამაშობენ. ასე რომ, რუსეთზე არცთუ ისე მცირე ინფორმაცია მაქვს.


*ფრანსისკო ლიმა კარიერას "ლოკომოტივში" გააგრძელებს.*

**- რატომ აირჩიეთ "ლოკომოტივი" და, მაგალითად, არ გადახვედით "ვალენსიაში", რომელიც აგრეთვე გიწვევდათ?**

- მე მოლაპარაკებები მქონდა "ვალენსიასა" და სხვა ევროპულ კლუბებთან, მაგრამ "ლოკომოტივის" წინადადება კონკრეტული და ფინანსური თვალსაზრისით უფრო მიმზიდველი გამოდგა.

**- თქვენ უკვე 33 წლის ბრძანდებით, რაც ფეხბურთელისთვის არც ისე ახალგაზრდული ასაკია. არ გეშინიათ, რომ მწვრთნელების მიერ შეთავაზებულ ტემპს ვერ გაუძლებთ? თუ რუსეთში კარიერის დასამთავრებლად ჩამოხვედით?**

- დიახ. მე უკვე 33 წლის ვარ, მაგრამ ჯანმრთელობას არ ვუჩივი. შევეცდები, გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო.

ბრაზილიელის ამ პასუხს ვალერი ფილატოვმა დაუმატა: "ლიმამ სამედიცინო შემოწმება დღეს გაიარა და მინდა გითხრათ, რომ ჯანმრთელობა მას 23 წლის ბიჭისა აქვს".

ამის შემდეგ, როგორც წესი და რიგია, ლიმამ ფილატოვისგან მიიღო 5-ნომრიანი მაისურა, რომელზეც ბრაზილიელის გვარია ამოტვიფრული. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ლიმა ჟურნალისტების თანხლებით მინდორზე გავიდა და შეეცადა, ბურთის ფლობის ბრაზილიური ხელოვნება ეჩვენებინა. ეს მას აშკარად არ გამოუვიდა. გუნებაზე არ იყო (პრეზენტაციის შემდეგ იგრძნობოდა, რომ ლიმას ჟურნალისტებმა თავი მოაბეზრეს), ან ბუცებმა უმტყუნა. ფაქტი ის არის, რომ მან საკმაოდ ზერელედ წარმოადგინა ბურთის ფლობის ხელოვნება. თუმცა, ამისთვის არავის დაუძრახავს. ბოლოს და ბოლოს, "ლოკომოტივმა" ფეხბურთელი არა მისი ტექნიკისთვის, არამედ მისი გამოცდილებისა და მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთზე ბრძოლის უნარისთვის შეიძინა.

"ლოკომოტივისთვის" ლიმას შეძენა უაღრესად საჭირო მოვლენა იყო, - მიიჩნევენ რუსი ჟურნალისტები. - ეს სიომინს საშუალებას მისცემს, გუნდში კონკურენცია გაზარდოს და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს ოდნავ შვება მიანიჭოს. ლიმას შეუძლია, დაცვის ცენტრში შეცვალოს ბელილიდინოვი ან ასათიანი, ხოხლოვი დააზღვიოს ან, თუნდაც, დაცვის ფლანგებზე ითამაშოს გურენკოს ან ევსეევის ნაცვლად.

ხოლო ის ფაქტი, რომ ფეხბურთელმა "რომას" შემადგენლობაში 88 მატჩი, "ლეჩესა" და "ბოლონიაში" 61 შეხვედრა, ანუ, სერია A-ში, ჯამში, 149 მატჩი ჩაატარა, იმაზე მეტყველებს, რომ მას რუსეთის ჩემპიონატის დატვირთვების დაძლევა არ გაუჭირდება. ევროთასების გათამაშებას კი "ლოკომოტივი", სულ ცოტა, ერთი წელი მაინც უნდა ელოდოს.

ნათქვამს შეიძლება დავუმატოთ ის, რომ ლიმა "ლოკომოტივს" უფასოდ ერგო, რადგან "რომამ" ფეხბურთელთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა და მას საშუალება მისცა, თავისუფალი აგენტის სტატუსით ესარგებლა. გაზეთ "სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ლიმა თავის ახალ კლუბში ხელფასის სახით წელიწადში 1,3 მილიონ ევროს მიიღებს.

ძიუდო

# ძიუდოს ბორჯომი ურჩევნია

გიგა გურასაშვილი

*საჭიდაო სახეობათაგან ოლიმპიურ გუნდში ძიუდოისტთა ნაკრები ერთადერთია, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე სრული გუნდით - შვიდივე წონით კატეგორიაში წარდგება. ოლიმპიურ თამაშებამდე ქართველ ძიუდოისტებს 28 დღე რჩებათ. მოსამზადებელ ეტაპს კი ბორჯომში, ლიკანში გადიან.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ხაბარელი შეგირდებს ფეხბურთსაც ასწავლის.*

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებზე (ნესტორ ხერგიანი (60კგ), დავით მარგოშვილი (66კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) ზურაბ ზვიადაური (90კგ), ივერი ჯიქურაული (100) და მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი),შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ იმედს ვამყარებთ. თუმცა, ათენის ოლიმპიურ ტატამზე იოლი გასეირნება არავის ელის. "ანო ლიოსიას" ოლიმპიური დარბაზი, რომელიც 8000 გულშემატკივარს იტევს, 90 ქვეყნის 386 ძიუდოისტს მოუყრის თავს. ყველა მათგანი შეეცდება, ოლიმპიურ ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიკავოს. ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს ლიკანში შევეხმიანეთ.

**- შეკრებით თუ ხართ კმაყოფილი და, საერთოდ, საშუალება რომ გქონდეთ, რას ისურვებდით იმისთვის, რომ უკეთ მოემზადოთ?**

- რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი გვაქვს. ამ მხრივ საწუწუნო, მართლაც, არაფერი გვაქვს. ყველანაირი პირობაა იმისთვის, რომ ბიჭებმა ივარჯიშონ.

**- ვარჯიშებზე მაინც რაზე ამახვილებთ ყურადღებას?**

- მომზადების პირველი ეტაპი საერთო ფიზიკურ მომზადებას ითვალისწინებდა, რაც დავასრულეთ კიდეც. მეორე ეტაპი კი სპეციალურ ვარჯიშებს ითვალისწინებს. თითოეულისთვის 50-50 პროცენტი გვაქვს დაგეგმილი. ვვარჯიშობთ დღეში სამჯერ, ორჯერ და ხანდახან ერთხელაც. გააჩნია, როდის რა გვაქვს დაგეგმილი.

**- ზურაბ ზვიადაურს მენისკი აწუხებდა და ახლახან გამოკვლევა უნდა ჩაეტარებინა. რა თქვეს ექიმებმა, როდის შეუდგება ვარჯიშს?**

- მუხლი ცოტათი ახლაც სტკივა, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიადისთვის მწყობრში იქნება.

**- დანარჩენები?**

- ჩვეულებრივ ვარჯიშობენ. მათ ყველაფერი რიგზე აქვთ.

**- მოსამზადებელ ეტაპზე ფეხბურთის თამაშიც შედის? არ გეშინიათ, რომ რომელიმემ ტრავმა მიიღოს?**

- ფეხბურთის გარდა, კალათბურთსაც თამაშობენ, დავრბივართ... ესეც მოსამზადებელი ეტაპში შედის...

**- ბორჯომის შემდეგ რა გეგმები გაქვთ, შეკრებაზე სადმე ხომ არ მიდიხართ?**

- ბორჯომის მერე ისევ ბორჯომში გვექნება შეკრება. ახლა არსად წასვლას აზრი არა აქვს. შინ მშვიდად მომზადება ჯობია.

რაგბი

# შვიდკაცას შვიდეული სჭირდება

პაატა თოთაძე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ირაკლი აბუსერიძეს და მის თანაგუნდელებს ხვალ და ზეგ დიდი ბრძოლა ელით.*

შვიდკაცა რაგბიში სადღეისოდ მსოფლიოს მეათე გუნდად მყოფ საქართველოს ნაკრებს ხვალ და ზეგ რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს - მალიორკაზე იმართება ევროპული სერიის ფინალური ეტაპი, რომელიც ამავდროულად მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა. მალიორკაზე შეკრებილი 16 გუნდიდან შვიდი საუკეთესო მომავალი წლის მარტში ჰონგკონგში გასამართ მსოფლიო თასზე ითამაშებს.

ეს 16 გუნდი ევროპული სერიის ეტაპებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით შეირჩა. თითოეულ გუნდს, სულ მცირე, ორ ეტაპზე უნდა მიეღო მონაწილეობა. თექვსმეტეულიც ორი ეტაპის ჯამში მოპოვებული ქულებით შეირჩა. საქართველოს ნაკრებმა თბილისის ტურნირის მოგების შემდეგ გაინაღდა მალიორკაზე თამაში, თუმცა, ბორჯღალოსნებმა არც კიევში შეირცხვინეს თავი - ქართველები მხოლოდ ფინალურ მატჩში დამარცხდნენ.

ისე მოხდა, რომ კენჭისყრის შედეგად მალიორკაზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები D ჯგუფში მოლდოვის, უკრაინისა და შოტლანდიის ნაკრებები იქნებიან, ანუ ისინი, ვისთანაც ბორჯღალოსნებს თბილისის შვიდკაცაზე უთამაშიათ. უკრაინა და შოტლანდია ქართველებს დამარცხებული ჰყავთ, მოლდოვასთან კი, ყველას გასაკვირად, დავმარცხდით. ახლა საქართველოს ნაკრებს რევანშის აღების შანსი ეძლევა, რასაც, როგორც თავად მორაგბეები ამბობენ, უთუოდ გამოიყენებენ. ტურნირს სწორედ საქართველოსა და მოლდოვას ნაკრებთა თამაში გახსნის. მეორე მეტოქე ჩვენს გუნდს უკრაინის ნაკრები ეყოლება, შოტლანდიელებს კი დღის ბოლოს დაუპირისპირდებიან. მიზნის მისაღწევად ანუ საუკეთესო შვიდეულში მოსახვედრად ბორჯღალოსნებს ორი დღის მანძილზე სამი მატჩის მოგება ჰმართებთ. ჯგუფურ ეტაპზე პლეი-ოფში სათამაშოდ ორი მოგებაც კმარა, ერთიც მეორე დღეს, მეოთხედფინალში უნდა იმარჯვონ. მეორე რაუნდში D ჯგუფის გუნდებს C-ჯგუფელები გაუწევენ წინააღმდეგობას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებს მეოთხედფინალში ირლანდიის ან საფრანგეთის ნაკრებთან მოუწევს ჭიდილი. ეს ორი გუნდი ჯგუფის სხვა წევრებზე, გერმანიასა და ჩეხეთზე გაცილებით მაღალი კლასისაა, ამდენად, ჯგუფური ეტაპის დაძლევა არ გაუჭირდებათ. მეოთხედფინალში დამარცხების შემთხვევაში ბორჯღალოსნებს კიდევ რჩებათ შვიდეულში მოხვედრის შანსი. საამისოდ ქართველებმა მე-5-მე-8 ადგილებისთვის ბრძოლაში უნდა იყოჩაღონ.

ბორჯღალოსნები მალიორკაზე თითქმის იმავე შემადგენლობით ითამაშებენ, როგორც ივნისში თბილისსა და კიევში ითამაშეს. ევროპის საუკეთესო შვიდეულში მოსახვედრად ირაკლი აბუსერიძე, გია ლაბაძე, ირაკლი გიორგაძე, ლექსო გუგავა, მალხაზ ურჯუკაშვილი, დათო კაჭარავა, ლაშა ფირფილაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ბესიკ ხამაშურიძე და ბადრი ხეხელაშვილი იბრძოლებენ.

ჩოგბურთი

# ჩოგბურთის გარშემო

სანდრო ნავერიანი

დიდი სტუმრიანობაა საქართველოში, დიდი. საქართველოს ეგვიპტელები ესტუმრნენ.

დღეს ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ქართველი და ეგვიპტელი ჩოგბურთელები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ეგვიპტის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ ჩოგბურთელებიც თუ ჰყავდათ, მაგას ვერ ვიფიქრებდი... არა, ვერ ვიფიქრებდი კი არა, უბრალოდ, არ მეგონა, თუ საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდოდნენ.

ქართველი ჩოგბურთელებისთვის, ისევე როგორც ეგვიპტელთათვის, ამ დაპირისპირებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, ისეთ ჩოგბურთს, როგორსაც დღეს მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ვიხილავთ, დიდხანს ვერ ვნახავთ. ამიტომ მაქვს საფუძველი, გითხრათ: ვისაც საშინელი სიცხის ატანა შეგიძლიათ და ჩოგბურთიც გიყვართ, მიბრძანდით თამაშზე, არ ინანებთ.

მახსოვს, ბავშვობაში, როდესაც ჩოგბურთზე დავდიოდი, მწვრთნელმა მითხრა: იცოდე, ამ კორტებზე დიდი ჩოგბურთის მომსწრე გახდებიო. მართალი გითხრათ, მაშინ სულ სხვანაირად გავიგე ყველაფერი, მეგონა, ჩემზე თქვა, რომ მე ვითამაშებდი დიდ ჩოგბურთს, თურმე სად ბანაობ, სად იხეხები... მაგრამ ის, რაც მწვრთნელმა მითხრა, ამიხდა კიდეც: დღეს დიდი ჩოგბურთია.

გუშინ, 12 საათზე, სასტუმრო "თორში" გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ბევრი რამ ითქვა, თანაც, არა მარტო კონკრეტულ დაპირისპირებაზე.

ქართველები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ეგვიპტელებთან მატჩის წინ, რაც მისასალმებელია. კარგ ფორმაშია ირაკლი ლაბაძე და, საერთოდ, როგორც მოთამაშეებს, ისე მწვრთნელებს და გულშემატკივრებსაც სჯერათ, რომ ამ ორთაბრძოლაში უეჭველად გაიმარჯვებენ. ამ შეხვედრებზე მეტს არაფერს გეტყვით, უბრალოდ, მოდით კორტებზე და ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ.

რაკი ჩოგბურთზე ვსაუბრობ, ბარემ იმ ტურნირებზეც გეტყვით ერთ-ორ სიტყვას, რომლებიც ახლა ტარდება.

შტუტგარტში მიმდინარე მერსედესის თასზე ბევრი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. უკვე ცნობილია ერთი მეოთხედფინალური წყვილი. ამ მატჩში რუსი ნიკოლაი დავიდენკო და ესპანელი ალბერტ კოსტა დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 614,750 ევროა. მეოთხედფინალში თამაში განაღდებული აქვთ ჩეხებს ირჟი ნოვაკსა და რადეკ სტეპანეკს და ესპანელ ალბერტ ფერერს, რომლებიც თავიანთ მეტოქეებს ელოდებიან.

ლოს ანჯელესში მიმდინარე მერსედეს-ბენცის თასის გათამაშებაზე ორი მეოთხედფინალური წყვილი გამოვლინდა. პირველია ამერიკელი მარდი ფიში და ფრანგი სირილ სოლნიე, მეორე -ბრიტანელი გრეგ რუსედსკი და გერმანელი ნიკოლას კიფერი. ბრიტანელმა უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მოუმატა თამაშს, რაც შედეგზეც აისახება. მან ერთი ტურნირი მოიგო, ახლა მეორე ტურნირის მეოთხედფინალშია და, ჩემი აზრით, ნახევარფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. ნიკოლას კიფერის მეოთხედფინალში გასვლა კი სპეციალისტებმა სენსაციად მონათლეს. დანარჩენი ორი მეოთხედფინალური წყვილი გუშინ, გვიან ღამით უნდა გარკვეულიყო.

მოკლედ

## ბულგარეთს სტოიჩკოვი გაწვრთნის



*სტოიჩკოვი ბულგარეთის ნაკრებს მწვრთნელის რანგში დაუბრუნდა.*

ბულგარეთის ნაკრების ახალ მწვრთნელად ხრისტო სტოიჩკოვი დაინიშნა. ადგილობრივი გაზეთის "ტოპ სპორტის" ცნობით, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის საფეხბურთო კავშირის აღმასკომმა.

ხრისტო სტოიჩკოვმა კონტრაქტის ერთადერთი პირობა წამოაყენა: შეთანხმება 4-წლიანი უნდა იყოს. აღმასკომმა წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, "ოქროს ბუცის" მფლობელის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

სტოიჩკოვმა ესპანეთის "ბარსელონას" ხელმძღვანელობისგან უკვე მიიღო თანხმობა, რომ გათავისუფლდეს გუნდის ახალგაზრდული კლუბების ხელმძღვანელობისგან. ვარაუდობენ, რომ ერთი კვირის შემდეგ სტოიჩკოვის თანაშემწეების ვინაობაც ცნობილი გახდება. თანაშემწეებად სტოიჩკოვი, ალბათ, აიყვანს ივაილო იორდანოვს, პეტრ ჰუბჩევს ან სტანიმირ სტოილოვს და ზლატკო იანკოვს.

შეგახსენებთ, რომ ხრისტო სტოიჩკოვმა ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა პლამენ მარკოვი, რომლის ხელმძღვანელობითაც ბულგარელებმა პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე უსუსურად ითამაშეს და სამივე მატჩი წააგეს - შვედებთან - 0:5, დანიასთან - 0:2 და იტალიასთან - 1:2.

## კრესპო "მილანში" გადაბარგდა

ლონდონის "ჩელსის" არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო უახლოეს ერთ სეზონს იჯარის წესით იტალიურ "მილანში" გაატარებს და კახა კალაძის თანაგუნდელი გახდება. ამას წინათ ფეხბურთელი მილანში გადაფრინდა, რათა მოლაპარაკება გამართოს "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისა და კლუბის გენერალურ დირექტორ არიედო ბრაიდასთან.

არგენტინელმა აღიარა, რომ მოხარულია, თუ თამაში მოუწევს ისეთ სახელგანთქმულ გუნდში, როგორიც "მილანია". თუმცა, მას არ სურს დროზე ადრე ამაზე ლაპარაკი. "მე მზად ვარ, ყველაფერი გავიღო იმისთვის, რომ "მილანში" ვითამაშო, - განაცხადა ფეხბურთელმა, - მაგრამ ცალსახად ჩემი გადასვლის შესახებ განცხადების გაკეთება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ყველა ფორმალობა მოგვარდება".

ერნან კრესპო თავის დროზე იტალიაში უკვე თამაშობდა. "ჩელსიში" გადასვლამდე ის "პარმას", "ლაციოსა" და "ინტერის" ღირსებას იცავდა. 2001 წელს კი "ლაციოს" შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

## ტორი ედვარდსი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს

100 მეტრ დისტანციაზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონი, ამერიკელი ტორი ედვარდსი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. ამის შესახებ გაზეთი "ჩიკაგო ტრიბუნი" წერს. გაზეთის ინფორმაციით, სეზონის დასაწყისში ევროპული ტურნეს დროს აღებული ანალიზის თანახმად, ედვარდსის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის ნიკეტამიდის ნაშთები აღმოაჩინეს. თუ განმეორებითი ანალიზიც ამასვე დაადასტურებს, მაშინ ამერიკელი მორბენალი დისკვალიფიკაციას მიიღებს და ათენის ოლიმპიურ თამაშებს გამოტოვებს.

საკრამენტოში გამართულ შესარჩევ ეტაპზე ედვარდსმა უკვე მოიპოვა ოლიმპიური თამაშების საგზური 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში და ახლა ცდილობს, 200 მეტრ დისტანციაზეც მოიპოვოს ლიცენზია. შეგახსენებთ, რომ ახალი ანტისადოპინგო კოდექსის მიხედვით, მძლეოსანს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

TV-სპორტი

**პარასკევი. 16 ივლისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯერი უესტი
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "SACRAMENTO KINGS" - "ORLANDO MAGIC"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "შახტიორი"
14:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ალბასეტე"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" - "ბავარია"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "იუვენტუსი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:20 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე". ინტერაქტიული გადაცემა ფეხბურთის ისტორიაზე
20:50 "FUTBOL MUNDIAL"
21:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "რეალი" - "ლიდსი"
23:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ატლეტიკო"
00:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:15 02:15-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "INDIANA FEVER" - "DETROIT SHOCK". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 19:00, 21:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 გოლფი. "ბრითიშ ოუფენ"
13:35 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
14:05 "საუკუნის ათლეტები". "ჩემპიონი-უჩინმაჩინი". რეი იური
14:55 ჩოგბურთი. ATP ტურნირი გერმანიაში. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 მძლეოსნობა. აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ასპარეზობა. დღე მეოთხე
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 "საუკუნის ათლეტები". "უკანასკნელი ბელადი". დ. ტორპი
22:25 ფრენბურთი. მსოფლიო სერია. გრან-პრი ინდონეზიაში. ქალები. რუსეთი - იაპონია
23:25 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ "როსიას" პრიზზე. დღე პირველი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
00:55 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
01:25 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე

**EUROSPORT**
10:30 მოტოკროსი. ფრისტაილი. შეჯიბრება ესპანეთში
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
11:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
12:15 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი
14:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ოლ!!!
14:15 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი გერმანიაში. მატჩი მესამე ადგილისთვის
22:00 ფეხბურთი. ალპური თასი გერმანიაში. ფინალი
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
01:45 ახალი ამბები
02:00 მხედრული ორთაბრძოლები. შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"

# "ფრანგულ ლომს" მალე ახალი ბოკვერი შეექმნება

ორი წლის წინ, პარიზის ავტოსალონზე, ფრანგულმა კომპანია "პეჟომ" მნახველს წარუდგინა თავისი კონცეპტუალური ნამუშევარი – მიკროვენი "პეჟო სეზამი", რომელიც სავარაუდოდ, ახლო მომავალში საწარმოო მოდელი უნდა გამხდარიყო. თუმცა, თავად ავტოკომპანია ამ ავტომობილთან დაკავშირებით სამომავლო გეგმების გაცხადებისგან თავს იკავებდა.

სპეციალისტები იმთავითვე ვარაუდობდნენ, რომ "სეზამის" სახით პარიზში "პეჟომ" თავისი მომავალი სიახლე წარმოადგინა და არც შემცდარან – ამ დღეებში, კომპანიამ თავად გაავრცელა პირველი ოფიციალური ინფორმაცია თავისი სრულიად ახალი ავტომობილის, "პეჟო 1007"-ის შესახებ, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ორი წლის წინანდელი "პეჟო სეზამის" წარმოებისთვის მომზადებული ვარიანტი.

"პეჟო" დღესაც ამ ავტომობილს კონცეპტუალურს უწოდებს, მაგრამ აშკარაა, რომ პარიზის წლევანდელ ავტოსალონზე, რომელიც სექტემბრის დასაწყისში ჩატარდება, მას, როგორც წარმოებისთვის გამზადებულ ავტომობილს წარუდგენს მნახველს. უფრო მეტიც, მწარმოებელი არ მალავს, რომ დიდ იმედებს ამყარებს ამ ახალ ავტომობილზე, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ისეთ ლიდერებს, როგორებიც არიან ახალთახალი "რენო მოდუსი" და "ოპელ მერივა".

ჯერჯერობით უცნობია ახალი ავტომობილის ღირებულება, რომლის გაყიდვები პირველ რიგში, საფრანგეთში დაიწყება მიმდინარე წლის მიწურულს, ან მომავალი წლის დასაწყისში. მისი ფასი ალბათ პარიზის ავტოსალონის დღეებში გამოცხადდება. სამაგიეროდ, "პეჟო" იმედოვნებს, რომ ყოველწლიურად 130 ათასი ცალი 1007-ის გაყიდვას შეძლებს. შედარებისთვის, მისი უშუალო კონკურენტი "რენო" ყოველწლიურად 300 ათასი ცალი "მოდუსის" გაყიდვას გეგმავს.

"პეჟო 1007" არის ოთხადგილიანი მიკროვენი, რომელიც აგებულია "პეჟო 206"-ის შემცვლელ "პეჟო 207"-ის (მისი წარმოება ჯერაც არ დაწყებულა) პლატფორმაზე. "სეზამის" დიზაინის შექმნაზე იმუშავა იტალიურმა ატელიე "პინინფარინამ", საბოლოო დამუშავება კი "პეჟოს" დიზაინ-სტუდიას ეკუთვნის, რომელსაც ჟერარ ველტე ხელმძღვანელობს.

"პეჟო 1007" კომპაქტურია – მისი სიგრძე სულ რაღაც 3.73 მეტრია, მაგრამ უჩვეულოდ მაღალიც (1.61 მეტრი) გამოვიდა. ავტომობილის ძარის თავისებურებათაგან პირველ რიგში, ყურადღებას მისი გასაწევი კარებები იქცევენ. მათი მართვა ელექტროსერვერებით ხდება და შესაძლებელია მისი დისტანციიდან გაღება. პირველ რიგში, ასეთი კარები მოსახერხებელია პარკირებისთვის – მის მძღოლს არ დასჭირდება პარკირებისთვის ისეთი ადგილის შერჩევა, სადაც ავტომობილი ღია კარით დაეტევა.

ბოლომდე გაწეული კარის ადგილზე 92-სანტიმეტრის სიგრძის სიცარიელე რჩება, რაც აადვილებს ჩაჯდომა-გადმოსვლის პროცესს როგორც უკანა, ასევე წინა სავარძლების მგზავრთათვის. როგორც კი ავტომობილის სიჩქარე მიაღწევს ფეხით მოსიარულისას, მაშინვე ხდება კარის ბლოკირება (უსაფრთხოებისთვის გაწეული ხარკი, რომელმაც შეიძლება გარკვეული უხერხულობაც წარმოქმნას). ელექტროსერვერი მაშინვე გაჩერდება, თუ კარს მოძრაობისას რაიმე წინააღმდეგობა შეხვდება.



სრულიად ახალ პეჟო 1007-ს სპეციალისტები თავის კლასში ლიდერობას უწინასწარმეტყველებენ

1007 პირველი ავტომობილია "პეჟოს" სამოდელო რიგში, რომლის დასახელებაშიც კომპანია ოთხ ციფრს გამოიყენებს. აქედან მოყოლებული, ყოველი ახალი ავტომობლი ოთხი ციფრით აღინიშნება. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ორივე აღნიშვნა დარჩეს.

მოდელი 1007 მიკროვენების კლასს განეკუთვნება. ჯერ ერთი, მასში დიდია შემინულობს ხარისხი. მეორეც, მძღოლის სავარძელი ჩვეულებრივზე მაღლაა განთავსებული. მესამე და ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ავტომობლის ძარა ერთმოცულობიანია (არ აქვს გამოყოფილი საბარგული და კაპოტი). სამივე მგზავრის (ერთი წინა და ორი უკანა) სავარძელი ფართო დიაპაზონში რეგულირდება. ამასთან, შესაძლებელია წინას წინ წაწევა და მისი წინ გადაკეცვის შემთხვევაში, უკანა მგზავრებისთვის შესანიშნავი მაგიდა წარმოიქმნება. უკანა სავარძლებიც იკეცება და ამ შემთხვევაში, საგრძნობლად (თითქმის ორჯერ) იზრდება საბარგულის მოცულობა, რომლის მაქსიმუმი 364 ლიტრს აღწევს.

ავტომობილს კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება ახასიათებს. ძარის პანელების ზოგიერთი ელემენტი (მოლდინგები, სავარძლების შალითები, დეკორატიული ელემენტები, სულ 12 ერეული) სულ 15 წუთში შეიძლება შეიცვალოს და ამისთვის სულაც არაა საჭირო სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენება. ყოველივე მყიდველისთვისაა მოსახერხებელი, რომელსაც მდიდარი არჩევანის და იმის საშუალება ექნება, რომ დროდადრო გამოცვალოს ავტომობილის დეკორატიული ელემენტების ნაწილი და ამით თავისი ოთხბორბლიანი მეგობარი ნაწილობრივ მაინც განაახლოს.

ავტომობილი მყიდველს კომპლექტაციის სამი ვარიანტით მიეწოდება. მათგან ორი კომფორტის მოყვარულ ავტომფლობელებზე იქნება ორიენტირებული,

ერთი კი – სპორტული სტილის მოყვარულებისთვის. მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებას ემსახურება 7 დამცავი პნევმო-ბალიში.

დამატებითი ოპციის სახით შესაძლებელი იქნება დილერისთვის კრუიზ და კლიმატ კონტროლის, აუდიოსისტემის, საავტომობილო ტელეფონის, შემინული ჭერის, კომპიუტერისა და სანავიგაციო სისტემის შეკვეთა.

ახლა კი ყველაზე მთავარზე. გაყიდვების დაწყებიდან პირველ ხანებში, მყიდველს სამ ძრავს შესთავაზებენ. პირველი, ყველაზე იაფი და სუსტია 1.4-ლიტრიანი, ბენზინზე მომუშავე აგრეგატი 75 ცხენის ძალით. უფრო ძვირ ვერსიებზე დამონტაჟდება 1.6-ლიტრიანი ბენზინის (109 ცხენის ძალით), ან 1.4-ლიტრიანი დიზელის (68 ცხ. ძალით) აგრეგატი. ძრავები შეწყვილდება 5-საფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფთან. დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში კი მყიდველს ავტომატურ "2ტრონიკსაც" შესთავაზებენ (მხოლოდ ბენზინის ძრავებისთვის). კომპლექტაციის შესაბამისად, 1007 აღიჭურვება 15 ან 16-დუიმიანი თვლებით.

ამ ავტომობილის შექმნაზე კომპანიამ სულ 560 მილიონი ევრო დახარჯა. მისი წარმოება დაეკისრება "პეჟო სიტროენის" კუთვნილ, პარაზის სიახლოვეს მდებარე პუასის ქარხანას.

აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ "სეზამს" მოდელ 106-ის შემცვლელად მიიჩნევდნენ, მაგრამ ახლა დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ 1007 სრულიად დამოუკიდებელი ავტომობილია. რაც შეეხება 106-ს, მისი შემცვლელი, ინექსით 107, მალე გამოჩნდება ბაზარზე. ამ ავტომობილის წარმოება დაევალება "პეჟო სიტროენისა" და "ტოიოტას" ერთობლივ საწარმოს, რომელიც ჩეხეთში მდებარეობს. წინასწარი ვარაუდით, 107-ის ღირებულება არ უნდა სჭარბობდეს 8 ათას ევროს. ეს მაშინ, როცა 1007-ის ფასი გაცილებით მაღალი იქნება.

# ევროპის პირველმა მინივენმა მილიონიან ზღვარს გადააბიჯა

1984 წელს, საავტომობილო ბაზარზე სრულიად ახალი სეგმენტი შეიქმნა – დაიწყო მინივენების ოფიციალური გაყიდვები, მაგრამ რომელი კომპანია იყო ამ საქმის პიონერი, ეს იმთავითვე დავის საგანი იყო, რადგან ფრანგულმა "რენომ" და ამერიკულმა "კრაისლერმა" თითქმის ერთდროულად დაიწყეს მინივენის ტიპის ავტომობილების წარმოებაც და რეალიზებაც.

ერთი რამ კი ცხადია – "რენო" პირველი ევროპული კომპანიაა, რომელმაც მრავალმხრივი დანიშნულების ავტომობილების (იგივე MPV, ანუ მრავალმხრივი დანიშნულების ავტომობილი, როგორც ხშირად მოიხსენიებენ დასავლეთში მინივენებს) გაყიდვები დაიწყო. მის სიახლეს სახელად "ესპეის" ერქვა, ამერიკული კონკურენტი კი ორი თავისი დივიზიონის, "დოჯისა" და "პლიმუტის" (ეს მარკა დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა) მარკით შესაბამისად, "ქარავანისა" და "ვოიაჯერის" წარმოებას შეუდგა.

ამ სამი ავტომობილიდან (ქარავანი და ვოიაჯერი პრაქტიულად ერთი ავტომობილია) წლეულს განსაკუთრებულ ზღვარს "ესპეისმა" გადააბიჯა. ოცი წლის იუბილე ფრანგულმა მინივენმა მემილიონე ავტომობილის გაყიდვით აღნიშნა.

ამ ავტომობილის ისტორია მსოფლიო დებიუტამდე ხუთი წლით ადრე, 1979 წელს დაიწყო, როცა "რენოსა" და კიდევ ერთი ფრანგული კომპანიის, "მატრას" კონსტრუქტორები მსოფლიო ბაზრისთვის უჩვეულო ავტომობილის შექმნას შეუდგნენ.

"მატრა" იმითაა ცნობილი, რომ ამ კომპანიამ თავისი მოღვაწეობა ავტოსპორტით, კერძოდ კი ლე მანის 24-საათიან რბოლებსა და ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლით დაიწყო, შემდეგ სამხედრო ტექნიკისა და ამუნიციის წარმოებასა და აეროკოსმოსურ პროექტებში მონაწილეობაზე გადაერთო, მერე კი მედიაშიც სცადა ბედი – დღეისათვის მის მფლობელობაშია მსოფლიოში მეტად პოპულარული გამოცემები, ამერიკული "როუდ ენდ ტრეკი" და ბრიტანული "ქარ ენდ დრაივერი".

იყო დრო, როცა "მატრა" და "კრაისლერი" ერთად მუშაობდნენ სპორტული ავტომობილებისა და მცირე ზომის ავტომობილ "რანჩოს" შექმნაზე. ამ ავტომობილს წამყვანი თვლები წინ ჰქონდა განლაგებული, სხვა მხრივ კი ტიპიური უგზოობის ავტომობილი (სპორტ იუტილიტი ვიჰაიქლ - SUV) იყო, რასაც მოგვიანებით სწორედ ამ კლასის დაარსება მოჰყვა. ამ ორი კომპანიის პარტნიორობა რომ კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელებულიყო, მინივენის კლასის პიონერი მხოლოდ "კრაისლერი" იქნებოდა, მაგრამ ამ კომპანიას მძიმე დრო დაუდგა და ამიტომ, მისი ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა, ზოგიერთი პროექტი შეეჩერებინა ან გადაედო.

ასე და ამგვარად, "მატრამ" მრავაადგილიანი, კომპოზიციური მასალებით დამზადებული ძარის მქონე ავტომობილის წარმოების იდეა "რენოს" შესთავაზა, რომელიც იმ დროს ფართო სამოდელო გამით ვერ დაიკვეხნიდა და ბუნებრივია, დაინტერესდა თანამემამულეთა პროექტით.



მინივენების კლასის პიონერ "რენო ესპეისის" ოთხივე თაობის ავტომობილები

სხვათა შორის, თავიდან ახალმა ავტომობილმა, რომელსაც "ესპეის" (ფრანგულად კოსმოსს ნიშნავს) უწოდეს, ევროპელი მყიდველის ენთუზიაზმი ვერ გამოიწვია. შედეგად, დებიუტის წელს პარტნიორებმა სულ 2703 ცალი "ესპეისი" გაყიდეს. თუმცა, ეს უფრო იმის ბრალი იყო, რომ უფრო მეტის წარმოებას ვერ აუდიოდა "მატრას" საწარმოო სიმძლავრეები. ჰოდა, პარტნიორების შეთანხმებით, ავტომობილის წარმოება "რენოს" ორად ორი ქარხნიდან (რა დრო იყო...) ერთს დაევალა, რომელშიც ახალი კონვეიერი დამონტაჟდა და რომელმაც მალე დამატებით ცვლაში დაიწყო მუშაობა. სანამ ბაზარზე მეორე თაობის "ესპეისი" გამოჩნდებოდა (1988 წელს), პარტნიორებმა სულ 192 ათასი ცალი მინივენი გაყიდეს.

მომდევნო ხუთ წელიწადში, სანამ "რენო" უკვე დამოუკიდებლად მოამზადებდა მესამე თაობის მინივენს, სულ 316 518 ცალი "რენო ესპეისი" გაიყიდა, დებიუტიდან მოყოლებული კი, გაყიდვები ნახევარ მილიონს გადასცდა. არანაკლებ წარმატებული გამოდგა მესამე თაობის "ესპეისი", რომელიც ბაზარზე 1996 წელს გამოჩნდა. ექვსი წლის განმავლობაში, სანამ 2002 წელს კიდევ ერთი ახალი მოდელი მომზადდებოდა, სულ 365 200 ცალი მესამე თაობის "ესპეისი" გაიყიდა.

ამ ოცი წლის განმავლობაში, "ესპეისს" მრავალი ახალი კონკურენტი გამოუჩნდა, მაგრამ ის და "კრაისლერ ვოიაჯერი" დღემდე ითვლებიან თავიანთი კლასის ლიდერებად. მაგალითად, 2004 წლის პირველ ექვს თვეში, "ესპეისზე" მსოფლიოში გაყიდული მინივენების 22.1 პროცენტი მოდიოდა. პირველი თაობის "ესპეისისგან" განსხვავებით, მეოთხე თაობისა ფოლადის პლატფორმაზე მზადდება და იგი მყიდველს ორ ვარიანტად მიეწოდება. ერთია საბაზო, სტანდარტული, მეორე კი მდიდრული, დაგრძელებული, რომელსაც "რენო გრანდ ესპეისი" ეწოდება.

# "მერსედეს-ბენცი" მეორედ იწყებს A-კლასის თამაშს

1998 წელს "მერსედეს-ბენცმა" ტრადიცია დაარღვია და ბაზარზე გამოუშვა მისთვის უჩვეულო, კომპაქტური ზომის ერთმოცულობიანი ავტომობილი, რომლისთვისაც თავის სამოდელო გამაში სრულიად ახალი, A-კლასი ჩამოაყალიბა.

დებიუტი არ გამოდგა ადვილი – შვედეთში ჩატარებულმა ტესტებმა ახალ ავტომობილს სერიოზული ნაკლი გამოუვლინა. დებიუტანტმა ვერ ჩააბარა გამოცდები გადაბრუნებაზე, რის გამოც შტუტგარტელებს ახალი, მრავალმილიონიანი პროგრამის (სახელად ელექტრონიკ სტაბილიტი პროგრამ) წამოწყება დასჭირდათ, რასაც შედეგად პრობლემის აღმოფხვრა მოჰყვა.

მას შემდეგ ავტომობილმა ადვილად მოიპოვა პოპულარობა მყიდველთა შორის, წლეულს კი მისი შეცვლის დროც დადგა. და აი, ივნისის ბოლოს, "მერსედეს-ბენცმა" გაავრცელა "A-კლასის" მეორე თაობის ავტომობილის ფოტოები და მწირი ტექნიკური მონაცემები.

პირველ რიგში აღსანიშნავი ისაა, რომ თანამედროვე ტენდენციებს შტუტგარტელებიც მიჰყვებიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ მეორე თაობის "A-კლასი" უფრო დამსხვილდა და ფაქტობრივად, უფრო მაღალ კლასში გადაინაცვლა. მისი თვლების ბაზა 14 სანტიმეტრთ გაიზარდა და ის ახლა 2.57 მეტრს შეადგენს. ავტომობილის საერთო სიგრძე 23 სანტიმეტრით გაიზარდა, სიგანე – 4.5 სანტიმეტრით, სიმაღლე კი – სულ ერთი სანტიმეტრით. მთავარი კი ისაა, რომ ყველა ამ ცვლილებას შედეგად მოჰყვა ავტომობილის მანევრულობის საგრძნობი გაუმჯობესება. თანაც, გაიზარდა ადგილი უკანა მგზავრებისთვისაც (წინამორბედთან შედარებით, 15 პროცენტით). ამასთან, უკანა სავარძლები იკეცება კიდეც და ამ შემთხვევაში, ავტომობილის საბარგულის მოცულობა 1995 ლიტრამდე(!) იზრდება.

წინამორბედთან შედარებით, შესამჩნევად შეიცვალა ახალი ავტომობილის დიზაინიც – დაიხვეწა და უფრო თვითმყოფადი გადხა მისი გარეგნობა. მწარმოებელი მყიდველს შესთავაზებს სამ და ხუთკარიან A-კლასის ავტომობილებს, რომლებიც დიზაინის მხრივ, ოდნავ განსხვავებულები იქნებიან. მაგალითად, სამკარიანი ავტომობილი უფრო სპორტული ნირისა იქნება, რაც ასახვას მისი ექსტერიერის გაფორმებაში ჰპოვებს (სპოილერები, და სხვა აეროდინამიკური ატრიბუტიკა).

თითქმის მთლიანად შეიცვალა A-კლასის ინტერიერიც – დავიწყებას მიეცა იაფფასიანი მასალებით დამზადებული პანელები. ამიერიდან ამ კლასის "მერსედესების" სალონიც მაღალხარისხიანი მასალებით გაეწყობა და უფრო მიმზიდველიც იქნება თვალისთვის. მოკლედ რომ ითქვას, სტილისტებმა და ინჟინრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მცირე გაბარიტული ზომების მიუხედავად, ამ ავტომობილებს ერთი შეხედვით ეტყობოდეთ, რომ ისინი "მერსედესის" ჯიშისანი არიან.



ახალი A-კლასის მერსედესი უფრო დიდიც გახდა და ლამაზიც

ახალი ავტომობილი სრულიად ახალი კონსტრუქციის 6 ძრავით აღიჭურვება. მათგან სამი ბენზინისაა (95, 115 და 136 ცხენისძალიანი) და სამიც დიზელისა (82, 109 და 140 ცხენისძალიანი). მოგვიანებით მოსალოდნელია უფრო მძლავრი, ბენზინზე მომუშავე ძრავის გამოჩენა. ეს იქნება ორლიტრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრეც ტურბოკომპრესორის მეშვეობით 193 ცხენის ძალას მიაღწევს.

ახალი A-კლასის ავტომობილის ოფიციალური პრემიერა სექტემბერში შედგება პარიზის ავტოსალონზე. სექტემბრიდანვე დაიწყება მისი გაყიდვები (პირველ რიგში გერმანიაში). სამკარიანი, საბაზო მოდიფიკაციის ღირებულება 17 632 ევრო იქნება, ხუთკარიანი ვერსიის ფასი კი – ათასი ევროთი მეტი.

"მერსედეს-ბენცმა" უკვე წამოიწყო ახალი A-კლასის სარეკლამო კამპანია, რომლის დევიზი იქნება "მიჰყევი შენს ვარსკვლავს". ეს სიტყვები უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კამპანიაში მთავარ როლს ახალგაზრდებს შორის მეტად პოპულარული პოპმომღერალი ქრისტინა აგილერა ასრულებს თავისი ახალი სიმღერით "ჰელოუ".

# შიდაგერმანულ კონკურენციაში ბავარიელებმა იძალეს

ორიოდე წლის წინ კომპანია "ბაიერიშე მოტორენვერკემ" (ბეემვე) შეიმუშავა ხანგრძლივი სამოქმედო პროგრამა, რომლის მიხედვითაც, 2008 წლისთვის ის უნდა გახდეს მსოფლიო ლიდერი პრემიუმის კლასის ავტომობილების წარმოებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავარიელებმა უკან უნდა მოიტოვონ თავიანთი უმთავრესი კონკურენტი, შტუტგარტში ბაზირებული "მერსედეს-ბენცი".

ამ მიმართულებით პირველი, მეტად სერიოზული ნაბიჯი უკვე წელსვე გადაიდგა – მაისის გაყიდვების შედეგებით, "ბეემვემ", 1995 წლიდან მოყოლებული, პირველად გადაასწრო გაყიდვებში "სამქიმიანებს". ორივე კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით, ბავარიელებმა მაისის განმავლობაში მთელ მსოფლიოში სულ 105 655 ცალი (მათ შორის ბეემვეს, მინისა და როლს როისის მარკით) ავტომობილი გაყიდეს, როცა შტუტგარტელების შესაბამისმა მაჩვენებელმა 102 300 ცალი (მერსედეს-ბენცი, სმარტი და მაიბახი) შეადგინა. უფრო მეტიც, უშუალოდ "ბეემვეს" მარკით გაყიდული ავტომობილების რიცხვმაც (90 268 ცალი) გადააჭარბა "მერსედეს-ბენცის" მარკით გაყიდულთა რაოდენობას (89 500).

სულ კი, წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში, ამ ორ კომპანიას შორის უპირატესობა კვლავ "სამქიმიანებს" ჰქონდათ – მათ ამ პერიოდში თითქმის 2 ათასი ცალით მეტი ავტომობილის გაყიდვა შეძლეს (შესაბამისად, 479 100 და 477 070 ცალი). შედარებისთვის, შარშან, პირველი ხუთი თვის განმავლობაში "მერსედესმა" ბავარიულ კონკურენტთან შედარებით 112 ათასით მეტი ავტომობლის რეალიზება შეძლო.

კიდევ უფრო (17.4 პროცენტით) გაიზარდა ბავარიული კომპანიის პროდუქციის რეალიზაცია ივნისში (113 886 ცალი), წლის პირველი ნახევრის გაყიდვებმა კი სარეკორდო მაჩვენებელს, 590 983 ცალს (მათ შორის, მხოლოდ 319 ცალია როლს როისი). "ეს ყველაზე წარმატებული წლის პირველი ნახევარია ჩვენი კომპანიის ისტორიაში. ამასთან, წლის მეორე ნახევარში არანაკლებ მაღალ შედეგებს ველით", - განაცხადა კომპანიის გაყიდვებისა და მარკეტინგის საქმეთა ხელმძღვანელმა მიხაელ განალმა.

აღსანიშნავია, რომ გაყიდვების ზრდა პირველ რიგში, სრულიად ახალი მე-5 სერიის სედანების დამსახურებაა, რომელთა გაყიდვებიც 51 პროცენტით გაიზარდა. სამაგიეროდ, საგრძნობლად იკლო მე-3 და მე-7 სერიების გაყიდვებმა. თუმცა, კომპანია იმედოვნებს, რომ ამ მოდელების გაყიდვები წლის მეორე ნახევარში მოიმატებს.



მე-5 სერიის სედანი ბავარიული კომპანიის ფლაგმანია

"ბეემვეს" წარმომდგენელთა განცხადებით, ყოველივე იმის მანიშნებელია, რომ კომპანიას სწორად აქვს არჩეული განვითარების სტრატეგია. ეს სტრატეგია 2008 წლისთვის ბავარიული მარკით სულ 1.4 მილიონი ავტომობლის გაყიდვას გეგმავს.

საპასუხოდ, შტუტგარტელები ირწმუნებიან, რომ ისინი აუცილებლად გაზრდიან თავიანთ გაყიდვებს მას შემდეგ, რაც ბაზარზე გამოჩნდება ახალი "მერსედეს C-კლასი", ახალი "სმარტ ფორფორი" და ახალი "მერსედეს A-კლასი". თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლეებია ბავარიელთა სამოდელო გამაშიც – წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება სრულიად ახალი, პირველი სერიის ჰეჩბეკების გაყიდვები, მომავალი წლიდან კი ბაზარზე გამოვა განახლებული მე-3 კლასის "ბეემვე".

# კვირის პროგრამა



## ორშაბათი 19.07

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი "ნაზი სიყვარული" (გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკრისტოკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ჩალის ძაღლები". მთ. რ-ში: დასტინ ჰოფმანი, სუზენ ჯორჯი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.05(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ალბერტო ჯაკომეტი. ჟამთა სვლა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **14.05** ლეგენდები პოპულარულ მუსიკაზე. დოკ. ფილმი. **16.25** მეზღვაური. მხ. ფილმი. რეჟისორი რენე ალიო. **19.05** სურნელოვანი ბაღი. დოკ. ფილმი. **23.00** სიკვდილი საფრანგეთში. დოკ. ფილმი. **24.35** ნისლიანი სანაპირო. მხ. ფილმი. რეჟისორი მარსელ კარნე. 1938.

### JIST

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ვირტუალური გოგონა". მთ. რ-ში: ჩარლი კერტისი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.20** სერიალი "რვაფეხა-6" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.25** დოკ. ფილმი "ვაცლავ ნიჟინსკი" **17.30** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "უსაფრთხოების ზომები" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "შესანიშნავი" (ბელმონდო) (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" (დენიელ დეი-ლუისი) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ძარცვა" (ჯინ ჰეკმანი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "სუპერპოლიციელები" (15)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10, 20.50** მინისერიალი "ოდისევსი" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კონან დოილის ქრონიკები" **13.10** მხ. ფილმი "მთიელი" (გ) (კრისტოფერ ლამბერტი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.10** სერიალი "არაბული ღამეები" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" (გ) (დეპარდიე)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. ფილმი "მთიური მხედრები" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი" (15)

### კავკასია

**12.00** ინდ. მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **18.00** სერიალი "მილედი" 15-16 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### იმედი

**07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 16.40, 17.20, 02.10** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.00** დროება **11.25, 01.40** ტვ-მარკეტი **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.15** ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "დიდი კაიფი" (ე. ბირკინი) (15)

### იბერია

19.07 **18.00** მინისერიალი "გარონი" 1-ლი ს. **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.40** მხ. ფილმი "შეიცან თავი შენი" 1-ლი ს. (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 02.20** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი "ჯუნგლების წიგნი-2" **10.10** დოკუმენტური ფილმი **11.00** სათავგადასავლო ფილმი "ჰაერის მეფე" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "ცხრა იარდი" **14.20** მუსიკა **14.30** ისტორიული ფილმი "ელისაბედი" **16.45** მულტფილმი "მეტროპოლისი" **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** სერიალი "კონკიაზე ნადირობა" მე-6 სერია **19.50** დოკუმენტური ფილმი **21.00** თრილერი "ვასაბი" **23.00** მხ.ფილმი "ნავი" **02.40** ისტორიული ფილმი "ნეფერტიტი მზის ქალიშვილი" **04.15** მუსიკა **04.20** ფილმი-ფანტასტიკა "გატაკა"

### OPT

**12.00, 15.00, 18.00** Новости **12.10 Томми Ли Джонс в триллере "Двойной просчет" 14.10 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Сезон охоты - 2" 16.30** Криминальная Россия. "Прописка на тот свет". 1-я с. **17.00** "Русская рулетка" **18.20** Премьера. "Самый обаятельный и привлекательный. Ширвиндту-70!" **18.50 Сериал "Клон" 19.50** "Стирка на миллион" **20.00** Жди меня **21.00** Время **21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 22.40** Криминальная Россия. "Монстр из Старожилова". 1-я с. **23.10** "Форс-мажор" с Николаем Фоменко **23.50** "Дэвид Копперфилд. Разоблаченная иллюзия" **00.25 Детективный сериал "24 часа" 01.15 Боевик "Воспламенение" 03.05 Гэрри Бьюзи в боевике "Пуленепробиваемый" 04.40 Сериал "Бадди Фаро"**

### НТВ

